
პაულო კოელიო
ალქიმიკოსი

4Love.Ge

ოლჯადიოსი

ბაული ყოფლიო

პროლოგი

ალქიმიკოსმა ვიღაც მოგზაურის მოტანილი წიგნი აიღო. წიგნს ყდა შემოფლეთილი ჰქონდა, მაგრამ ავტორის სახელს მიაგნო – ოსკარ უაილდი, – გადაშალა და ნარცისის ამბავი ამოიკითხა.

ალქიმიკოსმა იცოდა მითი მშვენიერ ჭაბუკზე, რომელიც მთელი დღეების განმავლობაში ნაკადულში იცქირებოდა და თავისი გამოსახულებით ტკბებოდა. ნარცისი ისე გაერთო საკუთარი თავის ცქერით, რომ, ბოლოს და ბოლოს, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო, ნაპირზე კი ყვავილი ამოვიდა, რომელსაც მისი სახელი ეწოდა.

მაგრამ ოსკარ უაილდი ამ ამბავს სხვაგვარად ჰყვებოდა:

«ნარცისის დაღუპვის შემდეგ ტყის ნიმფებმა – დრიადებმა – შეამჩნიეს, რომ ნაკადულის წყალი ცრემლებისაგან დამლაშებულიყო.

– რა გატირებს? – ჰკითხეს დრიადებმა.

– ნარცისს დავტირი, – უპასუხა ნაკადულმა.

– არც არის გასაკვირი, – დაეთანხმნენ დრიადები, – ტყეში მიმავალს ჩვენ ყოველთვის უკან მივდევდით, შენ იყავი ის ერთადერთი, ვინც მის მშვენიერებას ახლოდან ხედავდა.

– ლამაზი იყო? – იკითხა ნაკადულმა.

– ეგ შენზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს, – გაოცდნენ ტყის ნიმფები, – დილიდან საღამომდე შენს ნაპირთან იყო ჩამომჯდარი და ტალღებში იცქირებოდა.

ნაკადული დიდხანს დუმდა, ბოლოს კი უპასუხა:

– მე არასდროს შემინიშნავს. ჩემს ნაპირზე ჩამომჯდარი ნარცისი წყალში იხედებოდა და მის თვალებში ჩემი სილამაზე ირეკლებოდა».

«რა მშვენიერი ამბავია», – გაიფიქრა ალქიმიკოსმა. ყმაწვილს სანტიაგო ერქვა. უკვე ბინდდებოდა, როცა ცხვარი მიტოვებულ, ნახევრად დანგრეულ ეკლესიასთან მირეკა. ეკლესიას, რა ხანია, უკვე ჩამოჰქცეოდა გუმბათი, სადიაკვნოს ადგილას კი უზარმაზარი სიკომორო გაზრდილიყო.

სანტიაგომ იქ გადაწყვიტა ღამის გათევა, დაფახფახებულ კარში შერეკა ცხვრები და გასასვლელი ფიცრის ნატეხებით ჩახერგა, რომ ფარა გარეთ ვერ გასულიყო. აქ მგლები არ იცოდა, მაგრამ ცხვრები ხანდახან ფარას სცილდებოდნენ და მერე მთელ დღეს ანდომებდა ხოლმე გზასაცდენილი ცხვრის ძებნას.

სანტიაგომ იატაკზე ქურთუკი გაფინა, დაწვა და თავქვეშ წიგნი ამოიდო, რომლის კითხვაც სულ ცოტა ხნის წინ დაასრულა. სანამ დაიძინებდა, გაიფიქრა, რომ ურიგო არ

fb.com/groups/elib

იქნებოდა, სქელი წიგნები ეტარებინა – მეტი წასაკითხიც ექნებოდა და ბალიშადაც გამოადგებოდა.

უთენია გაეღვიძა და თავს ზევით, ჩამოქცეული გუმბათიდან მოჭიატე ვარსკვლავები დაინახა.

«ჯერ ადრეა, ჯობია, ისევ დავიძინო», – გაიფიქრა სანტიაგომ.

მან ისევ იგივე სიზმარი ნახა, რაც წინაკვირას, მაგრამ ვერც ამჯერად შეძლო იმის გარკვევა, რა მოხდა ბოლოს.

ადგა, ღვინო მოსვა. მერე კომბალი აიღო და მძინარე ცხვრები წამოყარა. თუმცა, თვალი გაახილა თუ არა, ფარის დიდმა ნაწილმაც მაშინვე გაიღვიძა, თითქოს რაღაც იდუმალი კავშირი არსებობდა მასა და ცხვრებს შორის, რომლებთან ერთადაც უკვე ორი წელი იყო, საკვებისა და წყლის საძებნელად დახეტიალობდა. «ისე მომეჩვივნენ, რომ ჩემი ჩვევები შეითვისეს, – ჩაილაპარაკა მან, – ჩემი დღის რეჟიმიც კი იციან».

ამ საკითხზე ცოტა ხანს იფიქრა და აზრად მოუვიდა, რომ, შეიძლება სულაც პირიქით მოხდა, თვითონ შეითვისა მათი ჩვევები და ცხვრების დღის წესრიგს თვითონ აჰყვა.

და თუმცა სანტიაგო კომბლით აღვიძებდა ცხვრებს და სახელებსაც ეძახდა, ზოგიერთი მაინც არ ჩქარობდა წამოდგომას. სანტიაგოს გულწრფელად სჯეროდა, რომ ცხვრებს ყველაფერი ესმოდათ, რასაც კი ეუბნებოდა, ამიტომ ხანდახან ხმამაღლაც კი უკითხავდა განსაკუთრებით საინტერესო ადგილებს წიგნებიდან ან უამბობდა, რა მოსაწყენი იყო მეცხვარეობა და რა ცოტა რამ ჰქონდა სასიხარულო მწყემსს; ან გზადგამოვლილ ქალაქებსა და სოფლებში მოსმენილ ახალ ამბებს უყვებოდა.

ამ ბოლო ხანს კი ცხვრებს მხოლოდ ერთი ვაჭრის ლამაზ ქალიშვილზე ელაპარაკებოდა. ეს გოგონა იმ ქალაქში ცხოვრობდა, სადაც ოთხი დღის შემდეგ უნდა მისულიყვნენ. პირველად შარშან ნახა. ფართლეულისა და მატყლის ვაჭარს უყვარდა, როცა ცხვარს მის თვალწინ კრეჭდნენ, ეგონა, ვეღარ მოატყუებდნენ. ეს დუქანი სანტიაგოს ერთმა ნაცნობმა მიასწავლა და მანაც პირდაპირ იქ მირეკა ცხვარი.

«მატყლის გაყიდვა მინდა», – უთხრა მაშინ მედუქნეს.

დახლთან უამრავი ხალხი ირეოდა და დუქნის პატრონმა სადილამდე მოცდა სთხოვა. სანტიაგო დასთანხმდა, ფილაქანზე ჩამოჯდა და აბგიდან წიგნი ამოიღო.

– არ მეგონა, თუ მწყემსებმაც იცოდნენ კითხვა, – შემოესმა ქალის ხმა.

სანტიაგომ თავი ასწია და ქალიშვილი დაინახა – გარეგნულად ნამდვილი ანდალუსიელი იყო: გრძელი, სწორი და შავი თმა ჰქონდა, თვალებით კი მავრებს ჩამოჰგავდა, იმათ, დიდი ხნის წინ რომ დაიპყრეს ესპანეთი.

– მწყემსებს კითხვა არც სჭირდებათ: ცხვრები ნებისმიერ წიგნზე მეტს ასწავლიან, – უპასუხა სანტიაგომ.

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და საუბარი გააბეს, ვერც კი შეამჩნიეს, ისე გავიდა ორი საათი. გოგონამ უამბო, რომ მედუქნის შვილი იყო, უხალისოდ ცხოვრობდა და დღეები წყლის

წვეთებივით ჰგავდა ერთმანეთს. სანტიაგომ კი ანდალუსიის ველებზე მოუთხრო და გზადგამოვლილ დიდ ქალაქებში მოსმენილი ამბებითაც გაართო. უხაროდა, თანამოსაუბრე რომ იპოვა – ერთთავად ცხვრებთან ხომ ვერ ილაპარაკებდა.

– კითხვა სად ისწავლე? – ჰკითხა ქალიშვილმა.

– იქ, სადაც ყველამ, – უპასუხა ყმაწვილმა, – სკოლაში.

– თუ წერა–კითხვა იცი, ცხვრებს რატომღა მწყემსავ?

პასუხის ნაცვლად სანტიაგომ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი: დარწმუნებული იყო, რომც ეთქვა, ქალიშვილი მაინც ვერ მიუხვდებოდა. ამიტომ ისევ მოგზაურობების ამბებს მიუბრუნდა. ქალიშვილს მავრიტანული თვალები ხან უფართოვდებოდა, ხან კი გაოცებისაგან ეწკურებოდა. დრო შეუმჩნევლად გაილია და სანტიაგომ ინატრა, მედუქნეს იმდენი მყიდველი დაჰხვეოდა, რომ ცხვრების გასაკრეჭად სამ დღეს ვერ მოეცალა. ადრე ასეთი რამ არასოდეს ეგრძნო; უნდოდა, სამუდამოდ აქ დარჩენილიყო, ამ შავთმიან ქალიშვილთან და თუნდაც, დღეები წყლის წვეთებივით დამსგავსებოდა ერთმანეთს.

მაგრამ ქალიშვილის მამა დუქნიდან გამოვიდა, ფარიდან ოთხი ცხვარი ამოარჩია, შემდეგ ბიჭს ფული გადაუხადა და უთხრა:

– ერთი წლის შემდეგაც მოდი.

აი, ამ დათქმულ დრომდე რჩებოდა ოთხი დღე. ყმაწვილი სიხარულით ელოდა შეხვედრას და თან ღელავდა: ვინ იცის, იმ ქალიშვილს, იქნებ, აღარც კი ახსოვდა. განა ცოტა მეცხვარე მირეკავდა თავის ფარას მათ პატარა ქალაქში?

– რას ვიზამ, დიდი არაფერი დაშავდება. სხვა ქალაქებშიც არიან გოგონები, – უთხრა ცხვრებს.

მაგრამ გულის სიღრმეში იცოდა, რომ მართლაც დიდი რამ დაშავდებოდა. მწყემსებს, მეზღვაურებსა და მომთაბარე ვაჭრებს ყოველთვის აქვთ ხოლმე ერთი ნანატრი ქალაქი, სადაც ის ადამიანი ცხოვრობს, ვის გამოც ამ დედამიწაზე თავისუფლად ხეტიალის სიხარულის დავიწყება შეიძლება.

უკვე გათენდა და სანტიაგომ ფარა იქით გარეკა, საიდანაც მზე ამოდიოდა.

«ცხვრებს რა უჭირთ, ცხვრები გზას არ ირჩევენ. იქნებ ამიტომაც მეკვრიან ასეთი მონდომებით», – ფიქრობდა გზადაგზა.

ცხვრებს, მართლაც, არაფერი ადარდებდათ – მთავარი იყო, წყალი და ფეხქვეშ ბალახი ჰქონოდათ. და ვიდრე მწყემსი მათ ანდალუსიის ნოყიერ იალაღებზე მიერეკებოდა, ისინი მისი საუკეთესო მეგობრები იქნებოდნენ. მერე რა მოხდა, თუ დღეები ერთმანეთს ჰგავდა, თუ განთიადიდან დაბინდებამდე დრო უსასრულოდ იწელებოდა, თუ თავიანთი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე არც ერთი წიგნი არ წაეკითხათ და ის ენაც კი არ ესმოდათ, რომელზეც ქალაქებსა და სოფლებში ადამიანები ერთმანეთს ახალ ამბებს უყვებოდნენ? – მაინც ბედნიერები იქნებოდნენ, ვიდრე წყალი და ბალახი

ექნებოდათ. ამის სანაცვლოდ კი, ადამიანს გულუხვად აძლევდნენ მატყლს და დროდადრო – ხორცსაც.

«დღეს რომ ნადირად ვიქცე და ერთიმეორის მიყოლებით გავავლო მუსრი, მანამ ვერაფერს მიხვდებიან, სანამ ფარის დიდ ნაწილს არ გავწყვეტ, – ფიქრობდა სანტიაგო, – ისინი საკუთარ ინსტიქტებზე მეტად მე მენდობიან, მხოლოდ იმიტომ, რომ მე მიმყავს იქ, სადაც საკვებს იპოვიან».

ნაფიქრმა გააოცა. იქნებ ის ეკლესია იყო დაწყევლილი, სადაც სადიაკვნოში სიკომორო იზრდებოდა და წუხელ ღამე გაათია? ჯერ იყო და, ერთხელ ნანახი სიზმარი მეორედ ესიზმრა, ახლა კი თავის ერთგულ თანამგზავრებზე ბრაზი მოერია. მან სადილიდან მორჩენილი ღვინო მოსვა და ტანზე ქურთუკი შემოიტმასნა. იცოდა, სულ რაღაც ორიოდ საათში მზე ზენიტს მიაღწევდა და ისეთი ხვატი ჩამოწვებოდა, რომ ცხვარს მინდორზე ვეღარ გააჩერებდა. ამ დროს მთელი ესპანეთი იძინებდა. სიგრილე მხოლოდ საღამო ხანს წამოვიდოდა, მანამდე კი მძიმე ქურთუკი მხარზე გადაგდებული უნდა ეტარებინა. სხვა გზა მაინც არ ჰქონდა, სწორედ ეს ქურთუკი ათბობდა დილაობით.

«უკეთესია, ამინდის ჭირვეულობისათვის მზად ვიყო», – გაიფიქრა სანტიაგომ და მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა ამ მძიმე და თბილი ქურთუკის მიმართ. ერთი სიტყვით, ქურთუკსაც და სანტიაგოსაც თავ–თავიანთი დანიშნულება ჰქონდათ. ქურთუკისაგან განსხვავებით, მისი დანიშნულება მოგზაურობა იყო და ანდალუსიის მთებსა და ველებზე ორი წლის ხეტიალის წყალობით, მას უამრავი სოფელი და ქალაქი ჰქონდა მოვლილი. ამჯერად სანტიაგოს უნდოდა, მედუქნის შვილისათვის აეხსნა, როგორ მოხდა, რომ უბრალო მწყემსმა წერა–კითხვა იცოდა.

საქმე ის გახლდათ, რომ თექვსმეტ წლამდე სემინარიაში სწავლობდა. მის მშობლებს ძალიან უნდოდათ, მღვდელი გამოსულიყო და უბრალო გლეხის ოჯახი ესახელებინა. ამიტომაც თავდაუზოგავად შრომობდნენ.

სემინარიაში ბერძნულს, ესპანურსა და ღვთისმეტყველებას სწავლობდა, მაგრამ სამყაროს წვდომისადმი ლტოლვამ ღმერთის შეცნობისა და ადამიანთა ცოდვების მონანიების სურვილს გადასძლია. და ერთხელაც, მშობლები რომ მოინახულა, ძალა მოიკრიბა და განუცხადა, რომ სულაც არ ეწადა, მღვდელი გამხდარიყო. მას მოგზაურობა უნდოდა.

მამამ უპასუხა:

– შვილო, ათასობით ადამიანი საიდან აღარ ჩამოდის ჩვენს სოფელში, თითქოს რაღაცას დაეძებენ, დადიან, ათვალიერებენ, მერე კი უკან ბრუნდებიან. ეს მოგზაურობა მათ არაფერს მატებს, ზუსტად ისეთები რჩებიან, როგორებიც მანამდე იყვნენ. აუცილებლად ადიან ხოლმე მთაზე, ციხესიმაგრის სანახავად, და მხოლოდ იმას ხვდებიან, რომ წარსული აწმყოზე უკეთესი იყო. მათ შეიძლება ქერა თმა ჰქონდეთ ან მუქი კანი, მაგრამ ჩვენი თანასოფლელებისაგან არაფრით განსხვავდებიან.

– შეიძლება, მართლაც ასეა, მაგრამ მე ხომ არ მინახავს მათი ქვეყნის ციხესიმაგრეები, – უთხრა სანტიაგომ.

– ეს ხალხი ჩვენი მიწისა და ჩვენი ქალების ნახვის შემდეგ ამბობს, რომ სამუდამოდ აქ ამჯობინებდნენ დარჩენას, – განაგრძო მამამ.

– მე კი სხვა მიწებისა და სხვა ქალების ხილვა მინდა. ეს ადამიანები ხომ ჩვენთან არასოდეს რჩებიან?!

– მოგზაურობისთვის ბევრი ფულია საჭირო. ჩვენისთანა ღარიბ–ღატაკს კი, თუ მოგზაურობა უნდა, მხოლოდ მწყემსობა შეუძლია. – მაშინ მწყემსი გავხდები, – უთხრა სანტიაგომ.

მამას ხმა აღარ ამოუღია, დილით კი საფულე მისცა, რომელშიც სამი ძველი ოქროს მონეტა იდო.

– ეს ქისა თითქოს ზეცამ გამომიგზავნა, დიდი ხნის წინ მინდორში ვიპოვე. წაიღე, ცხვრები იყიდე და მანამ იხეტიალე, სანამ არ მიხვდები, რომ ყველაზე ძვირფასი შენი ქვეყნის ციხესიმაგრეებია, ჩვენი ქალები კი ყველაზე ლამაზები არიან.

და როცა მამა გზას ულოცავდა, შვილმა მის თვალებში ამოიკითხა, რომ სიბერის მიუხედავად, ისიც მოგზაურობის დაუძლეველ ლტოლვას გრძნობდა, მაგრამ გულში იკლავდა და მშვიდი ცხოვრების სიკეთეებით – უზრუნველყოფილი კვებითა და საიმედო ჭერით – ინუგეშებდა თავს.

ცას ჰორიზონტზე სიწითლე შეეპარა და მზე ამოვიდა. მამის ნათქვამის გახსენებამ გაამხიარულა სანტიაგო: მას უკვე მრავალი ციხესიმაგრე და უამრავი მზეთუნახავი ეხილა, მაგრამ ვერც ერთი ვერ შეედრებოდა იმას, ვისაც ოთხი დღის შემდეგ კვლავ უნდა შეხვედროდა. ცხვრის ფარაც ჰყავდა, ჰქონდა ქურთუკი და წიგნი, რომელიც ყოველთვის შეიძლებოდა, სხვა წიგნზე გაეცვალა, და, რაც მთავარია, აღსრულდა მისი ოცნება: ის მოგზაურობდა. ანდალუსიის ველ-მინდვრები თუ მოსწყინდებოდა, შეეძლო, ცხვრის ფარა გაეყიდა და მეზღვაურობა დაეწყო. იქნებ ცოტა ხნის შემდეგ ესეც მობეზრებოდა, მაგრამ იმ დროისათვის უკვე სხვა ქალაქები, სხვა ქალები და ბედნიერების სხვა გზები ექნებოდა ნანახი.

«ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უნდა მეპოვა ღმერთი სემინარიაში», – გაიფიქრა სანტიაგომ, როცა ამომავალ მნათობს გახედა.

მოგზაურობისას ყოველთვის ერჩივნა, გაუკვალავი გზებით ევლო. ამ ეკლესიაშიც არასოდეს გაეთენებინა ღამე, თუმცა ამ ადგილებში ხშირად გაევლო. სამყარო უკიდეგანო და ამოუწურავი იყო. სულ ცოტა ხნითაც რომ მიენდო ცხვრებისთვის გზის ამორჩევა, მაინც რაღაც საინტერესოს გადააწყდებოდა ხოლმე. თუმცა, ცხვრები ვერც კი ხვდებოდნენ, რომ ყოველდღე ახალ–ახალ გზებსა და საძოვრებს პოულობდნენ და წლის დროები იცვლებოდა. მათი საზრუნავი მხოლოდ საკვების პოვნა იყო.

«იქნებ ჩვენც დიდად არ განვსხვავდებით ცხვრებისგან, – გაიფიქრა სანტიაგომ, – მას შემდეგ, რაც მედუქნის ქალიშვილი გავიცანი, მეც ხომ სხვა ქალებზე აღარ მიფიქრია».

მან ცას ახედა და მიხვდა, რომ სადილამდე ჩავიდოდა ტარიფაში. იქ, ალბათ, ამ წიგნს სხვა, უფრო მოზრდილ წიგნზე გადაცვლიდა, მათარას ღვინით აავსებდა, მედუქნის

ქალიშვილთან შესახვედრად პირს გაიპარსავდა და თმას შეიკრეჭდა. დაძაბული ცდილობდა, იმაზე აღარ ეფიქრა, სხვა მეცხვარემ ხომ არ დაასწრო მისვლა.

«ცხოვრება სწორედ იმით არის საინტერესო, რომ შეიძლება, ყველა სიზმარი ახდეს», – ფიქრობდა სწრაფი ნაბიჯით მიმავალი სანტიაგო, თან ცას გასცქეროდა.

ანაზდად გაახსენდა, რომ ტარიფაში ერთი დედაბერი ცხოვრობდა, რომელსაც სიზმრების ახსნა შეეძლო. იქნებ იმისთვის მაინც ეკითხა, რას ნიშნავდა ის ორჯერ ზედიზედ ნანახი სიზმარი.

დედაბერმა სტუმარი სასადილოსაგან პლასტმასის ჭრელ–ჭრელი მძივების ფარდით გამოყოფილ უკანა ოთახში გაიყვანა. ოთახში მაგიდა და ორი სკამი იდგა, კედელზე კი ქრისტეს გულის გამოსახულება ეკიდა.

დიასახლისმა სანტიაგო დასვა, თვითონ მის პირისპირ ჩამოჯდა, ხელზე ხელი მოჰკიდა და ლოცვა დაიწყო.

ბოშური ლოცვა უნდა ყოფილიყო. მეცხვარეს ხშირად შეხვედრიან ბოშები. ისინიც, თუმცა ცხვრებს არ მწყემსავდნენ, ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებოდნენ. ხალხი კი ამბობდა, რომ ბოშები ტყუილებით ირჩენდნენ თავს, სული ეშმაკისათვის ჰქონდათ მიყიდული, ბავშვებს იპარავდნენ და თავიანთ ბანაკებში მონებად ზრდიდნენ. პატარაობისას სანტიაგოსაც ეშინოდა ბოშებისა და ახლა, როცა დედაბერმა ხელი ჩაჰკიდა, ბავშვობისდროინდელმა შიშმა აიტანა.

«კედელზე იესოს წმინდა გულის გამოსახულება ჰკიდია,» – გაიფიქრა და შეეცადა, დაწყნარებულიყო, უნებური ცახცახი დაეცხრო. არ უნდოდა, დედაბერს რაიმე შეემჩნია. დასამშვიდებლად «მამაო ჩვენოც» წაიკითხა.

– ძალიან საინტერესოა, – ჩაიბუტბუტა მისი ხელისგულის ხაზებს ჩაშტერებულმა დედაბერმა და ისევ დადუმდა.

ყმაწვილი ამან უფრო შეაშფოთა. იგრძნო, რომ უკვე მთელი სხეული უცახცახებდა და ბოშას სასწრაფოდ გამოსტაცა ხელი.

– იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ხელზე მიმკითხაო, – უთხრა მან, უკვე ნანობდა კიდეც მასთან მისვლას. ალბათ, აჯობებდა, ფული გადაეხადა და სასწრაფოდ წასულიყო აქედან. რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, თუ ერთი სიზმარი ორჯერ ესიზმრა!

– ვიცი, იმიტომ მოხვედი, რომ სიზმარი აგიხსნა, – უპასუხა ბოშამ, – სიზმრები ის ენაა, რომლითაც უფალი გვესაუბრება ხოლმე. თუ ღმერთმა მხოლოდამ ენაზე ისურვა შენთან საუბარი, მაშინ ახსნასაც შევძლებ. მაგრამ თუ უფალი შენი სულის ენაზე მოგმართავს, მაშინ მხოლოდ შენ შეგეძლება მისი ნათქვამის ამოცნობა. ფულს, სხვათა შორის, მაინც გამოგართმევ, რაკი რჩევის საკითხავად მოხვედი.

«ესეც ასე, გავები», – გაიფიქრა სანტიაგომ, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. საფრთხე მწყემსისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო: ხან მგლები დაეცემოდნენ ფარას, ხან გვალვა გადაახმობდა იალაღებს. სწორედ საფრთხე მატებდა მის ცხოვრებას მომხიბლაობას.

– ორჯერ დამესიზმრა ერთი და იგივე სიზმარი, – უთხრა დედაბერს, – თითქოს ველზე ფარას ვმწყემსავდი, უცებ ბავშვი გამოჩნდა და ცხვრებთან დააპირა თამაში. არ მიყვარს, როცა ფარას ვინმე უახლოვდება: ცხვრები ფრთხებიან. ისიც არ ვიცი, რატომ, მაგრამ მხოლოდ ბავშვების არ ეშინიათ, ვერც იმას გეტყვით, ცხვრები როგორ განსაზღვრავენ ასაკს.

– სიზმარი მომიყევი, – შეაწყვეტინა დედაბერმა, – ცეცხლზე ქვაბი მიდგას. ჩემი დრო ძვირი ღირს, შენ კი არც ისე ბევრი ფული გაქვს.

– ბავშვი ცხვრებს ეთამაშებოდა, – განაგრძო ოდნავ შემცბარმა სანტიაგომ, – მერე კი უცებ ხელში ამიტაცა და ეგვიპტის პირამიდებთან მიმიყვანა.

სანტიაგო წამით დადუმდა, დაეჭვდა, იცოდა თუ არა ბოშამ, რა იყო ეგვიპტის პირამიდები, მაგრამ დედაბერი ხმას არ იღებდა.

– ეგვიპტის პირამიდებთან მიმიყვანა, – ნელა და ხაზგასმით გაიმეორა სანტიაგომ, – და მითხრა: «აქ იპოვი მიწაში ჩაფლულ განძს». ის იყო, ამ განძის ადგილსამყოფელიც უნდა ეჩვენებინა, რომ გამომეღვიძა.

დედაბერი დიდხანს დუმდა, მერე ისევ ხელისგულებზე დააკვირდა.

– ახლა არაფერს გამოგართმევ, – უთხრა ბოლოს, – მაგრამ თუ განძს იპოვი, იმ განძის მეათედი ჩემი იქნება.

ყმაწვილს გაეცინა – სიზმრად ნანახმა განძმა საცოდავი გროშები შეუნარჩუნა. დედაბერი, როგორც ნამდვილი ბოშა, მთლად დალაგებული ვერ იყო.

– ამიხსენი სიზმარი, – შეეხვეწა სანტიაგო.

– ჯერ დაიფიცე. დაიფიცე, რომ განძის მეათედს მომცემ, მერე აგიხსნი.

სანტიაგო იძულებული გახდა, დაეფიცა. მაგრამ დედაბერმა ესეც არ იკმარა და იესოს წმინდა გულის გამოსახულებაზე დააფიცა.

– ეს სიზმარი ერთიან ენაზეა ნათქვამი, – უთხრა მან, – ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც შევეცდები, აგიხსნა. სწორედ ამ შრომისათვის გთხოვ განძის მეათედს. ახლა მისმინე: ეგვიპტეში უნდა წახვიდე და იქ შენი პირამიდები იპოვო. მართალი გითხრა, არც კი ვიცი, რა არის პირამიდა, მაგრამ რადგანაც ბავშვმა მიგანიშნა, მაშასადამე, ასეთი რამ არსებობს. წადი პირამიდებთან – იქ იპოვი შენს საგანძურს და გამდიდრდები.

სანტიაგო ჯერ გაოცდა, მერე იმედგაცრუება იგრძნო, ღირდა კი ამ სისულელისთვის დედაბრის ძებნა? კიდევ კარგი, ფული მაინც არ გამოართვა.

– დრო ტყუილად დავკარგე, – თქვა მან.

– მე გაფრთხილებდი: ეს სიზმარი ძნელი ასახსნელია. ყველაფერი უცნაური, ერთი შეხედვით, მარტივი ჩანს, მაგრამ მისი ახსნა მხოლოდ ბრძენს ძალუძს. და რაკი მე დიდი სიბრძნით არ გამოვირჩევი, სხვა ხელოვნება ვისწავლე – ხელზე ვმკითხაობ.

– ეგვიპტეში როგორ ჩავიდე?

– ეგ აღარ ვიცი. მე მხოლოდ სიზმრების ახსნა შემიძლია და არა მათი აცხადება. ეგ რომ შემეძლოს, საკუთარი ქალიშვილების ხელის შემყურე მათხოვარივით არ ვიცხოვრებდი.

– ეგვიპტემდე რომ ვერ მივაღწიო?

– თუ ვერ მიაღწევ, მკითხაობისათვის ფულს ვერავინ გადამიხდის. თუმცა, არც პირველი იქნები და არც უკანასკნელი. ახლა კი წადი, მეტს ვეღარაფერს გეტყვი.

სანტიაგო იმედგაცრუებული გამოვიდა ბოშა ქალისაგან და გადაწყვიტა, აღარასოდეს დაეჯერებინა სიზმრებისათვის. მერე გაახსენდა, რომ უამრავი საქმე ჰქონდა: დუქანში რაღაც საკვები იყიდა, თავისი წიგნი სხვა, უფრო სქელ წიგნზე გადაცვალა და ახალი ღვინის გასასინჯად სკვერში სკამზე ჩამოჯდა. ცხელი დღე იდგა და ღვინომ, რაღაც ჯადოსნობით, გააგრილა კიდეც.

ფარა დილიდანვე ქალაქის შემოსასვლელში, თავისი ერთ–ერთი ახალი მეგობრის ფარეხში დატოვა. სანტიაგოს ყველგან ჰყავდა მეგობრები – ამიტომაც უყვარდა მოგზაურობა. შეიძენდა ახალ მეგობარს და სულაც არ იყო ვალდებული, ყოველდღე შეხვედროდა. როცა შენს ირგვლივ ერთი და იგივე ადამიანები ტრიალებენ – როგორც სემინარიაში იყო, როგორღაც თავისთავად ხდება, რომ ისინი შენს ცხოვრებაში იჭრებიან. მერე კი თანდათან იმასაც ცდილობენ, როგორმე შეგცვალონ და მათი სურვილისამებრ თუ არ შეიცვლები, ბრაზდებიან. ყოველმა მათგანმა ხომ ზუსტად იცის, როგორ უნდა იცხოვრო ამქვეყნად.

ოღონდ, რატომღაც, საკუთარი ცხოვრება ვერ აუწყვიათ, იმ ბოშა დედაბრის მსგავსად, რომელსაც მხოლოდ სიზმრების ახსნა შეეძლო, მათი აცხადება კი – არა.

სანტიაგომ გადაწყვიტა, დაისს დალოდებოდა და მაშინ გაერეკა ცხვარი საძოვარზე. მედუქნის ქალიშვილთან შეხვედრამდე კიდევ სამი დღე რჩებოდა. მანამდე კი იმ წიგნის კითხვა დაიწყო, რომელიც ადგილობრივ მღვდელს გაუცვალა. სქელი წიგნი იყო, პირველსავე გვერდზე ვიღაცის დასაფლავებას აღწერდნენ, თან მოქმედ პირებს ისეთი უცნაური სახელები ერქვათ, ენას მოიტეხდი. «თუ ოდესმე წიგნს დავწერ, ყოველ ახალ გვერდზე ახალი გმირი მეყოლება, რომ მკითხველს მათი სახელების დამახსოვრება აღარ დასჭირდეს», – გაიფიქრა ყმაწვილმა.

ის იყო, გულისყურით განაგრძო კითხვა და ლამის გაიტაცა მიცვალებულის თოვლში დასაფლავების ამბავმა, (შეამცივნა კიდეც, თუმცა მზე უმოწყალოდ აცხუნებდა), რომ სკამზე ვიღაც ბერიკაცი ჩამოუჯდა და მასთან საუბრის გაბმა სცადა.

– ეს ხალხი რას აკეთებს? – დაინტერესდა ბერიკაცი და მოედანზე თავშეყრილ ადამიანებზე მიუთითა.

– მუშაობენ, – ცივად უპასუხა ყმაწვილმა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს კითხვით იყო გართული.

სინამდვილეში იმაზე ფიქრობდა, როგორ გაპარსავდა ოთხ ცხვარს მედუქნის ქალიშვილის თვალწინ და ქალიშვილიც მაშინვე დაუფასებდა სიმარჯვეს. არაერთხელ

ჰქონდა ეს სცენა წარმოდგენილი და ფიქრში ერთთავად იმას უხსნიდა გაოცებულ გოგონას, რომ ცხვარი დუმიდან თავისკენ უნდა გაპარსულიყო. უკვე ის ამბებიც მოფიქრებული ჰქონდა, რითაც ცხვრის პარსვის დროს გაართობდა. ყველაფერი წიგნებში ჰქონდა ამოკითხული, მაგრამ ისე აპირებდა მოყოლას, თითქოს პირადად მას გადახდომოდა. ქალიშვილი მაინც ვერ მიუხვდებოდა ეშმაკობას, მან ხომ კითხვა არ იცოდა.

ბერიკაცი არა და არ ეშვებოდა. საუბარი გაუბა, უთხრა, რომ დაღლილი იყო, სწყუროდა და ღვინო სთხოვა. სანტიაგომაც, იმის იმედით, იქნებ თავი გამანებოსო, მათარა გაუწოდა.

მაგრამ იმედი გაუცრუვდა – ბერიკაცს ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლილი. მათარა რომ დაუბრუნა, ახლა ის ჰკითხა, რა წიგნს კითხულობო. სანტიაგომ სხვა სკამზე დააპირა გადაჯდომა, მაგრამ მამა მუდამ ასწავლიდა, თავაზიანად მოქცეოდა მოხუცებს, ამიტომ უსიტყვოდ გაუწოდა წიგნი: იქნებ იმ ბერიკაცმა იცოდა კიდეც, სწორად როგორ უნდა წარმოეთქვა ამ წიგნის სახელწოდება. თუ უწიგნური აღმოჩნდებოდა, თვითონ გაერიდებოდა და ამით უხერხულობასაც თავს დააღწევდა.

– ჰმ... – თქვა ბერიკაცმა და წიგნი ისე შეათვალიერა, თითქოს ასეთ უცნაურ ნივთს პირველად ხედავდა, – კარგი წიგნია, ოღონდ ძალიან მოსაწყენი.

სანტიაგო გაოცდა: ეტყობოდა, ბერიკაცმა არა მარტო კითხვა იცოდა, ეს წიგნიც ჰქონდა წაკითხული. ჰოდა, თუ მართლა მოსაწყენი იყო, ჯერ კიდევ მოასწრებდა, სხვა წიგნზე გადაეცვალა.

– ეს წიგნიც იმაზეა, რაზეც ყველა დანარჩენი, – განაგრძო ბერიკაცმა, – უნდათ, დაამტკიცონ, რომ ადამიანს ძალა არ შესწევს, თავისი ბედი თვითონ წარმართოს. უნდათ, დაარწმუნონ ადამიანები ამქვეყნად ყველაზე დიდ ტყუილში.

– რა არის ამქვეყნად ყველაზე დიდი ტყუილი? – გაოცდა სანტიაგო.

– ტყუილია, რომ რაღაც მომენტში ჩვენი ცხოვრება ჩვენ აღარ გვემორჩილება და მას ბედისწერა მართავს.

– მგონი, ნათქვამს ვერ მიგიხვდით, – თქვა სანტიაგომ, – ჩემს მშობლებს, მაგალითად, უნდოდათ, მღვდელი გავმხდარიყავი, მე კი ცხვარში წავედი.

– კარგადაც მოქცეულხარ, – თავი დაუქნია ბერიკაცმა, – შენ ხომ მოგზაურობა გიყვარს.

«თითქოს ჩემს აზრებს კითხულობს,» – გაიფიქრა ყმაწვილმა.

ბერიკაცი კი აუჩქარებლად ფურცლავდა სქელ წიგნს, თითქოს საერთოდ არ აპირებდა მის უკან დაბრუნებას. მხოლოდ ახლა შეამჩნია სანტიაგომ, რომ უცნობს არაბული ბურნუსი ეცვა. თუმცა, ამაში არც არაფერი იყო გასაოცარი: ტარიფას აფრიკული სანაპიროსგან მხოლოდ ვიწრო ყურე ჰყოფდა, რომლის გადაცურვაც სულ რამდენიმე საათში შეიძლებოდა. არაბები ხშირად ჩამოდიოდნენ ქალაქში, რაღაც–რაღაცეებს ყიდულობდნენ და დღეში რამდენჯერმე აღასრულებდნენ თავიანთ უცნაურ ლოცვებს.

– თქვენ საიდან ხართ? – ჰკითხა მან ბერიკაცს.

– არსაიდან.

– ასე არ ხდება, – შეეკამათა ყმაწვილი, – ყველა ადამიანი სადღაც იბადება. მე, მაგალითად, მწყემსი ვარ, მთელ ქვეყანაზე დავეხეტები, მაგრამ წარმოშობით ერთი ქალაქიდან ვარ, სადაც მთაზე უძველესი ციხესიმაგრე დგას. იქ დავიბადე.

– თუ დაბადების ადგილი გაინტერესებს, სალიმში ვარ დაბადებული.

სანტიაგოს წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იყო ეს სალიმი, მაგრამ მოერიდა და არ უკითხავს. ისევ ხალხით სავსე მოედანს გახედა.

– რა ხდება სალიმში?

– იგივე, რაც ხდებოდა.

სალიმის ადგილმდებარეობის გასარკვევად ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვა, მხოლოდ იმას ხვდებოდა, რომ ეს ქალაქი ანდალუსიაში არ მდებარეობდა, თორემ ეცოდინებოდა მისი არსებობის შესახებ.

– იქ რას აკეთებთ?

– რას ვაკეთებ? – ბერიკაცმა გულიანად გადაიხარხარა, – ვმართავ. მე სალიმის ხელმწიფე ვარ.

«ხანდახან რა სისულელეს არ იტყვის ადამიანი, – გაიფიქრა ყმაწვილმა, – მართლა უტყვ ცხვრებთან ურთიერთობა ჯობია, რომელთაც მხოლოდ საჭმელ–სასმელი ადარდებთ; ან წიგნის კითხვა – მაშინ გიყვება უცნაურ ამბებს, როცა ამის მოსმენა გსურს. ადამიანებთან საუბარი კი ძალიან ძნელია: რაღაცას მოგატყუებენ, შენ კი ზიხარ შეფურთხებულივით და არ იცი, რა უპასუხო».

– მე მელქისედეკი მქვია, – ჩაილაპარაკა ბერიკაცმა, – რამდენი ცხვარი გყავს?

– საკმარისი, – პასუხს თავი აარიდა სანტიაგომ.

– მართლა? თუკი გგონია, რომ საკმარისი ცხვარი გყავს, მაშ, ჩემი დახმარება აღარ დაგჭირდება.

ახლა კი მართლა გაბრაზდა ყმაწვილი. მას დახმარება არ უთხოვია. თავად ბერიკაცმა სთხოვა ჯერ ღვინო, მერე წიგნის დათვალიერება მოუნდა, მერე – ლაპარაკი.

– წიგნი დამიბრუნეთ, – უთხრა ბერიკაცს, – ჩემი წასვლის დროა.

– შენი ფარის მეათედს თუ მომცემ, გასწავლი, როგორ უნდა იპოვო განძი.

ყმაწვილი უცებ ყველაფერს მიხვდა. ბოშა დედაბერმა ფული არ გამოართვა, მაგრამ თავისი ქმარი გამოუგზავნა, რომ ათასი სისულელე ეთქვა და ფული დაეცანცლა.

მაგრამ ვიდრე სანტიაგო ხმის ამოღებას მოასწრებდა, ბერიკაცმა ჩხირი აიღო და ქვიშაზე რაღაცის ხატვა დაიწყო. რომ დაიხარა, მკერდზე რაღაც ისე გაუბრწყინდა, რომ ყმაწვილი ერთი წამით დაბრმავდა კიდეც. ბერიკაცმა ასაკისთვის შეუფერებელი სისწრაფით შეისწორა სამოსი და როცა სანტიაგოს კვლავ დაუბრუნდა მხედველობა, ქვიშაზე უცნაურ ნახაზს მოჰკრა თვალი.

ამ ნახაზში ამოიკითხა თავისი მშობლების სახელები და ლამის ამ წუთამდე განვლილი მთელი ცხოვრება – თავისი ბავშვური თამაშები და სემინარიაში გატარებული ცივი ღამეები; მედუქნის ქალიშვილის სახელსაც მოჰკრა თვალი, რომელიც ახლა პირველად შეიტყო; წაიკითხა ის, რაც არასოდეს არავისთვის მოეთხრო: ირემზე სანადიროდ რომ წავიდა და მამის უკითხავად აიღო თოფი; ისიც, თავის სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად რომ იწვა ქალთან.

«მე სალიმის ხელმწიფე ვარ», – გაახსენდა ყმაწვილს.

– მეფე რატომ ელაპარაკება მწყემსს? – მორიდებით ჰკითხა შეცბუნებულმა სანტიაგომ.

– ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ შენ უნარი შეგწევს, საკუთარ ბედისწერას მისდიო.

– რა ბედი მელის? – ჰკითხა ყმაწვილმა.

– სიყმაწვილეში ყველა ადამიანმა იცის, რა ბედიც ელის. ცხოვრების ამ პერიოდში ყველაფერი გასაგებია და ყველაფერი – შესაძლებელი. ამიტომ არ ეშინიათ: ოცნებობენ და ისწრაფიან იმისკენ, რისი გაკეთებაც სურთ. მაგრამ დროთა განმავლობაში იდუმალი ძალა არწმუნებთ, რომ ოცნების ასრულება შეუძლებელია.

სანტიაგო მაინცადამაინც არ შეუძრავს ბერიკაცის სიტყვებს, მაგრამ «იდუმალმა ძალამ» დააინტერესა – მედუქნის ქალიშვილი გაოცებისაგან პირს დააღებდა, ამ უცნაურ ამბავს რომ მოუთხრობდა.

– ეს ძალა არაკეთილმოსურნე ჩანს, მაგრამ, სინამდვილეში, ადამიანს მიანიშნებს, როგორ აიხდინოს ოცნება. ის ამზადებს მის სულსა და ნებისყოფას. ამქვეყნად ერთადერთი დიადი ჭეშმარიტება არსებობს: იმისდა მიუხედავად, ვინ ხარ და რას აკეთებ, თუკი ნამდვილად ესწრაფვი რაღაცას, აუცილებლად მიაღწევ კიდეც, რადგან ეს სურვილი სამყაროს სულშია ჩასახული. და სწორედ ეს არის შენი დანიშნულება ამქვეყნად.

– თუნდაც ის მინდოდეს, რომ აღმა–დაღმა ვიხეტიალო ან მედუქნის ქალიშვილი მოვიყვანო ცოლად?

– ან განძი იპოვო... სამყაროს სული ადამიანთა ბედნიერებით იკვებება. ბედნიერებით, მაგრამ, ამასთან ერთად, უბედურებით, შურითა და ეჭვებითაც. ადამიანს მხოლოდ ერთადერთი მოვალეობა აკისრია ამქვეყნად: ბოლომდე მიჰყვეს თავის ბედს. ეს არის მთავარი. დაიხსომე, როცა გულით გწადია რაღაც, მთელი სამყარო გეხმარება სურვილის ასრულებაში.

ერთხანს უსიტყვოდ გასცქეროდნენ მოედანს და გამვლელებს. დუმილი ისევ ბერიკაცმა დაარღვია:

– აბა, მითხარი, რატომ გადაწყვიტე, ცხვარი გემწყემსა?

– იმიტომ, რომ ხეტიალი მიყვარს.

ბერიკაცმა მოედნის ბოლოში წითელი ურიკასთან მიყუჟულ ბატიბუტის გამყიდველზე მიუთითა.

– ბავშვობაში ისიც მოგზაურობაზე ოცნებობდა, მაგრამ შემდეგ ბატიბუტის გაყიდვა და ფულის დაგროვება არჩია. სიბერეში, ერთ თვეს აფრიკაში გაატარებს. რადგან მას იმის უნარი არ შესწევს, მიხვდეს, რომ ადამიანს ყოველთვის შეუძლია, ოცნება აისრულოს.

– აჯობებდა, მწყემსი გამხდარიყო, – თქვა სანტიაგომ.

– ამაზეც ფიქრობდა. მაგრამ მერე ვაჭრობა არჩია. ვაჭრებს არ აწვიმთ და არ ათოვთ, მწყემსები კი ტრიალ მინდორზე ათენებენ ღამეს. ქალის მშობლებსაც სასიძოდ ვაჭარი ურჩევნიათ და არა მწყემსი.

სანტიაგოს მედუქნის ქალიშვილი გაახსენდა და გულში უსიამოვნოდ გაკენწლა: იმ გოგონას ქალაქშიც ხომ დაეხეტება ერთი წითელ ურიკიანი ადამიანი მაინც.

– ჰოდა, ისე გამოდის, რომ ადამიანთა შეხედულება მწყემსებსა და ბატიბუტის გამყიდველებზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი გზა.

ბერიკაცმა კიდევ გადაფურცლა წიგნი და კითხვა დაიწყო. სანტიაგო დიდხანს ელოდა, მერე მაინც გადაწყვიტა, მისი ყურადღება მიეპყრო, – წეღან ხომ არც ბერიკაცმა აცალა კითხვა:

– ამაზე მე რატომ მელაპარაკებით?

– იმიტომ, რომ დღემდე შენს ბედს მიჰყვებოდი. ახლა კი მზად ხარ, ზურგი აქციო.

– და ასეთ წუთებში ადამიანებს აფრთხილებთ ხოლმე?

– ყოველთვის. ისიც შემიძლია, სახე ვიცვალო, სწორ გადაწყვეტილებად ან ჭკვიანურ აზრად ვეწვიო. ზოგჯერ კი, გადამწყვეტ წუთებში, გამოსავლის მოძებნაში ვეხმარები. მაგრამ, ჩვეულებრივ, ადამიანები ჩემს მოსვლას ვერ ამჩნევენ.

და ბერიკაცმა უამბო, რომ სწორედ ერთი კვირის წინ ქვად იქცა და ისე გამოეცხადა ვიღაც მაძიებელს. იმ კაცს დიდი ხნის წინ მიეტოვებინა ყველაფერი და ზურმუხტის მოპოვება დაეწყო. ხუთ წელს მდინარის ნაპირას შრომობდა და უკვე 888 888 ქვა ჰქონდა გატეხილი. მაგრამ იმედის ძაფი გასწყვეტოდა და თავის ოცნებაზე უარის თქმას აპირებდა, თუმცა, სინამდვილეში, სულ ერთადერთი ქვაღა რჩებოდა და სწორედ იმ ქვაში იპოვიდა ზურმუხტს. საკუთარი ოცნებისკენ მისი დაჟინებული სწრაფვით აღტაცებულმა ბერიკაცმა გადაწყვიტა, მაძიებელს დახმარებოდა: ქვად იქცა და ფეხებთან გაუგორდა. მაგრამ ხუთწლიანი უშედეგო შრომით გავეშებულმა და

იმედგაცრუებულმა კაცმა ქვას ფეხი ჰკრა და შორს მოისროლა. ქვა მთელი ძალით შეეჯახა მეორე ქვას, შუაზე გააპო და იქიდან ულამაზესი ზურმუხტი გამობრწყინდა.

– ადამიანებს ჰგონიათ, რომ ძალიან ადრე ხვდებიან, რისკენ ისწრაფიან და რაშია დაფარული მათი ცხოვრების აზრი, – თქვა ბერიკაცმა და სანტიაგომ მის თვალებში ნაღველი ამოიკითხა, – იქნებ ამიტომაც ადრევე ამბობენ უარს თავიანთ ოცნებებზე. ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი. ყმაწვილს გაახსენდა, რომ საუბრის დასაწყისში ბერიკაცმა განძი ახსენა.

– განძი ნაკადულებს და მდინარეებს ამოაქვთ დედამიწის ზედაპირზე და ისინივე მარხავენ მიწის წიაღში, – უთხრა ბერიკაცმა, – და თუკი გინდა, უფრო დაწვრილებით შეიტყო რამე შენს საგანძურზე, მაშინ შენი ფარის ყოველი მეათე ცხვარი უნდა მომცე.

– იქნებ იმის მეათედი მომეცა, რასაც ვიპოვი?

– ვერავის შეჰპირდები იმას, რაც არ გეკუთვნის, ამით ფლობის უფლებას დაკარგავ, – უთხრა ბერიკაცმა.

სანტიაგოს გაახსენდა, რომ თავისი განძის მეათედს უკვე შეჰპირდა ბოშა ქალს.

– ბოშებმა იციან, საწადელს როგორ მიაღწიონ, – ამოიოხრა ბერიკაცმა, – ასეა თუ ისე, ურიგო არ იქნებოდა, გაგეგო, რომ ამქვეყნად ყველაფერს თავისი ფასი აქვს. სწორედ ამას ასწავლიან ნათლის რაინდები, – მან სანტიაგოს წიგნი დაუბრუნა, – ხვალ ამ დროს, შენი ფარის მეათედს მომირეკავ. მაშინ მოგიყვები, როგორ უნდა მიაგნო განძს.

უთხრა და თვალს მიეფარა.

სანტიაგომ კვლავ წიგნი გადაშალა, მაგრამ კითხვას გული ვეღარ დაუდო. ბერიკაცთან საუბარმა სული აუფორიაქა, რადგან გრძნობდა, ის სიმართლეს ეუბნებოდა. მერე წითელ ურიკასთან მივიდა და ბატიბუტი იყიდა, თან იმას ფიქრობდა, ეთქვა თუ არა, რაც ბერიკაცისგან შეიტყო, მაგრამ მერე გადაწყვიტა, რომ ამაზე ლაპარაკი არ ღირდა.

«ხანდახან ჯობია, ყველაფერი ისე დატოვო, როგორც არის», – გაიფიქრა მან. ბერიკაცის წინასწარმეტყველება რომ ბატიბუტის გამყიდველისთვის ეთქვა, გორგოლაჭიან ურიკასთან ლამის შეზრდილ გამყიდველს დღედაღამ საფიქრალი გატანჯავდა, მიეტოვებინა თუ არა ყველაფერი და გზას გასდგომოდა. «ამ ტანჯვისაგან მაინც დავიხსნი».

და სანტიაგო ალალბედზე გაუყვა ქუჩებს. დიდხანს იარა, სანამ პორტში ბილეთების სალაროს პატარა სარკმელთან არ აღმოჩნდა. იქ, სალაროში, აფრიკისკენ მიმავალ გემზე ჰყიდდნენ ბილეთებს. ეგვიპტეც ხომ აფრიკაში იყო.

– რა გნებავთ? – ჰკითხა მოლარემ.

– არაფერი, იქნებ ისეც მოხდეს, რომ ხვალ თქვენთან ვიყიდო ბილეთი, – უპასუხა სანტიაგომ და გაეცალა.

სულ ერთი ცხვრის საფასურად აღმოჩნდებოდა აფრიკაში. ამ აზრმა შეაშფოთა. მოლარემ კი თავის მოადგილეს უთხრა:

– კიდევ ერთი მეოცნებე. მოგზაურობა უნდა, ჯიბე კი ცარიელი აქვს.

სალაროსთან მდგარ სანტიაგოს თავისი ცხვრები გაახსენდა და ანაზდად საოცრად მოუნდა მათთან დაბრუნება. ამ ორი წლის მანძილზე ერთთავად იმას ცდილობდა, მწყემსის ხელობას დაუფლებოდა და, ბოლოს და ბოლოს, მიღწია კიდეც სრულყოფილებას – ცხვრის გაპარსვაც შეეძლო და დოლის დროს დახმარებაც; ვერც მგელი სტაცებდა ცხვარს. საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა ანდალუსიის ყველა იალაღს და არც ცხვრის ზუსტი ფასი შეეშლებოდა.

ფარეხისაკენ, სადაც ფარა ელოდა, შორი გზით წავიდა. ამ ქალაქშიც იყო ციხესიმაგრე და ყმაწვილმა მთაზე ასვლა და ცოტა ხნით გალავანზე ჩამოჯდომა გადაწყვიტა. იქიდან აფრიკა მოჩანდა. ვიღაცის ნათქვამი გაახსენდა, რომ მრავალი, მრავალი წლის წინ, უხსოვარ დროს მავრებმა ზღვა გადმოცურეს და დიდი ხნით დაიმონეს ესპანეთი. სანტიაგო მავრებს ვერ იტანდა: ალბათ, მათვე მოჰყვნენ ბოშებიც.

გალავნიდან ხელისგულივით მოჩანდა მთელი ქალაქი და ბაზრის მოედანი, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ბერიკაცს ესაუბრებოდა.

«წყეულიმც იყოს ჩვენი შეხვედრის წუთი», – გაიფიქრა ყმაწვილმა. მას ხომ მხოლოდ სიზმრის ახსნა უნდოდა და მეტი არაფერი. არც ბოშა ქალი და არც ბერიკაცი არად დაგიდევდნენ, რომ სანტიაგო მწყემსი იყო და ეს მარტოსული და იმედდაწრეტილი ადამიანები ვერც კი ხვდებოდნენ, რომ ყველა მწყემსი სულითა და გულით არის მიჯაჭვული თავის ფარაზე. სანტიაგომ დაწვრილებით იცოდა თითოეული ცხვრის გასაჭირი: ერთი ბერწი იყო, მეორე – მაკე, ზოგი კი – ზარმაცი. სანტიაგოს მათი გაკრეჭაც შეეძლო და დაკვლაც. ახლა ცხვრების მიტოვება აღარ შეიძლებოდა, უმისოდ მოიწყენდნენ და თავგზააბნეულები დარჩებოდნენ.

ქარი ამოვარდა. მას ეცნო ეს ქარი – ხალხი ამ ქარს «ლევანტიელს» ეძახდა, რადგან სწორედ ის ბერავდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე მდებარე ლევანტიიდან წამოსული მავრების აფრებს. ტარიფაში ჩასვლამდე, ყმაწვილი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ აფრიკა, ეს სახიფათო მეზობელი, ასე ახლოს იყო – მავრებს ხომ კიდევ შეეძლოთ შემოტევა. ქარი ძლიერდებოდა. «ცხვრებსა და განძს შორის ხომ არ გავიხლიჩები», – გაიფიქრა ბოლოს. მას ახლა იმათ შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი, რასაც მიეჩვია და რაც იზიდავდა. ამის გარდა, მედუქნის ქალიშვილიც ხომ არსებობდა, მაგრამ უმთავრესად მაინც ცხვრები ეჩვენებოდა, რადგან, გოგონასაგან განსხვავებით, ისინი სანტიაგოზე იყვნენ დამოკიდებულნი. მედუქნის ქალიშვილს კი, ვინ იცის, იქნებ აღარც კი ახსოვდა სანტიაგო! ყმაწვილი დარწმუნებული იყო: დათქმულ დროს რომ არ მისულიყო, გოგონა ვერც კი შეამჩნევდა, მას ხომ ყველა დღე ერთფეროვნად ეჩვენებოდა, და როცა ერთი დღე მეორეს ჰგავს, ადამიანები იმ მშვენიერებას ვეღარ ამჩნევენ, რასაც ცხოვრება სთავაზობთ ხოლმე ყოველი მზის ამოსვლის შემდეგ.

«ერთხელ უკვე მივატოვე ყველაფერი: დედა, მამა და მშობლიური სოფლის ციხესიმაგრე, ყველა შეეგუა განშორებას და მეც მივეჩვიე. მაშასადამე, ცხვრებიც გაძლებენ უჩემოდ», – ფიქრობდა სანტიაგო.

გალავნის სიმაღლიდან მან კვლავ მოედანს მოავლო თვალი. ბატიბუტის გამყიდველი მუხლჩაუხრელად შრომობდა. იმ სკამზე კი, სადაც ცოტა ხნის წინ ბერიკაცს ელაპარაკებოდა, ახლა ვიღაც წყვილი იჯდა და ერთმანეთს კოცნიდა.

«ვაჭარი»... – გაიფიქრა სანტიაგომ, მაგრამ აზრის დასრულება ვეღარ მოასწრო – «ლევანტიელი» პირდაპირ სახეზე შეეხალა.

ქარი არა მხოლოდ დამპყრობი მავრების აფრებს ბერავდა, მას სულის ამფორიაქებელი სუნიც მოჰქონდა უდაბნოდან: ჩადრიანი ქალებისა და იმათი ოფლისა და ოცნების სუნი, ვინც ოდითგან ამოუცნობის საძებნელად, ოქროსა და თავგადასავლების საძიებლად მიდიოდა. მასვე მოჰქონდა პირამიდების სურნელიც. ყმაწვილს შეშურდა ქარის თავისუფლება და ისიც იგრძნო, რომ მასაც შეეძლო, ქარს დამსგავსებოდა. თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე თავისი თავის გარდა წინ არავინ ეღობებოდა. ცხვრები, მედუქნის ქალიშვილი და ანდალუსიის ველები – ეს ყველაფერი მხოლოდ საკუთარ მიზნამდე მისასვლელი ბილიკები იყო.

მეორე დღეს, შუადღისას, ექვსი ცხვარი მიიყვანა მოედანზე.

– გასაოცარია, ჩემმა მეგობარმა სიტყვის დამთავრებაც არ მაცადა, ისე იყიდა ფარა და მითხრა, რომ მთელი სიცოცხლე მწყემსობაზე ოცნებობდა. კარგის ნიშანია, – უთხრა ბერიკაცს.

– ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, ამას იღბლიანი დასაწყისი ჰქვია. შენს სიცოცხლეში პირველად რომ დამჯდარიყავი ბანქოს სათამაშოდ, აუცილებლად მოიგებდი. დამწყებებს ბედი სწყალობთ, – უპასუხა ბერიკაცმა.

– ასე რატომ ხდება?

– იმიტომ, რომ ცხოვრებას უნდა, შენს ბედს მისდიო, და პირველი გამარჯვების აღფრთოვანებით გიზიდავს.

მერე ბერიკაცმა ცხვრები დაათვალიერა და ნახა, რომ ერთი კოჭლობდა. ყმაწვილმა აუხსნა, რომ ეს იყო სწორედ ყველაზე ჭკვიანი ცხვარი და მატყლსაც ყველაზე მეტს იძლეოდა.

– მითხარი, სად ვეძებო განძი? – ჰკითხა მან.

– ეგვიპტეში, პირამიდების სიახლოვეს.

სანტიაგო გაოგნდა. ბოშა ქალმაც ხომ იგივე უთხრა, ოღონდ ამისათვის საფასური არ გამოურთმევია.

– განძისკენ მიმავალ გზას იმ ნიშნებით გაიკვლევ, რომელთაც უფალი ყოველი ადამიანის გზაზე აფენს. უბრალოდ, იმის ამოკითხვა უნდა შეძლო, რაც შენთვის იქნება დაწერილი.

სანტიაგომ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, თვალწინ პეპელა აუფარფატდა. მაშინვე ბავშვობაში პაპისაგან გაგონილი სიტყვები გაახსენდა, პეპელა კარგის ნიშანიაო, ისევე როგორც, ჭრიჭინები, ხვლიკები და სამყურას ოთხფურცლა ფოთლები.

– მართალია, – მის ნაფიქრს უპასუხა ბერიკაცმა, – ზუსტად ისეა, როგორც პაპა გეუბნებოდა. სწორედ ეს არის ის ნიშნები, რომლის წყალობითაც გზას არ ასცდები.

მოხუცმა მკერდი მოიღეღა და გაოცებულ სანტიაგოს გუშინდელი დამაბრმავებელი ბრწყინვალება გაახსენდა. ახლაღა მიხვდა ამის მიზეზს – ბერიკაცს ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ბაჯაღლო ოქროს გულსაკიდი ეკეთა. ვინ იცის, იქნებ მართლაც მეფე იყო და გადაცმულიც იმიტომ დადიოდა, რომ ავაზაკები თავს არ დასხმოდნენ.

– აი, გამომართვი, – უთხრა ბერიკაცმა, ყელსაბამიდან ერთი თეთრი და ერთი შავი ქვა მოიხსნა და სანტიაგოს გაუწოდა, – ამ ქვებს ურიმი და თუმიმი ჰქვია. თეთრი თანხმობას აღნიშნავს, შავი – უარს. როცა ნიშნებში გარკვევას ვეღარ მოახერხებ, ეს ქვები დაგეხმარებიან. ჰკითხე და გიპასუხებენ. მაგრამ, უმთავრესად, ეცადე, თვითონ მიიღო გადაწყვეტილება. შენ უკვე იცი, რომ განძი პირამიდებთან გელოდება, ეს ექვსი ცხვარი კი იმის საფასურად მიმყავს, რომ გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარე.

ყმაწვილმა ქვები აბგაში ჩააწყო. ამიერიდან თვითონ მოუწევდა გადაწყვეტილებების მიღება.

– არ დაივიწყო, რომ სამყარო ერთი მთლიანობაა. ნიშნების ენას მისდიე და, რაც მთავარია, გახსოვდეს, რომ ვალდებული ხარ, ბოლომდე მიჰყვე ბედისწერას. ახლა კი ერთ პატარა არაკს გიამბობ:

ერთმა ვაჭარმა, ბედნიერების საიდუმლოს შესასწავლად, ბრძენთა ბრძენთან გაგზავნა შვილი. ყმაწვილი ორმოც დღეს მიაბიჯებდა უდაბნოში და ბოლოს მთის მწვერვალზე დიდებული ციხესიმაგრე დაინახა. იქ ცხოვრობდა ბრძენი.

უცნაური იყო, მაგრამ ციხესიმაგრე არაფრით ჰგავდა ბერის საყუდელს და თან ხალხით იყო სავსე: ვაჭრები საქონელს ასაღებდნენ, ყველგან ხალხი ირეოდა და საუბრობდნენ, პატარა ორკესტრი ნაზ მელოდიას უკრავდა, შუა დარბაზში კი ძვირფასი საჭმლით სავსე სუფრა იყო გაშლილი.

ბრძენი აუჩქარებლად დააბიჯებდა დარბაზში და სტუმრებს ემუსაიფებოდა. ყმაწვილს ორ საათს მოუწია ლოდინი, ვიდრე მისი ჯერი დადგებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მასთანაც მივიდა ბრძენი, მოუსმინა და მოცდა სთხოვა, მაგრამ რადგანაც ჯერ არ ეცალა ბედნიერების საიდუმლოს ასახსნელად, ურჩია, ციხესიმაგრე დაეთვალიერებინა და ორი საათის შემდეგ დაბრუნებულიყო.

«ერთი თხოვნაც მექნება შენთან, – უთხრა ყმაწვილს და ჩაის კოვზი გაუწოდა, რომელზეც ორი წვეთი ზეთი ესხა, – ეს კოვზი თან წაიღე და ეცადე, არ დაგეღვაროს».

ყმაწვილმა კოვზი გამოართვა და ფრთხილად აუყვა სასახლის კიბეებს, ორი საათის შემდეგ კი კვლავ ბრძენის წინაშე წარსდგა.

«სასადილო დარბაზის სპარსული ხალიჩები მოგეწონა? ბაღში თუ იყავი და ხეები და ყვავილები თუ ნახე, რომლის გასაშენებლადაც ათ წელიწადს იშრომეს მებაღეებმა? ბიბლიოთეკაში უძველესი ფოლიანტები და პერგამენტები თუ ნახე?» – ჰკითხა ბრძენმა.

დარცხვენილმა ყმაწვილმა აღიარა, რომ ვერაფრის ნახვა ვერ შეძლო, რადგან მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ბრძენისაგან მიბარებული ორი წვეთი ზეთი არ დაღვროდა.

«უკან გაბრუნდი და სასახლე დაათვალიერე, – უთხრა ბრძენმა, – როგორ შეიძლება, ენდო ადამიანს, თუ არ იცი, სად და როგორ ცხოვრობს».

ყმაწვილი თავის კოვზიანად ისევ სასახლის დარბაზებსა და დერეფნებს გაუყვა. ამჯერად უფრო თავისუფლად დააბიჯებდა და სასახლის საოცრებებსა და ხელოვნების ნიმუშებს ათვალიერებდა. ბაღშიც გაისეირნა, სასახლის ირგვლივ შემოჯარული მთების სილამაზითაც დატკბა და ყვავილებისა და ქანდაკებების მშვენიერი განლაგებითაც მოიხიბლა. ბრძენთან მიბრუნებულმა, დაწვრილებით მოუთხრო, რაც ნახა.

«ის ორი წვეთი ზეთი სადღაა, მე რომ მოგაბარე?» – ჰკითხა ბრძენმა.

ყმაწვილმა მაშინღა შეამჩნია, რომ კოვზი ცარიელი იყო.

«აი, ეს არის ერთადერთი რჩევა, რომელიც უნდა მომეცა, – უთხრა ბრძენთა ბრძენმა, – ბედნიერების საიდუმლო ის არის, რომ ამქვეყნიური საოცრებებითა და დიდებულებით დატკბე, მაგრამ არც ის ორი წვეთი ზეთი დაგავიწყდეს, კოვზზე რომ გისხია».

სანტიაგო დიდხანს დუმდა. მიხვდა, რის თქმა სურდა ბერიკაცს: მწყემსს მოგზაურობა უყვარს, მაგრამ თავისი ცხვრები არასოდეს ავიწყდება.

მეფე მელქისედეკი კარგა ხანს აკვირდებოდა სანტიაგოს, ბოლოს ხელები ერთმანეთს მიადო და თავს ზემოთ უცნაური ნიშანი გამოუსახა, მერე ცხვარი გაირეკა და გზას გაუდგა.

პატარა ქალაქ ტარიფას ჯერ კიდევ მავრების აშენებული ძველი ციხესიმაგრე გადმოჰყურებდა. კოშკიდან მოედანიც მოჩანდა, ბატიბუტის გამყიდვლის ურიკაც და აფრიკის სანაპირო ზოლიც. გალავანზე ახლა მელქისედეკი იჯდა, სალიმის ხელმწიფე, და სახე აღმოსავლეთის ქარისთვის მიეშვირა. ამდენი ცვლილებით შეშფოთებული ცხვრები ახალი პატრონისაგან მოშორებით იდგნენ და ერთმანეთს ეკვროდნენ. მათ ახლაც მხოლოდ და მხოლოდ საკვები ადარდებდათ.

მელქისედეკი ზღვაში გასასვლელად გამზადებულ მომცრო ბარკასს გასცქეროდა და იმაზე ფიქრობდა, რომ ვეღარასოდეს ნახავდა ამ ყმაწვილს, ისევე როგორც აღარ უნახავს აბრაამი, ვინც პირველმა მისცა მეათედი ნაწილი.

უკვდავებს სურვილები არ უნდა ჰქონდეთ, რადგან ამქვეყნად აღარ არსებობს მათი საკუთარი გზა. და მაინც, გულის სიღრმეში მელქისედეკი ლოცავდა ამ ყმაწვილს, სახელად სანტიაგო რომ ერქვა, და უსურვებდა, წარმატებით ევლო ამქვეყნად.

«საწყენია, რომ ეს ბიჭი მალე დაივიწყებს ჩემს სახელს, – ფიქრობდა ის, – რამდენჯერმე მაინც უნდა გამემეორებინა, რომ ჩემი გახსენებისას ეთქვა: «მელქისედეკი, სალიმის ხელმწიფე».

მან ზეცისკენ აღაპყრო თვალები და ოდნავ დარცხვენილმა ჩაიჩურჩულა:

– ვიცი, უფალო, შენ ამბობდი, რომ ეს ყოველივე ამაოებაა ამაოებათა შორის, მაგრამ ხანდახან ბებერ ხელმწიფესაც აქვს უფლება, იამაყოს.

«რა უცნაური ადგილია ეს აფრიკა», – ფიქრობდა სანტიაგო.

ის ახლა ერთ პატარა სასადილოში იჯდა. ასეთი სასადილოები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა ამ პატარა ქალაქის ვიწრო ქუჩებში. რამდენიმე ადამიანი უზარმაზარ ყალიონს ერთმანეთს გადასცემდა და რიგრიგობით ეწეოდა. რა არ ნახა აქ: კაცები, ხელიხელჩაკიდებულები რომ დადიოდნენ; ჩადრიანი ქალები; ღვთისმსახურები, მაღალ კოშკებზე რომ ადიოდნენ და იქიდან რაღაცას გაჰკიოდნენ, ირგვლივ კი ყველა მუხლს იყრიდა და მიწას შუბლს ურტყამდა.

«სარკინოზთა ქვეყანაა და ადათ–წესებიც სარკინოზული აქვთ», – გაიფიქრა სანტიაგომ.

ბავშვობაში თავისი სოფლის ეკლესიაში ჰქონდა ნანახი წმინდა იაკობის ხატი – მავრთა დამმარცხებელი იაკობი ხმალშემართული იჯდა თეთრ ცხენზე, მის ფერხთით კი პირქვე იყვნენ დამხობილები შემზარავი გარეგნობის ადამიანები, ასე ძალიან რომ ჩამოჰგავდნენ ამ სასადილოში სანტიაგოს გვერდით მსხდარ ხალხს. ყმაწვილი ძალიან უგუნებოდ იყო, საოცარ მარტოობას გრძნობდა.

გამომგზავრებისას, სიჩქარეში, ერთი გარემოება ვეღარ გაითვალისწინა, რომელსაც შეეძლო, საგანძურისკენ მიმავალი გზა დიდი ხნით ჩაეკეტა: ამ ქვეყანაში ყველა არაბულად ლაპარაკობდა.

სანტიაგოს სასადილოს პატრონი მიუახლოვდა და ყმაწვილმა ნიშნებით გააგებინა, მისთვისაც იგივე მოეტანათ, რასაც მეზობელ მაგიდასთან მსხდომნი სვამდნენ. მწარე ჩაი აღმოჩნდა, ყმაწვილს კი ღვინის დალევა ერჩია.

თუმცა, ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა – ახლა მხოლოდ საგანძურზე და იმაზე უნდა ეფიქრა, როგორ მიეღწია პირამიდებამდე. ცხვრების გაყიდვით ფული იშოვა, ახლა ის ფული ჯიბეში ედო და უკვე მოესწრო კიდეც თავისი ჯადოსნური თვისების გამოვლენა – ფულთან ერთად ადამიანი მთლად მარტო აღარ გრძნობდა თავს. ძალიან მალე, ალბათ, რამდენიმე დღეში, სანტიაგო უკვე პირამიდებთან მივიდოდა. ბაჯაღლო ოქროს გულსაკიდიანი ბერიკაცი არ მოატყუებდა.

ბერიკაცი ნიშნებზე ელაპარაკებოდა და სანტიაგოც, ვიდრე სრუტეში მიცურავდა, ამ ნიშნებზე ფიქრობდა. მას ესმოდა ნიშნების ენა: ანდალუსიაში ხეტიალისას მიწასა და ცაზე გამოსახული ნიშნების ამოცნობა ისწავლა და წინასწარ ხვდებოდა, რა ელოდა მომავალში. ჩიტს შეეძლო, წინასწარ გაეფრთხილებინა, რომ სადღაც გველი იყო გასუსული; ბუჩქი მიანიშნებდა, რომ სულ ახლოს ნაკადულს ან მდინარეს იპოვიდა. და ეს ყველაფერი ცხვრებმა ასწავლეს.

«თუ ღმერთი ცხვრებს ეხმარება, მეც არ გადამახვევინებს გზიდან», – გაიფიქრა სანტიაგომ და ცოტა დამშვიდდა. ჩაიც კი აღარ ეჩვენა მწარე.

– შენ ვინ ხარ? – ჰკითხა ვიღაცამ ესპანურად.

სანტიაგომ თავისუფლად ამოისუნთქა: ნიშნებზე ფიქრობდა და ნიშანიც ეუწყა. ეს ვიღაცა, დაახლოებით, მისი ასაკისა იქნებოდა, ევროპულად ეცვა, მაგრამ კანის ფერმა მიანიშნა, რომ ადგილობრივი მცხოვრები უნდა ყოფილიყო.

– ესპანური საიდან იცი? – ჰკითხა სანტიაგომ.

– აქ თითქმის ყველამ იცის ესპანური. ესპანეთი აქვეა, ყურის ძირში.

– ჩამოჯექი და დამეწვიე. კარგი იქნება, თუ ღვინოს მოატანინებ. ჩაი არ მომწონს.

– ამ ქვეყანაში ღვინოს არ სვამენ, – აუხსნა უცნობმა, – რელიგია კრძალავს. სანტიაგომ უთხრა, რომ პირამიდებთან აპირებდა მისვლას. ის იყო, განძის შესახებაც დააპირა მოყოლა, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი, შეეშინდა, ამ არაბსაც წილი არ მოეთხოვა. მას კარგად ახსოვდა ბერიკაცის ნათქვამი: შეუძლებელია, იმას შეჰპირდე, რაც შენ არ გეკუთვნის.

– პირამიდებთან ხომ ვერ მიმიყვან? საფასურს გადაგიხდიდი.

– იცი კი, სად არის პირამიდები?

სანტიაგომ შენიშნა, რომ სასადილოს პატრონი მაგიდას მოუახლოვდა და მათ საუბარს მიუგდო ყური. მისი თანდასწრებით საუბრის გაგრძელება არ უნდოდა, მაგრამ არც მოულოდნელად გამოჩენილი გამყოლის დაკარგვა სურდა.

– მთელი საჰარის გავლა მოგიწევს, – უთხრა მან, – ამისათვის კი ფულია საჭირო. ფული თუ გაქვს?

სანტიაგო კითხვამ გააოცა. ისევ ბერიკაცის ნათქვამი გაახსენდა: თუკი რაღაც გულით გწადია, მთელი სამყარო დაგეხმარება სურვილის ასრულებაში. მან ჯიბიდან ფული ამოიღო და არაბს აჩვენა. სასადილოს პატრონი უფრო ახლოს მივიდა მათთან და ფულს დააცქერდა, შემდეგ კი არაბულად რაღაც უთხრა იქაურ ყმაწვილს. სანტიაგო მიხვდა, რომ სასადილოს პატრონი ბრაზობდა.

– წავიდეთ აქედან, – უთხრა ყმაწვილმა, – ჩვენი აქ ყოფნა არ სიამოვნებს.

სანტიაგო სიხარულით წამოდგა და ანგარიშის გასწორება დააპირა, მაგრამ სასადილოს პატრონმა ხელზე ხელი სტაცა და რაღაც უთხრა არაბულად. ხელის გასათავისუფლებლად სანტიაგოს ძალა ეყოფოდა, მაგრამ უცხო ქვეყანაში იყო და არ იცოდა, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყო. საბედნიეროდ, ახალმა ნაცნობმა იხსნა: სასადილოს პატრონს ხელი ჰკრა და სანტიაგო ქუჩაში გაიყვანა.

– ფულის წართმევა უნდოდა. ტანჟერი აფრიკის სხვა ქალაქებს არ ჰგავს. ეს პორტია, პორტებში კი ყოველთვის უამრავ გაიძვერას შეიძლება გადაეყარო.

ამ კაცის ნდობა ნამდვილად შეიძლებოდა – გამოუვალ სიტუაციაში დაეხმარა. სანტიაგომ ისევ ამოიღო ფული ჯიბიდან და გადათვალა.

– პირამიდებისკენ ხვალვე შეგვიძლია გზას გავუდგეთ, მაგრამ ჯერ ორი აქლემი უნდა ვიყიდოთ, – უთხრა არაბმა და სანტიაგოს საფულე გამოართვა.

ისინი ტანჟერის ვიწრო ქუჩებში მიაბიჯებდნენ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ათასი წვრილმანით სავსე ფარდულები და დახლები ხვდებოდათ, მერე უამრავი ხალხით სავსე ბაზრის მოედანზე გავიდნენ – აქ ვაჭრობდნენ, ყიდდნენ, ყიდულობდნენ, კამათობდნენ. მწვანილი და ხილი ხანჯლების გვერდით ეწყო, ხალიჩები – სხვადასხვა ფორმის ყალიონებთან. სანტიაგო გვერდიდან არ შორდებოდა თავის თანამგზავრს – ფული იმას ედო ჯიბეში. საფულის უკან გამორთმევა უნდოდა, მაგრამ აქაურ ადათ–წესებს არ იცნობდა და ეშინოდა, უზრდელად არ ჩაეთვალათ. «არა უშავს, თვალს არ მოვაშორებ და ვერსად დამემალება, თან მასზე ძლიერიც ვარ», – თავს ინუგეშებდა.

ანაზდად მთელ ამ დახვავებულ საქონელში ერთ მშვენიერ ხმალს მოჰკრა თვალი – ასეთი სილამაზე არასოდეს ენახა: ვერცხლის ქარქაში და ძვირფასი თვლებითა და მინანქრით მოჭედილი ტარი ჰქონდა.

ეგვიპტიდან დაბრუნებისთანავე ვიყიდიო, გადაწყვიტა.

– ჰკითხე ერთი, რა ღირს, – ისე უთხრა თანამგზავრს, უკან არ მიუხედავს. იმავე წამს მიხვდა, რომ ვიდრე ხმალს ათვალიერებდა, არაბისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია. გულმა რეჩხი უყო. უკან მიხედვის ეშინოდა, უკვე იცოდა, რაც მოხდა. ერთხანს კიდევ დასცქეროდა ხმალს, ბოლოს ღონე მოიკრიბა და თავი შეაბრუნა.

ირგვლივ ბაზარი ხმაურობდა და ბობოქრობდა, ყველა რაღაცას გაჰყვიროდა, იქვე ეწყო ახოხოლავებული ნოხები, სპილენძის ლანგრები, მწვანილი; მიდი–მოდიოდნენ ხელიხელგაყრილი კაცები და ჩადრიანი ქალები, ჰაერი უცხო საჭმლის სურნელით იყო გაჯერებული. მხოლოდ მისი თანამგზავრი არაბი აღარსად ჩანდა.

სანტიაგომ თავი დაირწმუნა, ერთმანეთს შემთხვევით ავცდითო, და ადგილზე დარჩა – ვინ იცის, იქნებ ის არაბი მობრუნებულიყო კიდეც. დრო გადიოდა. მალე ვიღაც კაცი კოშკზე ავიდა და კივილით სიმღერას მოჰყვა. დანარჩენები პირქვე დაემხნენ, შუბლი მიწას დააბჯინეს და თვითონაც აჰყვნენ. შემდეგ კი ბეჯითი ჭიანჭველებივით აფუსფუსდნენ: საქონელი წამოკრიფეს, კარვები და დახლები დაკეტეს და ბაზარი დაცარიელდა.

მზეც ნელ–ნელა მიიპარებოდა ციდან; სანტიაგო დიდხანს იდგა და თვალით მიაცილებდა მნათობს, ვიდრე მოედნის ირგვლივ შემოჯარული თეთრი სახლების სახურავების უკან არ ჩაიმალა. და გაახსენდა, რომ ამ დილას, მზის ამოსვლისას, ჯერ კიდევ სხვა კონტინენტზე იმყოფებოდა, მეცხვარე იყო, სამოც ცხვარს მწყემსავდა და მედუქნის ქალიშვილთან შეხვედრაზე ოცნებობდა. ჯერ კიდევ დილით მას ეჭვი არაფერში ეპარებოდა, წინასწარ იცოდა, რაც მოხდებოდა და როდის გარეკავდა ფარას საძოვარზე.

ახლა კი, იმავე დღის მწუხრზე, სხვა ქვეყანაში იყო, უცხო იყო უცხოთა შორის და არც აქაური ენა ესმოდა. ის აღარც მწყემსი იყო და ყველაფერი უკვე დაკარგული ჰქონდა – უპირველესად კი – ფული, მაშასადამე, აღარც უკან დაბრუნება შეეძლო და აღარც ყველაფრის თავიდან დაწყება.

«რამდენი რამ მოხდა განთიადიდან შებინდებამდე», – გაიფიქრა, საკუთარი თავი შეებრალა და იმისმა დარდმა დაუმძიმა გული, რომ მისი ცხოვრება ასე მოულოდნელად და ასე მკვეთრად შეიცვალა. ცრემლებისა მუდამ რცხვენოდა. თავისი ცხვრების წინაშეც

კი ერიდებოდა ხოლმე ტირილს. მაგრამ ახლა კაცი არ ჭაჭანებდა მის სიახლოვეს და სამშობლოსგან მოშორებული, სრულიად მარტო იდგა ამ დაცარიელებულ, უცხო მოედანზე.

და სანტიაგოს ღვარად წამოუვიდა ცრემლები. ნუთუ ღმერთი ასეთი უმოწყალო იყო იმათ მიმართ, ვისაც სიზმრებისა სჯეროდა!

«ცხვარს რომ ვმწყემსავდი, ბედნიერი ვიყავი და ირგვლივაც ბედნიერებას ვასხივებდი. ადამიანებს უხაროდათ ჩემი მისვლა და ძვირფასი სტუმარივით მიღებდნენ.

ახლა კი ნაღვლიანი და უბედური ვარ. აღარც ის ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე; გავბოროტდები და აღარავის ვენდობი, ყველას ეჭვის თვალით შევხედავ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმა ადამიანმა მომატყუა. შემზიზღდება ყველა, ვინც კი განძს იპოვის, რადგან მე ვერ შევძელი ჩემი მიზნის მიღწევა. ამიერიდან იმ მცირედს ჩავეჭიდები, რაც მექნება, რადგან მივხვდები, რომ სამყაროს წვდომისათვის ძალიან პატარა და არასრულყოფილი ვარ «.

სანტიაგომ აბგა გახსნა, იქნება ცოტაოდენი საჭმელი მაინც დამრჩაო, – თუნდაც კარაქწასმული ერთი ნაჭერი პური, – მაგრამ შიგ მხოლოდ სქელი წიგნი, ქურთუკი და ის ორი ქვა იპოვა, მოხუცმა რომ მისცა.

ქვების დანახვისთანავე სანტიაგომ უზარმაზარი შვება იგრძნო. მან ხომ ამ ძვირფას ქვებში ექვსი ცხვარი მისცა მოხუცს. სხვა თუ არაფერი, ქვების გაყიდვა მაინც შეეძლო – ბილეთს იყიდდა და შინ დაბრუნდებოდა.

«ამჯერად უფრო ჭკვიანურად მოვიქცევი», – გაიფიქრა მან, აბგიდან ქვები ამოიღო და ჯიბეში დამალა. ეს ხომ საპორტო ქალაქია, პორტში კი, როგორც იმ ქურდმა უთხრა, ყოველთვის უამრავი არამზადა დაიარება.

მხოლოდ ახლა მიხვდა სანტიაგო, ასე რატომ ცხარობდა სასადილოს პატრონი – გამწარებული ცდილობდა, ყმაწვილისათვის გაეგებინებინა, რომ ახლად გაცნობილ არაბს არ ნდობოდა.

«მეც სხვებს ვგავარ: სასურველს რეალობად მივიჩნევ და სამყაროს ისეთს კი არ ვხედავ, როგორიც არის, არამედ ისეთს, როგორიც მე მინდა, რომ იყოს».

ის კვლავ ქვებს დააკვირდა, ფრთხილად გადაუსვა ხელი და სითბო შეიგრძნო. ჯერჯერობით მხოლოდ ეს განძი ჰქონდა: ხელის გადასმისთანავე გული უთბებოდა. ამ ქვებმა ბერიკაცი გაახსენა. გაახსენდა მისი ნათქვამიც: «თუკი რაღაც გსურს, მთელი სამყარო დაგეხმარება სურვილის ასრულებაში».

სანტიაგოსაც ერთი სული ჰქონდა, გაეგო, მართლა ასე იყო, თუ არა. დაცარიელებულ ბაზრის მოედანზე იდგა, ჯიბეში გროშიც არ ეგდო და ამჯერად აღარც ის ადარდებდა, სად გაათევდნენ ცხვრები ღამეს. ეს ძვირფასი ქვებიც უცილობლად უმტკიცებდნენ, რომ ცოტა ხნის წინ ის ხელმწიფეს შეხვდა, რომელმაც მისი ცხოვრების ყოველი წვრილმანი იცოდა; იცოდა დაუკითხავად აღებული მამისეული თოფისა და პირველი ქალის ამბავიც.

«ეს ქვები გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარება. ამ ქვებს ურიმი და თუმიმი ჰქვიათ», – გაახსენდა მოხუცის ნათქვამი.

სანტიაგომ ისევ ამოიღო ჯიბიდან ქვები, აბგაში ჩააწყო და გადაწყვიტა, შეემოწმებინა. ბერიკაცმა უთხრა, რომ კითხვა ზუსტად უნდა დაესვა, რადგან ქვები მხოლოდ იმას ეხმარებოდნენ, ვინც დანამდვილებით იცოდა, რა უნდოდა. მან ქვებს ჰკითხა, ჯერ კიდევ მოჰყვებოდა თუ არა ბერიკაცის ლოცვა, და ხელი აბგიდან ამოიღო.

– დიახ, – უპასუხა ქვამ.

– განძს თუ მივაგნებ? – ჰკითხა სანტიაგომ.

მან ხელი კვლავ აბგაში ჩაყო, ქვები თითებში აათამაშა და ის იყო, ამოღებას აპირებდა, რომ ორივე ქვა აბგის ნახვრეტში გაძვრა. აქამდე არც კი შეენიშნა, რომ აბგა გახეული ჰქონდა. სანტიაგო ქვების ასაღებად დაიხარა, უნდოდა შეენახა, მაგრამ ანაზდად ისევ ბერიკაცის ნათქვამი გაახსენდა: «ნიშნების დანახვა ისწავლე და მიჰყევი მათ».

ნიშანი! სანტიაგოს გაეცინა. მერე მიწიდან ქვები აკრიფა და აბგაში ჩაიწყო. ნახვრეტის ამოკერვა არც უფიქრია – ქვები თუ მოინდომებდნენ, მაინც გამოძვრებოდნენ გარეთ. ის მიხვდა, რომ იყო რაღაც ისეთი, რის შესახებაც ჯობდა, არაფერი ეკითხა და საკუთარი ბედისწერისგან გაქცევა არ ეცადა. «ბერიკაცს ხომ შევპირდი, რომ გადაწყვეტილებებს თვითონ მივიღებდი», – გაიფიქრა.

და მაინც, ქვებმა მიანიშნეს, რომ ბერიკაცი ისევ მის გვერდით იმყოფებოდა და ამან დაამშვიდა. მან კვლავ ცარიელ მოედანს მოავლო თვალი, მაგრამ ადრინდელი უიმედობა გაუქრა. ახლა მის წინ უცხო სამყარო კი არა, უბრალოდ, ახალი სამყარო იყო გადაშლილი.

მას ხომ მუდამ ეწადა, ახალი ქვეყნები მოევლო და ახლა, თუმცა ჯერ პირამიდებამდე ვერ მიაღწია, მაინც უფრო მეტი ნახა, ვიდრე რომელიმე სხვა მწყემსმა.

«ნეტავ იცოდნენ, რომ ორიოდე საათის სავალზე ყველაფერი სულ სხვაგვარად არის».

მის თვალწინ ბაზრის დაცარიელებულ მოედნად იწვა ახალი სამყარო, მაგრამ მან ისიც მოასწრო, იგივე სამყარო სიცოცხლით სავსე და აბობოქრებული ენახა და ამას უკვე ვეღარასოდეს დაივიწყებდა. მერე ის ხმალიც გაახსენდა: ცხადია, ძვირად დაუჯდა ორწუთიანი მზერა, მაგრამ ის ხმალი ხომ მართლაც ხელოვნების ნიმუში იყო. და სანტიაგო უცებ მიხვდა, რომ შეეძლო, მსხვერპლის თვალით ეცქირა სამყაროსათვის, მაგრამ თავგადასავლებისა და განძის უშიშარი მაძიებლის თვალითაც შეეძლო შეხედვა.

– მე თავგადასავლებისა და განძის უშიშარი მაძიებელი ვარ, – ჩაიბუტბუტა და ძილმა წაართვა თავი.

ვიღაცამ მუჯლუგუნი გაჰკრა და ამან გააღვიძა. ბაზარს, რომლის შუაგულშიც წუხელ ღამის გასათევად მოეწყო, კვლავ სიცოცხლე უბრუნდებოდა.

ჩვეულებისამებრ, მიდამო მოათვალიერა და თვალით ცხვრები მოიძია, მაგრამ მაშინვე გამოფხიზლდა და გაახსენდა, რომ სულ სხვა ქვეყანაში იმყოფებოდა, თუმცა ამას უკვე

ნაღველი აღარ მოუგვრია, პირიქით, ბედნიერებით აევსო სული. ამიერიდან, საკვების საძებნელად აღარ იხეტიალებდა, – განძი უნდა მოეძებნა! ჯიბეში ერთი გროშიც არ ეგდო, სამაგიეროდ, სიცოცხლის რწმენა დაიბრუნა. წუხელ მან თავგადასავლების მაძიებლის ბედი არჩია: ამიერიდან იმათ დაემსგავსებოდა, ვის შესახებაც არაერთხელ წაეკითხა წიგნებში.

სანტიაგომ მოედანზე გაისეირნა. ვაჭრები ფარდულებსა და დახლებს შლიდნენ და მანაც ტკბილეულის ვაჭარს წაახმარა ხელი, დახლის დადგმასა და საქონლის დალაგებაში მიეხმარა.

ტკბილეულის ვაჭარი კმაყოფილებით იღიმებოდა: იცოდა, რისთვისაც ცხოვრობდა, და ახალი სამუშაო დღის დასაწყისს სიხარულით ეგებებოდა. მისმა ღიმილმა ყმაწვილს ბერიკაცის, იდუმალი ხელმწიფე მელქისედეკის, ღიმილი გაახსენა.

«ეს კაცი იმიტომ კი არ აცხობს ნამცხვრებს, რომ მოგზაურობა უყვარს ან მედუქნის ქალიშვილის ცოლად შერთვა სურს. მას, უბრალოდ, მოსწონს თავისი საქმე», – გაიფიქრა ყმაწვილმა და მიხვდა, რომ მელქისედეკივით, მასაც უკვე ერთი შეხედვით შეეძლო, გაერკვია, რამდენად მიჰყვებოდა ადამიანი თავის გზას.

«რა ადვილი ყოფილა – ნეტავ, ამას ადრე რატომ ვერ ვხვდებოდი»?

როცა ტილოს ფარდული გადაჭიმეს, ტკბილეულის ვაჭარმა სანტიაგოს ახლად გამომცხვარი ღვეზელი მიაწოდა. მანაც სიამოვნებით შეჭამა, მადლობა გადაუხადა და გზა განაგრძო. და მხოლოდ მერეღა მიხვდა, რომ ტკბილეულის ვაჭარი არაბულად ლაპარაკობდა, თვითონ კი – ესპანურად, მაგრამ ორივეს ესმოდა ერთმანეთისა.

«მაშასადამე, არსებობს ენა, რომელიც სიტყვების მნიშვნელობაზე არ არის დამოკიდებული. ამ ენაზე ადრე ჩემს ცხვრებს ველაპარაკებოდი, ახლა კი ადამიანებთანაც უნდა ვცადო», – დაასკვნა სანტიაგომ.

«ეს სამყარო ერთი მთლიანობაა», – ასე ამბობდა მელქისედეკი.

სანტიაგომ ტანჟერის ქუჩებში გასეირნება გადაწყვიტა, ნიშნებს უნდა დაჰკვირვებოდა. ეს დიდ მოთმინებას მოითხოვდა, მაგრამ მოთმინება ის მადლი იყო, რასაც უპირველესად სწავლობდა ყოველი მწყემსი. და ყმაწვილმა ისევ გაიფიქრა, რომ ცხვრებისგან მიღებული ცოდნა ახალ სამყაროში აუცილებლად გამოადგებოდა.

«ეს სამყარო ერთი მთლიანობაა», – კვლავ გაახსენდა მელქისედეკის სიტყვები.

ბროლის ვაჭარი ალიონს გასცქეროდა და როგორც ყოველ დილით, ამ დილითაც ნაღველი შემოაწვა გულზე. უკვე ოცდაათი წელი იყო, ამ მოსახვევში, თავის ფარდულში იჯდა და გზას გასცქეროდა. მყიდველები სულ უფრო იშვიათად მოდიოდნენ. მაგრამ უკვე გვიანი იყო მის ცხოვრებაში რაიმეს შეცვლა, მას მხოლოდ ბროლით ვაჭრობა შეეძლო. იყო დრო, როცა ფარდულში უამრავი ხალხი ირეოდა – არაბი ვაჭრები, ინგლისელი და ფრანგი გეოლოგები, გერმანელი ჯარისკაცები – ყველა, ვისაც ბევრი ფული ჰქონდა. ადრე ბროლით ვაჭრობა სარფიან საქმედ ითვლებოდა და მაშინ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ გამდიდრდებოდა და უზრუნველი, ლამაზი ცოლების ალერსით გამთბარ სიბერემდე მიაღწევდა.

მაგრამ დროება შეიცვალა, მასთან ერთად – ქალაქიც. ტანჟერის სიახლოვეს მდებარე სეუტა უფრო სწრაფად იზრდებოდა და თანდათან ვაჭრობის ცენტრმაც იქით გადაინაცვლა. მეზობელი ვაჭრები წავიდ–წამოვიდნენ, აღმართზე მხოლოდ რამდენიმე ფარდულიღა შემორჩა და ამ რამდენიმე კინკილა ფარდულში შესასვლელად გორაზე ამოსვლა ყველას ეზარებოდა.

მაგრამ ბროლით მოვაჭრეს სხვა არჩევანი მაინც არ ჰქონდა. ოცდაათ წელს მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ყიდდა და ყიდულობდა ბროლს და ახლა უკვე ვეღარაფერს შეცვლიდა.

ამ დილასაც ფარდულში იჯდა და იშვიათ გამვლელებს აკვირდებოდა. ასე აკვირდებოდა მრავალი წლის მანძილზე და ამ პატარა ქუჩაში ყოველი გამვლელის დღის რეჟიმი ზეპირად იცოდა. დღეს კი, მოულოდნელად, სადილამდე რამდენიმე წუთით ადრე, მის ვიტრინასთან უცხოელი ყმაწვილი შეჩერდა. კარგად ეცვა, მაგრამ ბროლის გამყიდველმა გამოცდილი თვალით მაშინვე შეამჩნია, რომ უფულო იყო. მიუხედავად ამისა, მაინც გადაწყვიტა, სანამ ყმაწვილს არ გაისტუმრებდა, სადილად არ წასულიყო.

კარზე გაკრული განცხადება მუშტარს აუწყებდა, რომ აქ უცხო ენებზეც ლაპარაკობდნენ. სანტიაგომ დაინახა, რომ დახლს პატრონი მიუახლოვდა. – თუ ნებას დამრთავთ, ჭიქებს დაგირეცხავთ, – უთხრა ყმაწვილმა, – ასეთ ჭუჭყიანს არავინ იყიდის.

ფარდულის პატრონმა არაფერი უპასუხა.

– სამსახურის სანაცვლოდ, საჭმელს ხომ არ მაჭმევდით?

ფარდულის პატრონი ისევ უსიტყვოდ შესცქეროდა. სანტიაგო მიხვდა, რომ გადაწყვეტილება უნდა მიეღო. აბგაში ქურთუკი ედო და უდაბნოში მაინც არ გამოადგებოდა. სწრაფად ამოიღო და ჭიქების წმენდას შეუდგა. ნახევარი საათის შემდეგ ვიტრინაში ჭიქებს კრიალი გაუდიოდა, ამასობაში ორი მყიდველიც მოვიდა და რაღაც–რაღაცეები იყიდეს.

სამუშაოს რომ მორჩა, სანტიაგომ ისევ საჭმელი სთხოვა მედუქნეს.

– წამომყევი, – უპასუხა მან.

პატრონმა კარზე ფირფიტა – «დაკეტილია» – გამოკიდა და სანტიაგო აღმართის ბოლოში, პატარა დუქანში წაიყვანა. ერთადერთ მაგიდას მიუსხდნენ.

ბროლის ვაჭარმა გაიცინა:

– არაფრის გაწმენდა არ გჭირდებოდა. ყურანი გვავალდებულებს, მშიერი დავაპუროთ.

– აბა, რატომ არ შემაჩერეთ?

– იმიტომ, რომ ჭიქები მართლა ჭუჭყიანი იყო. ორივეს გვჭირდებოდა გონების დაწმენდა.

სადილის შემდეგ პატრონმა უთხრა:

– რას იტყოდი, ჩემს ფარდულში მუშაობა რომ შემოგთავაზო? დღეს, ვიდრე ბროლს წმენდდი, ორი მყიდველი მოვიდა – ეს კეთილი ნიშანია.

«ადამიანები არც ისე იშვიათად ლაპარაკობენ ნიშნებზე, – გაიფიქრა მწყემსმა, – თუმცა, თვითონაც ვერ ხვდებიან, რას ამბობენ. მეც ხომ არაფერი ვიცოდი უსიტყვო ენის არსებობის შესახებ, ისე ველაპარაკებოდი ჩემს ცხვრებს».

– რას იტყვი? – ჩაეკითხა ვაჭარი, – დარჩები ჩემთან სამუშაოდ?

– დილამდე მთელ საქონელს გაგიპრიალებთ, – უპასუხა ყმაწვილმა, – თქვენ კი, ამის სანაცვლოდ, ეგვიპტეში წასასვლელი ფული მომეცით.

მოხუცს ისევ გაეცინა.

– მთელ წელიწადს რომ მირეცხო ჭურჭელი, თან ყოველი გაყიდული ნივთიდან კარგი პროცენტიც მიიღო, ეგვიპტემდე მისასვლელად მაინც არ გეყოფა. ტანჟერსა და ეგვიპტეს შორის ათასობით კილომეტრზე უდაბნოა გადაჭიმული.

წუთით სამარისებულმა სიჩუმემ დაისადგურა, თითქოს მთელი ქალაქი ძილმა გათანგა. გაქრა ბაზარი, ვაჭრები, თავ–თავიანთ საქონელს რომ აქებდნენ, ადამიანები, მინარეთებზე რომ ადიოდნენ და ლოცვებს გაჰკიოდნენ, ვადამოსევადებული ხმლები; სადღაც განქარდა იმედი და თავგადასავლები, ბებერი ხელმწიფე და საკუთარი გზა, განძი და პირამიდები. მთელი სამყარო მდუმარებამ მოიცვა, რადგან სანტიაგოს სული გაუხევდა; ვეღარაფერს გრძნობდა, ვეღარც ტკივილს, ვეღარც ტანჯვასა თუ იმედის გაცრუებას, გაყინული მზერით მისჩერებოდა დუქნის ღია კარს და ერთადერთი რამ ეწადა – მომკვდარიყო, ოღონდ ყველაფერი ამწუთას და სამუდამოდ დასრულებულიყო.

წარბებაძგიბული ვაჭარი ყმაწვილს აკვირდებოდა – სულ ცოტა ხნის წინ, სიცოცხლით სავსე და მხიარული ჩანდა, ახლა კი მხიარულების კვალიც აღარ შერჩენოდა. გახევებულს, დანა პირს არ უხსნიდა.

– შემიძლია, სამშობლოში დასაბრუნებელი ფული მოგცე, შვილო, – უთხრა ვაჭარმა.

ყმაწვილმა არაფერი უპასუხა. წამოდგა, ტანსაცმელი გაისწორა და აბგა აიღო.

– თქვენთან დავრჩები სამუშაოდ, – თქვა მან.

ერთხანს დუმდა, მერე დასძინა:

– ფული მჭირდება, რამდენიმე ცხვარი უნდა ვიყიდო. სანტიაგო თითქმის მთელ თვეს მუშაობდა ფარდულში, თუმცა, ეტყობოდა, რომ ეს სამუშაო მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. ბროლის ვაჭარი დილიდან საღამომდე დახლთან იჯდა და ბიჭს ებუზღუნებოდა, ბროლს ფრთხილად მოეპყარიო.

მაგრამ სამსახურიდან წასვლა არც უფიქრია, ვაჭარი ბუზღუნა კი იყო, მაგრამ პატიოსანი კაცი ჩანდა და არც მიცემულ პირობას არღვევდა: სანტიაგო გაყიდული საქონლიდან

იღებდა პროცენტს და ცოტაოდენი ფულის დაგროვებაც კი მოახერხა. მაგრამ ერთ დილას, ფული რომ გადათვალა და დაიანგარიშა, იმასაც მიხვდა, რომ ცხვრების საყიდლად ერთი წლის შრომა მაინც დასჭირდებოდა.

– რატომ არ შეიძლება, ვიტრინა ქუჩაში გავიტანოთ და საქონლის ნიმუშები გამოვფინოთ? – ჰკითხა მან პატრონს, – შემოსასვლელ კართან დავდგამდით და გამვლელთა ყურადღებას მივიქცევდით.

– აქამდე ისე ვვაჭრობდი, ვიტრინა არ დამჭირვებია, გამვლელებმა შეიძლება, ვიტრინას შემთხვევით გაჰკრან მხარი და ბროლი დაამსხვრიონ, – უპასუხა პატრონმა.

– ცხვრები რომ იალაღზე გამყავდა, შეიძლებოდა, გველს გადაყროდნენ და დაღუპულიყვნენ, მაგრამ ცხვრებმაც და მწყემსებმაც იციან, რომ ასეთია ცხოვრება.

ვაჭარი ამ დროს მყიდველს ემსახურებოდა, რომელიც სამ ჭიქას ყიდულობდა. რატომღაც მომრავლდა მყიდველი, თითქოს მობრუნდა ის დრო, როცა ეს ქუჩა მთელი ტანჟერიდან იზიდავდა მუშტარს.

– საქმე კარგად მიგვდის, – მყიდველის წასვლის შემდეგ უთხრა ვაჭარმა, – ფულსაც კარგად ვშოულობთ და მალე იმდენი დაგიგროვდება, ახალ ფარას იყიდი. რატომ არ გყოფნის? უფრო მეტს რატომ ითხოვ ცხოვრებისაგან?

– იმიტომ, რომ ნიშნების უნდა გჯეროდეს, – მოულოდნელად წამოსცდა ყმაწვილს და მაშინვე ინანა: ვაჭარი ვერაფერს მიხვდებოდა, ის ხომ არასოდეს შეხვედრია ხელმწიფეს.

«ამას იღბლიანი დასაწყისი ჰქვია, – გაახსენდა ბერიკაცის სიტყვები, – ახალბედებს ყოველთვის ბედი სწყალობთ, რადგან ცხოვრებას სურს, რომ ადამიანმა თავის ბედს მისდიოს».

პატრონი კი სანტიაგოს ნათქვამმა დააფიქრა. ამ ბიჭის მაღაზიაში მოსვლა უკვე კეთილი ნიშანი იყო – სალაროში ფული შემოდიოდა და ვაჭარი არც ნანობდა, სამუშაოდ რომ აიყვანა. თუმცა, იმაზე მეტს უხდიდა, რაც ეკუთვნოდა, – ბროლის ვაჭარი ვერც კი წარმოიდგენდა, ასე თუ გამოცოცხლდებოდა ვაჭრობა და ამიტომ დიდ პროცენტს შეჰპირდა. ახლა კი უკვე ხვდებოდა, რომ შორს არ იყო ის დრო, როცა სანტიაგო თავის ცხვრებს დაუბრუნდებოდა.

– პირამიდების ნახვა რაში დაგჭირდა? – საუბრის თემის შესაცვლელად ჰკითხა სანტიაგოს.

– ბევრი რამ მსმენია მათ შესახებ, – უპასუხა სანტიაგომ.

განძი უკვე მწარე მოგონებადღა ქცეულიყო და ცდილობდა, ამაზე აღარ ეფიქრა, ამიტომაც აღარაფერი უთქვამს პატრონისათვის.

– ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ ადამიანს, რომელსაც მხოლოდ იმიტომ უნდა უდაბნოს გავლა, რომ პირამიდებს შეხედოს. ეს პირამიდები კი მხოლოდ ქვების გროვაა. თვითონაც შეგიძლია, ეზოში ასეთივე აახოხოლავო.

– ეტყობა, შორეულ მოგზაურობებზე სიზმრები არასოდეს გინახავთ, – უპასუხა სანტიაგომ და მორიგი მყიდველის შესახვედრად გაემართა.

ორი დღის შემდეგ პატრონი ისევ მიუბრუნდა ვიტრინის საკითხს.

– სიახლეები არ მიყვარს, არც ჰასანივით მდიდარი ვარ, რომ შეცდომებისა არ მეშინოდეს – თუ რამე შეეშალა, ვერც კი შეამჩნევს, რა დაკარგა. ჩვენ კი ჩვენი შეცდომის გამოსასწორებლად, შეიძლება, მთელი სიცოცხლე დაგვჭირდეს.

«მართალია», გაიფიქრა ყმაწვილმა.

– ჰოდა, მიპასუხე, რაში გჭირდება ეს ვიტრინა? – ჰკითხა ისევ პატრონმა.

– მინდა, რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნდე ჩემს ცხვრებს. ბედი გვწყალობს და ამით უნდა ვისარგებლოთ, ჩვენც ისევე უნდა დავეხმაროთ, როგორც თვითონ გვეხმარება. ამას იღბლიანი დასაწყისი ჰქვია, ახალბედებს ყოველთვის სწყალობთ ბედი.

მოხუცი დაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– მოციქულმა ყურანი დაგვიტოვა და სულ ხუთი მოვალეობა დაგვაკისრა, რომლებსაც მთელი სიცოცხლე უნდა ვიცავდეთ. მათ შორის ყველაზე მთავარია, გვახსოვდეს, რომ არა არს ღმერთი, გარდა ალაჰისა. ოთხი დანარჩენი კი შემდეგია: დღეში ხუთჯერ ვილოცოთ, ვიმარხულოთ რამადანის თვეში, ღატაკს გულმოწყალედ მოვექცეთ...

ის კვლავ დადუმდა. მოციქულის სახელის ხსენებისას, თვალები აუწყლიანდა. თუმცა სიცოცხლით სავსე და სულსწრაფი ადამიანი იყო, მაინც ახერხებდა, მუჰამედის კანონებით ევლო ამ ცხოვრებაში.

– მეხუთე? – ჩაეკითხა სანტიაგო.

– გუშინწინ მითხარი, რომ, ალბათ, არასოდეს დამსიზმრებია შორეული მოგზაურობები. ჰოდა, ყველა მორწმუნისათვის მეხუთე მოვალეობა მომლოცველობაა.

ყოველმა ჩვენგანმა, სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ, უნდა მოინახულოს წმინდა ქალაქი მექა. ის კი ბევრად უფრო შორსაა, ვიდრე შენი პირამიდები. ახალგაზრდობაში, როგორც კი ფული დავაგროვე, ამ ფარდულის ყიდვა ვამჯობინე. ვფიქრობდი: გავმდიდრდები და მექაში მაშინ გავემგზავრები–მეთქი. შემდეგ ფული გამიჩნდა, მაგრამ ვაჭრობას ვერავის ვანდობდი, საფრთხილო საქონელი მქონდა. ყოველდღე ვხედავდი, როგორ ჩაივლიდნენ ხოლმე ჩემს ქუჩაზე პილიგრიმები: მათ შორის მდიდრებიც იყვნენ – უამრავი მსახური და აქლემების ქარავანი მიჰყვებოდათ, მაგრამ უმეტესობა ჩემზე ღარიბი ჩანდა.

იმასაც ვხედავდი, უკან როგორ ბრუნდებოდნენ ბედნიერები და კმაყოფილები და სახლის წინ მექაში მომლოცველობის ნიშანს დგამდნენ. ერთმა მეწაღემ ისიც მიამბო, რომ თითქმის ერთი წელიწადი დასჭირდა, ვიდრე უდაბნოს გაივლიდა, მაგრამ იქ უფრო ნაკლებად იღლებოდა, ვიდრე ტანჟერში, როცა მეზობელ უბანში მიდიოდა ტყავის საყიდლად.

– რატომ არ გინდათ მექაში წასვლა? – ჰკითხა სანტიაგომ.

– იმიტომ, რომ მხოლოდ ამაზე ოცნებით ვცოცხლობ. სხვაგვარად როგორ გავუძლებდი ერთმანეთს დამსგავსებულ ამ დღეებს, საქონლით სავსე ამ თაროებს და სადილებსა და ვახშმებს იმ საზიზღარ დუქანში? იმის მეშინია, რომ თუ ოცნება ამისრულდება, აღარც ჩემს სიცოცხლეს ექნება აზრი. შენ კი პირამიდების ნახვაზე ოცნებობ და, ჩემგან განსხვავებით, ამ ოცნების ასასრულებლად იბრძვი.

მე მინდა, მხოლოდ ვიოცნებო მექაზე. ათასჯერ წარმომიდგენია, როგორ გადავივლი უდაბნოს, მივალ მოედანზე, სადაც წმინდა ქვა დგას, შვიდჯერ შემოვუვლი გარშემო და მხოლოდ ამის შემდეგ შევეხები. იმასაც ვხედავ ხოლმე, როგორ დგას ჩემ ირგვლივ ზღვასავით ხალხი და როგორ შეერწყმება ჩემი ხმა საერთო ლოცვას. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ თავზარდამცემი იმედის გაცრუებისა მეშინია და მხოლოდ ოცნებას ვარჩევ...

იმ დღეს პატრონმა სანტიაგოს ნება დართო, ახალი ვიტრინა გაეკეთებინა. ასეა, ყველა ერთნაირად არ ოცნებობს და არ ნახულობს სიზმრებს.

კიდევ ორი თვე გავიდა. ახალმა, ქუჩაში გატანილმა ვიტრინამ შედეგი გამოიღო: მაღაზიაში ხალხის ტევა აღარ იყო. სანტიაგო ანგარიშობდა: თუ ასე გაგრძელდებოდა, ნახევარ წელიწადში ესპანეთში დაბრუნდებოდა და სამოცი სული ცხვრისა კი არა, ორჯერ მეტის ყიდვას შეძლებდა. მერე ერთ წელიწადში ფარას გააორმაგებდა და არაბებთან დაიწყებდა ვაჭრობას, რადგან უკვე საკმაოდ კარგად ახერხებდა მათ ენაზე ლაპარაკს. ბაზარში მომხდარი იმ შემთხვევის შემდეგ აბგიდან ერთხელაც აღარ ამოუღია ურიმი და თუმიმი, რადგან ეგვიპტე მისთვის ისეთივე აუხდენელ ოცნებად იქცა, როგორიც მექა იყო ფარდულის პატრონისათვის. ახლა უკვე უხაროდა მუშაობა და ერთთავად იმაზე ოცნებობდა, როგორი გამარჯვებული სახით ჩავიდოდა გემიდან ტარიფის პორტში.

«გახსოვდეს: ყოველთვის ზუსტად უნდა იცოდე, რა გინდა», – ეუბნებოდა მელქისედეკი.

ყმაწვილმა იცოდა და თავისი მიზნის მისაღწევად მუშაობდა. იქნებ მისი ბედიც სწორედ ეს იყო, უცხო ქვეყანაში აღმოჩენილიყო, იმ არამზადას გადაჰყროდა, შემდეგ კი ფული ეშოვა და ფარა გაემრავლებინა.

საკუთარი თავი ეამაყებოდა. ამ ქვეყანაში ბევრი რამ ისწავლა: ახლა ბროლით ვაჭრობაც შეეძლო, უსიტყვო ენასაც ფლობდა და ნიშნებს კითხულობდა. ერთხელ ყური მოჰკრა, როგორ ბუზღუნებდა ვიღაც კაცი: ამხელა აღმართი ამოვიარე, აქ კი ჩამოსაჯდომი და წყურვილის მოსაკლავი ადგილიც არ არისო. სანტიაგო მაშინვე მიხვდა მინიშნებას და პატრონს უთხრა:

– რატომ არ შეიძლება, ამ აღმართზე ამომსვლელთათვის ჩაი გავყიდოთ?

– დიდი ვერაფერი სიახლეა, – უთხრა მან.

– ჩაის ბროლის ჭიქებით შევთავაზებთ. ხალხს ესიამოვნება და ბროლის ჭიქების ყიდვაც მოუნდებათ. ადამიანებს ხომ ყველაზე მეტად სილამაზე იზიდავს.

პატრონი საკმაოდ დიდხანს შესცქეროდა და ხმას არ იღებდა. მერე საღამოს ლოცვა წაიკითხა, ფარდული დაკეტა, ქვაფენილზე, პარმაღთან ჩამოჯდა და სანტიაგოს ნარგილე შესთავაზა – ის უცნაური ყალიონი, ასე რომ უყვართ არაბებს.

– მითხარი ერთი, რა გინდა? – ჰკითხა მან ყმაწვილს.

– ხომ იცით, მინდა, შინ დავბრუნდე და ფარა ვიყიდო. ამისათვის კი ფული მჭირდება.

მოხუცმა რამდენიმე ნაკვერჩხალი ჩადო ნარგილეში და ყალიონი მოქაჩა.

– ოცი წელია, ეს ფარდული მაქვს. ვიცი, როგორ გავარჩიო კარგი ბროლი ცუდისაგან, ძირისძირობამდე შევისწავლე ვაჭრობა. ახლა საქმე კარგად მიგვდის და ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ვაჭრობის გაფართოებას არ ვაპირებ. თუ მუშტარს ბროლის ჭიქებით შევთავაზებთ ჩაის, შემოსავალი, მართლაც, შეიძლება გაიზარდოს. მაშინ ბევრი რამის შეცვლაც მოგვიწევს.

– მერე, რა არის ამაში ცუდი?

– უბრალოდ, ასე ცხოვრებას მივეჩვიე. ადრე, შენს მოსვლამდე, ხშირად მიფიქრია, რომ ვიდრე ჩემი მეგობრები სადღაც მიემგზავრებოდნენ, უკან ბრუნდებოდნენ, მდიდრდებოდნენ ან ქონებას კარგავდნენ, მე ფეხმოუცვლელად ვიჯექი ამ ფარდულში. ეს ყველაფერი ნაღველით მავსებდა. ახლა კი ვხვდები, რომ ჩემი ფარდული სწორედ იმ ზომისაა, რამხელაც მჭირდებოდა, და ისეთია, როგორიც მინდოდა. ცვლილებები არ მიყვარს და არც კი ვიცი, როგორ უნდა შეიცვალოს რამე. საკუთარი თავი ისეთი მომწონს, როგორიც ვარ.

ყმაწვილმა ვერაფერი უპასუხა. მოხუცმა კი განაგრძო:

– შენი თავი თითქოს ღმერთმა გამომიგზავნა. დღეს დილას კი მივხვდი: თუ ღვთის წყალობას არ მიიღებ, ის წყევლად გექცევა. მე ამ ცხოვრებისაგან აღარაფერს ვითხოვ, შენ კი ახალ–ახალ თვალსაწიერს მიხსნი. გავცქერი ამ შორეთს, ვხვდები, რა წარმოუდგენელ სიმაღლეებს შეიძლება მივაღწიო და გუნება მეშხამება. რადგან ვხვდები, რომ ყველაფრის მოპოვება შემიძლია, მაგრამ ეს უკვე აღარ მჭირდება.

«კიდევ კარგი, რომ ბატიბუტის გამყიდველს მაინც არაფერი ვუამბე», – გაიფიქრა სანტიაგომ.

ცოტა ხანს კიდევ ეწეოდნენ ნარგილეს. მზე ჩავიდა. პატრონი და სანტიაგო არაბულად ლაპარაკობდნენ – ყმაწვილი კმაყოფილი იყო, ამ ენაზე რომ შეეძლო საუბარი. დიდი ხნის წინ, სულ სხვა ცხოვრებაში, ეჩვენებოდა, რომ ცხვრებს ყველაფერი ესმოდათ და ყველაფრის გაგება შეეძლოთ, მაგრამ არაბულ ენას, ალბათ, მაინც ვერ ისწავლიდნენ.

«არის კიდევ რაღაც, რასაც ცხვრები ვერ ისწავლიან, – გაიფიქრა მან და უსიტყვოდ შეხედა პატრონს, – მათ მხოლოდ საჭმელ–სასმელის მოპოვება იციან. ესეც თვითონ არ უსწავლიათ, მე დავეხმარე».

– მაკთუბ, – წარმოთქვა ბოლოს ბროლის ვაჭარმა.

– ეგ რას ნიშნავს?

– ამ სიტყვის მნიშვნელობა ბოლომდე რომ გაიგო, არაბად უნდა დაიბადო, – უპასუხა მან, – მაგრამ, დაახლოებით, ასე ჟღერს: «წერილ არს».

და ნარგილეში ნაკვერჩხლის ჩაქრობისას უთხრა, რომ ხვალიდან შეეძლო, მუშტრისთვის ბროლის ჭიქებით ჩაი შეეთავაზებინა. ცხოვრების დინების შეჩერება ხომ დღემდე ვერავის მოეხერხებინა.

ადამიანები აღმართზე ამოდიოდნენ და სრულიად მოულოდნელად, ამ აღმართის თავზე ფარდულს ხედავდნენ, სადაც ლამაზი ბროლის ჭიქებით სთავაზობდნენ ცივ და მაცოცხლებელ პიტნის ჩაის. ჰოდა, როგორღა გაუძლებდათ გული, ფარდულში არ შესულიყვნენ და ჩაი არ დაელიათ?

«ჩემს საყვარელ ცოლს ასეთი რამ არც მოაფიქრდება!» – ამბობდა ერთი და ჭიქებს ყიდულობდა: ამ საღამოს სტუმრები ჰყავდა და ლამაზი ბროლის ჭიქებით აპირებდა მათ გაოცებას.

მეორე ამტკიცებდა, რომ ბროლის ჭიქაში ჩაი ბევრად უფრო გემრიელი იყო – ბროლი ხომ უკეთესად ინახავდა სურნელს. მესამეს ახსენდებოდა, რომ უძველესი აღმოსავლური ტრადიციით სწორედ ბროლის ჭიქებით სვამდნენ ჩაის, რადგან ბროლს მაგიური ძალა ჰქონდა.

ძალიან მალე ეს სიახლე მთელ ქალაქს მოედო, ხალხი აღმართს მოაწყდა, რათა საკუთარი თვალით ენახა, რა სიახლის შემოტანა შეიძლებოდა ასეთ ძველ პროფესიაში. მალე სხვა ფარდულებშიც დაიწყეს მუშტრებისათვის ბროლის ჭიქებით ჩაის მირთმევა, მაგრამ იქ ხალხს აღმართზე ასვლა არ უწევდა და ამიტომაც დიდად არც ეტანებოდნენ.

მალე ვაჭრობა ისე გაფართოვდა, რომ ორი ნოქრის აყვანაც დასჭირდათ. ახლა აქ არა მხოლოდ ბროლს ყიდდნენ, არამედ დიდი რაოდენობით ჩაისაც ასაღებდნენ.

ასე გავიდა ნახევარი წელიწადი.

სანტიაგოს მზის ამოსვლამდე გაეღვიძა. მას შემდეგ, რაც აფრიკის კონტინენტზე პირველად დადგა ფეხი, უკვე თერთმეტი თვე და ათი დღე გასულიყო.

მან ტილოს არაბული თეთრი ბურნუსი ჩაიცვა, საგანგებოდ რომ ჰქონდა ამ დღისთვის ნაყიდი, თავზე ბაღდადი დაიფარა, აქლემის ტყავის თასმით შემოიჭირა, სანდლებში ფეხი გაყო და უხმაუროდ ჩავიდა ქვევით.

ქალაქს ჯერ ისევ ეძინა. სანტიაგომ ერთი ნაჭერი მურაბიანი პური შეჭამა და ბროლის ჭიქიდან ჩაი მოსვა. შემდეგ ფარდულის ზღურბლზე ჩამოჯდა და ნარგილე გააბოლა.

ასე იჯდა მარტო და ეწეოდა, არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ ქარის ზომიერ შრიალს აყურადებდა, ამ ქარს უდაბნოს სურნელი მოჰქონდა. მოწევა რომ დაამთავრა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და რამდენიმე წუთს დასცქეროდა იმას, რაც ხელს ამოჰყვა.

ფულის უზარმაზარი შეკვრა იყო. ამ ფულით უკან დასაბრუნებელ ბილეთსაც იყიდდა, ას ოც ცხვარსაც და ესპანეთსა და იმ ქვეყანას შორის ვაჭრობის უფლებასაც, სადაც ახლა

თვითონ იმყოფებოდა. სანტიაგო მოთმინებით ელოდა, როდის გაიღვიძებდა პატრონი და ფარდულს გააღებდა. მერე ერთად დალიეს ჩაი.

– დღეს მივდივარ, – უთხრა ყმაწვილმა, – ახლა იმდენი ფული მაქვს, რომ ცხვრების ყიდვა შევძლო, თქვენ კი მექაში გაემგზავრებით.

პატრონი ხმას არ იღებდა.

– დამლოცეთ, – სთხოვა სანტიაგომ, – თქვენ მე ძალიან დამეხმარეთ.

მოხუცი ისევ დუმდა და ჩაის აყენებდა. ბოლოს ყმაწვილისაკენ შებრუნდა.

– მე ვამაყობ შენით. შენ სრულიად გამოაცოცხლე ჩემი ჩამკვდარი ფარდული. მაგრამ გახსოვდეს: მე არ წავალ მექაში. და ისიც მინდა, იცოდე, რომ არც შენ იყიდი ცხვრებს.

– ვინ გითხრათ? – ჰკითხა გაოცებულმა სანტიაგომ.

– მაკთუბ, – მხოლოდ ეს უპასუხა ბროლის ვაჭარმა.

და ყმაწვილი დალოცა.

სანტიაგო თავის ოთახში შევიდა და ბარგი–ბარხანა ჩაალაგა – სამი ტომარა გამოუვიდა. უკვე კართან მისულმა, კუთხეში თავის ძველ, მწყემსობისდროინდელ აბგას მოჰკრა თვალი, რომელიც რა ხანია, აღარ დაენახა და უკვე მივიწყებული ჰქონდა. აბგაში მისი ქურთუკი და წიგნი იდო. ქურთუკი ამოიღო, უნდოდა, ვინმე ბავშვისთვის ეჩუქებინა, და უცებ იატაკზე ორი ქვა გაგორდა – ურიმი და თუმიმი.

ყმაწვილს მაშინვე გახსენდა ის საოცარი ხელმწიფე და თვითონაც გაოცდა, რომ ამდენ ხანს მასზე აღარც კი უფიქრია. მთელ წელიწადს მუხლჩაუხრელად შრომობდა, რომ ფული დაეგროვებინა და ხელცარიელი არ დაბრუნებულიყო ესპანეთში.

«ოცნებაზე არასოდეს თქვა უარი, – ეუბნებოდა მელქისედეკი, – ნიშნებს მისდიე».

ყმაწვილმა ქვები იატაკიდან წამოკრიფა და იმავ წამს უცნაური შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ბერიკაცი სულ ახლოს იყო, აქვე, მის გვერდით. მთელი წელიწადი გაილია შრომაში, ახლა კი ნიშნები ეუბნებოდნენ, რომ წასვლის დრო მოსულიყო.

«მე კვლავ ისეთი ვიქნები, როგორიც ვიყავი, – გაიფიქრა მან, – მაგრამ ცხვრები ვერ მასწავლიან არაბულ ენას».

თუმცა ცხვრებმა უფრო მნიშვნელოვანი რამ ასწავლეს: მათგან შეიტყო პირველად, რომ ამქვეყნად არსებობს ენა, რომელიც ყველას ესმის. და მთელი ეს წელი, ვაჭრობის აყვავებას რომ ცდილობდა, სანტიაგო ყველასთვის გასაგებ ამ ენაზე ლაპარაკობდა. ეს იყო აღტკინების ენა, ენა იმ საგანთა, რასაც სიყვარულითა და მონდომებით აკეთებ, აკეთებ იმისთვის, რისიც გწამს ან რისკენაც ილტვი. ტანჟერი უკვე უცხოეთი აღარ იყო მისთვის. ყმაწვილი ხვდებოდა, რომ მთელი სამყაროს დაპყრობასაც ისევე შეძლებდა, როგორც ეს ქალაქი დაიპყრო.

«როცა გულით გწადია რაღაც, მთელი სამყარო დაგეხმარება შენი ოცნების ასრულებაში», – ასე ამბობდა ბებერი მელქისედეკი.

თუმცა არც ავაზაკზე, არც თვალუწვდენელ უდაბნოზე და არც ადამიანებზე, რომლებიც ჩუმად ოცნებობდნენ, მაგრამ ოცნების ასრულებისა ეშინოდათ, მელქისედეკს სიტყვაც არ დასცდენია. მას არც ის უთქვამს, რომ პირამიდები მხოლოდ და მხოლოდ ქვების გროვა იყო და ყველას, ვინც კი მოისურვებდა, თავისივე ბაღში შეეძლო ასეთი გროვის დახორავება. ბებერ ხელმწიფეს იმის თქმაც დაავიწყდა, რომ როცა ცხვრების საყიდელი ფული გაუჩნდებოდა, უნდა ეყიდა კიდეც.

სანტიაგომ ძველი აბგა აიღო და თან გაიყოლა. კიბეს ჩაუყვა. ფარდულის პატრონი უცხოელ ცოლ–ქმარს ემსახურებოდა, დანარჩენი მუშტრები კი ფარდულში დააბიჯებდნენ და ბროლის ჭიქებიდან სვამდნენ ჩაის. ამ დილაუთენია უკვე ბევრი მყიდველი მოსულიყო. მხოლოდ ახლაღა შეამჩნია სანტიაგომ, რომ ბროლის ვაჭრის თმა საოცრად ჩამოჰგავდა მელქისედეკისას. მას ის პირველი დილაც გაახსენდა ტანჟერში, როცა არც წასასვლელი ჰქონდა სადმე და არც საჭმელ–სასმელი, გაახსენდა მეფუნთუშის ღიმილი და ისიც ბებერი ხელმწიფის ღიმილს მიამსგავსა.

«აქ ყველას და ყველაფერს მელქისედეკის კვალი ატყვია, თითქოს ნამყოფი იყოს კიდეც აქ, – გაიფიქრა ყმაწვილმა, – ასე მგონია, რომ ეს ადამიანები თავიანთი ცხოვრების რაღაც წუთებში შეხვედრიან კიდეც მელქისედეკს. თუმცა, არც არის გასაკვირი, თვითონაც ხომ ამბობდა, რომ ყოველთვის ევლინებოდა იმათ, ვინც თავის ბედისწერას მიჰყვებოდა».

არავის გამომშვიდობებია, ისე გავიდა ფარდულიდან – არ უნდოდა, უცხოთა წინაშე ცრემლი გადმოვარდნოდა. მაგრამ ხვდებოდა, რომ გულის სიღრმეში მოენატრებოდა ეს ყველაფერი; მოენატრებოდა ის მრავალი მშვენიერი რამ, რაც აქ ისწავლა. მან ხომ აქ საკუთარი თავის რწმენა და სამყაროს ფლობის სურვილი შეიძინა.

«დღეიდან ჩემს ნაცნობ ადგილებს ვუბრუნდები ცხვრების სამწყემსად», – გაიფიქრა მან, მაგრამ ნაფიქრმა, რატომღაც, სიხარული არ მოჰგვარა. მთელ წელიწადს მუშაობდა თავისი ოცნების ასასრულებლად, ეს ოცნება კი ყოველ წუთას კარგავდა მომხიბვლელობას. ანდა, იქნებ ეს არც იყო ოცნება?

«იქნებ აჯობებს, ბროლის ვაჭარს მივბაძო – მთელი სიცოცხლე მექაზე ვიოცნებო და გზას არასოდეს დავადგე?» – ფიქრობდა ის, მაგრამ ქვებმა, ხელში რომ ეჭირა, თითქოს ბებერი ხელმწიფის ძალა და შემართება შემატეს.

უცნაური დამთხვევაა, ანდა იქნებ ნიშანიც იყო? – სწორედ იმ სასადილოში შევიდა, სადაც ტანჟერში ჩამოსვლის პირველ დღეს იჯდა. ცხადია, ის არამზადა იქ აღარ დახვედრია. პატრონმა კი ჭიქა ჩაი მოუტანა.

«მწყემსობას ყოველთვის მოვასწრებ, – ფიქრობდა სანტიაგო, – ცხვრის მწყემსვაც ვიცი და კრეჭაც, თავის რჩენა არ გამიჭირდება. პირამიდებთან მისვლის სხვა შესაძლებლობა კი, იქნებ, აღარც მქონდეს. ოქროსგულსაკიდიანმა ბერიკაცმა მთელი ჩემი ცხოვრების ამბავი იცოდა. მე ნამდვილ ხელმწიფეს შევხვდი და თანაც – ბრძენს».

სულ ორი საათის გზა აშორებდა ანდალუსიის ველებამდე, პირამიდებამდე კი თვალუწვდენელი უდაბნო გაწოლილიყო. მაგრამ მიხვდა, რომ ამ საკითხისთვის სხვაგვარადაც შეეძლო, შეეხედა: განძისკენ მიმავალი გზა უკვე ორი საათით ჰქონდა შემოკლებული, თუმცა კი თვითონ ამისათვის მთელი წელიწადი დაკარგა.

«გასაგებია, რატომაც მინდა ცხვრებთან დაბრუნება: ვიცნობ მათ და მიყვარს ისინი, არც მათ მოვლას სჭირდება დიდი გარჯა. მაგრამ განა შეიძლება უდაბნოს სიყვარული? თუმცა იგივე უდაბნო მალავს ჩემს განძს. განძს თუ ვერ ვიპოვი, შინ დავბრუნდები. მაგრამ იქნებ მეცადა, რაკი ისე მოხდა, რომ ფულიცა მაქვს და დროც».

და იმავ წამს ენით აუწერელმა სიხარულმა აუვსო გული. მწყემსობა ყოველთვის შეეძლო, ბროლით ვაჭრობაც შეეძლო. ალბათ, ამქვეყნად ბევრი სხვა განძიც იყო დაფარული, მაგრამ მხოლოდ მას, და სხვას არავის, ორჯერ ესიზმრა ერთი და იგივე სიზმარი და ბებერ ხელმწიფესაც ის შეხვდა.

სასადილოდან კმაყოფილი გამოვიდა. გაახსენდა, რომ ბროლის ერთ–ერთ მომწოდებელს უდაბნოს გამოვლით, ქარავნებით ჩამოჰქონდა საქონელი. სანტიაგოს მუჭში ეჭირა ურიმი და თუმიმი და ამ ქვებმა კვლავ განძის საძებნელად წასვლა გადააწყვეტინეს.

«მე მუდამ იმათ გვერდით ვარ, ვინც თავის ბედისწერას მისდევს», – გაახსენდა მელქისედეკის სიტყვები.

სულ იოლი რამ უნდა გაეკეთებინა: სავაჭრო საწყობში უნდა მისულიყო და ეკითხა, მართლა ასე შორს იყო პირამიდები, როგორც ამბობდნენ?

შენობა, სადაც ინგლისელი იჯდა, უფრო ბოსელს ჰგავდა და ოფლის, მტვრისა და საქონლის სუნით იყო გაჟღენთილი. «ნუთუ იმიტომ ვისწავლე ათ წელიწადს, რომ ამ ბოსელში აღმოვჩენილიყავი?» – ფიქრობდა ინგლისელი და უგულისყუროდ ფურცლავდა ჟურნალს.

მაგრამ ვერც უკან დაიხევდა, ნიშნებს უნდა მიჰყოლოდა. მთელი ცხოვრება მოანდომა იმ ერთადერთი ენის ძიებას, რომელზეც სამყარო ლაპარაკობდა – ამისთვის სწავლობდა. თავდაპირველად ესპერანტო შეისწავლა, შემდეგ მსოფლიო რელიგიებით დაინტერესდა და ბოლოს ალქიმიამ გაიტაცა. ახლა ის თავისუფლად ლაპარაკობდა ესპერანტოზე, ზედმიწევნით იცოდა ნებისმიერი რელიგიის საფუძვლები, ალქიმიკოსი კი ჯერ ვერ გამხდარიყო. ცხადია, პატარ–პატარა საიდუმლოებებს ჩასწვდა, მაგრამ შემდეგ ერთ ადგილზე გაიყინა და ნაბიჯსაც ვეღარ დგამდა წინ. დიდხანს და უშედეგოდ ცდილობდა, სხვა ალქიმიკოსებს დაკავშირებოდა და მათგან მიეღო დახმარება. ყველანი თავის თავში ჩაკეტილი და უცნაური ადამიანები აღმოჩნდნენ, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და მათგან დახმარების ან რჩევის მიღება შეუძლებელი იყო. ეგებ იმიტომაც გახდნენ ასეთები, რომ თვითონაც ვერ სწვდებოდნენ ფილოსოფიური ქვის საიდუმლოს?

Fამ ძიებებში Bინგლისელს უკვე მამისეული ქონების დიდი ნაწილი ჰქონდა განიავებული. სად არ ეძებდა პასუხს, საუკეთესო ბიბლიოთეკებში იქექებოდა, ალქიმიის ყველაზე იშვიათ, ყველაზე მნიშვნელოვან წიგნებს ყიდულობდა და სწორედ ერთ–ერთ ასეთ წიგნში ამოიკითხა ვიღაც ცნობილზე ცნობილი არაბი ალქიმიკოსის

შესახებ, მრავალი წლის წინ ევროპას რომ სწვეოდა; მასზე ამბობდნენ, რომ ორასი წლისა იყო, ფილოსოფიური ქვა ეპოვა და უკვდავების ელექსირიც აღმოეჩინა – რაც უკვე თავისთავად შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ინგლისელისთვის ეს ამბავი მაინც ლეგენდად დარჩებოდა, უდაბნოში არქეოლოგიური გათხრებიდან დაბრუნებულ მის ერთ-ერთ მეგობარს რომ არ მოეთხრო ზებუნებრივი ძალით დაჯილდოებულ ერთ არაბზე. როგორც გაარკვია, ის არაბი ელ-ფაიუმის უდაბნოში ცხოვრობდა, გადმოცემების მიხედვით, ორასი წლისა იყო და ნებისმიერი ლითონის ოქროდ ქცევა შეეძლო.

ინგლისელმა მაშინვე გადადო ყველა შეხვედრა და საქმე, საკუთარი ბიბლიოთეკიდან საჭირო წიგნები გადაარჩია და აქ აღმოჩნდა, ამ ბოსლის მსგავს ფიცრულში, რომლის კედლებს მიღმაც საჰარისკენ წასასვლელად გამზადებული უზარმაზარი ქარავანი იდგა. გზად სწორედ ელ–ფაიუმის ოაზისი უნდა გაევლოთ.

«ჩემი თვალით უნდა ვნახო ის წყეული ალქიმიკოსი», – გაიფიქრა ინგლისელმა და იმ წუთს თითქოს აქლემების აყროლებული სუნიც კი აღარ მოეჩვენა აუტანლად.

სწორედ ამ დროს შემოვიდა მხარზე აბგაგადაკიდებული ახალგაზრდა არაბი და მიესალმა.

– საით გაგიწევიათ? – ჰკითხა მან.

– უდაბნოში, – უპასუხა ინგლისელმა და კვლავ კითხვა განაგრძო.

ლაპარაკისთვის არ ეცალა: ყველაფერი უნდა გაეხსენებინა, რაც ამ ათი წლის მანძილზე ისწავლა; ვინ იცის, იქნებ, ალქიმიკოსს მისი ცოდნის შემოწმება მოენდომებინა.

ყმაწვილიც ჩამოჯდა, აბგიდან წიგნი ამოიღო და კითხვა დაიწყო. ინგლისელმა შენიშნა, რომ ესპანურად კითხულობდა.

«კარგია», – გაიფიქრა მან, რადგან ესპანურად უკეთ ლაპარაკობდა, ვიდრე არაბულად.

თანაც, თუ ეს ყმაწვილიც ელ–ფაიუმში მიდიოდა, თავისუფალ დროს ხმის გამცემი მაინც ეყოლებოდა.

«უცნაურია, – ფიქრობდა სანტიაგო, როცა უკვე მერამდენედ კითხულობდა იმ დასაფლავების ამბავს, რითაც წიგნი იწყებოდა, – ორი წელია, ამ წიგნს ვკითხულობ და დღემდე პირველ გვერდს ვერ გავცდი».

ამჯერად მეფე მელქისედეკი არ უშლიდა ხელს, მაგრამ წაკითხულს გულს მაინც ვერ უდებდა. გონებაში ერთადერთი კითხვა უტრიალებდა – სწორად მოიქცა, თუ არა? მაგრამ ერთ რამეში კი არ ეპარებოდა ეჭვი: გადაწყვეტილების მიღება ყოველი საქმის დასაწყისი იყო მხოლოდ. გადაწყვეტილების მიღებისა და არჩევანის გაკეთების შემდეგ, ადამიანი თითქოს თავით ეშვებოდა უსწრაფეს ნაკადში, რომელსაც იქით მიჰყავს, საით წასვლაც თვითონ აზრად არ მოუვიდოდა.

«განძის საძებნელად რომ წამოვედი, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ბროლით მოვაჭრის ფარდულში აღმოვჩნდებოდი. ახლაც იგივე მეორდება, ეს ქარავანიც მე ავირჩიე, მაგრამ თავისთავად მისი გზა ჩემთვის მაინც ამოუცნობი დარჩება».

მის გვერდით ვიღაც ევროპელი იჯდა და წიგნს კითხულობდა. სანტიაგოს ეს კაცი არ მოეწონა: აქ შემოსვლისას მტრულად გამოხედა. თუმცა ეს არ იყო მთავარი, ნაცნობობა მაინც შეიძლებოდა გაებათ, მისალმებისთანავე საუბარი რომ არ გაეწყვიტა.

ყმაწვილმა წიგნი დახურა – სულაც არ უნდოდა, რამით დამსგავსებოდა ამ უცხოელს, – შემდეგ ჯიბიდან ქვები ამოიღო და თითებში აათამაშა.

– ურიმი და თუმიმი?! – გაოცდა უცხოელი.

სანტიაგომ სასწრაფოდ დამალა ქვები.

– არ იყიდება, – უთხრა.

– არც ისე ძვირი ღირს, – უპასუხა მან, – ჩვეულებრივი კრისტალებია, დიდი არაფერი. ამქვეყნად უამრავი ასეთი ქვაა, მაგრამ ვისაც ამისი გაეგება რამე, მაშინვე იცნობს ურიმს და თუმიმს. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეს ქვები შეიძლებოდა აქ მენახა.

– მე ისინი ხელმწიფემ მაჩუქა, – უპასუხა ყმაწვილმა.

უცხოელს თითქოს ენა ჩაუვარდა და ჯიბიდან აკანკალებული ხელით ამოიღო ორი ქვა – ზუსტად ისეთები, როგორიც სანტიაგოს ჰქონდა.

– ხელმწიფეს ელაპარაკე? – ჩაიჩურჩულა მან.

– ველაპარაკე, შენ, ალბათ, გიჭირს, დაიჯერო, რომ ხელმწიფეები მწყემსებს ელაპარაკებიან, – უთხრა სანტიაგომ და საუბრის გაგრძელების სურვილი გაუქრა.

– არა, რატომ? ყველაზე უწინ სწორედ მწყემსებმა აღიარეს ხელმწიფე, როცა ამქვეყნად მას არავინ ცნობდა. მწყემსთან ხელმწიფეების საუბარი სულაც არ არის გასაკვირი, – და თითქოს შეეშინდა, რომ ყმაწვილი ვერ გაუგებდა, დასძინა: – ამის შესახებ ბიბლიაშიც ამოიკითხავ, იმ წიგნში, საიდანაც ურიმისა და თუმიმის არსებობის შესახებ შევიტყვე. ღმერთმა მხოლოდ ამ ქვებზე მკითხაობის უფლება მისცა ადამიანებს. ქურუმები ამ ქვებს ოქროს გულსაკიდებზე იკეთებდნენ.

სანტიაგო საწყობში მოსვლას უკვე აღარ ნანობდა.

– იქნებ ესეც ნიშანია, – ჩაილაპარაკა ინგლისელმა.

– ნიშნების არსებობა საიდან იცი? – ცნობისწადილით ჩაეკითხა უცხოელს.

– ამქვეყნად ყველაფერი ნიშანია, – უთხრა ინგლისელმა და ჟურნალი გვერდზე გადადო, – უძველეს დროს ადამიანები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მერე კი დაივიწყეს. მე, ყველაფერთან ერთად, იმ ენას ვეძებ, ამიტომ ვარ აქ. მინდა, ვიპოვო ადამიანი, ვინც ამ ერთიან ენას ფლობს – ალქიმიკოსი.

საუბარი სქელი არაბის, საწყობის პატრონის, მოსვლამ შეაწყვეტინა.

– ბედი გწყალობთ, – თქვა არაბმა, – დღეს, სადილის შემდეგ, ქარავანი ელ–ფაიუმისკენ წავა.

– მე ეგვიპტეში მინდოდა ჩასვლა! – წამოიძახა დაბნეულმა სანტიაგომ.

– ელ–ფაიუმი ეგვიპტეშია. შენ საიდანა ხარ?

ესპანეთიდანო, უთხრა სანტიაგომ და ინგლისელმა გაიხარა: ყმაწვილს აღმოსავლურად კი ეცვა, მაგრამ მაინც ევროპელი იყო.

– ეს კაცი ნიშნებს ბედის წყალობას ეძახის, – თქვა ინგლისელმა მეპატრონის გასვლის შემდეგ, – წიგნი რომ დამეწერა იმის შესახებ, რასაც «ბედის წყალობა» და «დამთხვევა» ჰქვია, ძალზე სქელი ენციკლოპედია გამოვიდოდა. სწორედ ამ სიტყვებისგან შედგება სამყაროს ენა.

მერე დასძინა, რომ სანტიაგოსთან შეხვედრა, მის მსგავსად რომ ფლობდა ურიმსა და თუმიმს, სულაც არ იყო შემთხვევითი, და ისიც ჰკითხა, სანტიაგოც ალქიმიკოსს ხომ არ დაეძებდა.

– მე განძს ვეძებ, – უპასუხა ყმაწვილმა, მაგრამ მაშინვე დააჭირა ენას კბილი.

ინგლისელს ყურადღება არც მიუქცევია მისი სიტყვებისათვის, მხოლოდ ის უთხრა:

– მეც განძს დავეძებ, ოღონდ, ჩემებურად.

– მე ისიც კი არ ვიცი, რა არის ალქიმია, – უთხრა სანტიაგომ, მაგრამ ანაზდად საწყობის პატრონის ხმა შემოესმათ – მათ ეძახდა.

– ქარავანს მე გავუძღვები, – ეზოში გასულებს უთხრა გრძელწვერა, შავთვალება არაბმა, – ამიერიდან ჩემს ხელთ იქნება თითოეული ჩვენგანის სიკვდილ–სიცოცხლე, რადგან უდაბნო ჭირვეულ ქალბატონს ჰგავს და ადამიანებს ხშირად ჭკუიდან შლის.

გამგზავრებას ორასამდე ადამიანი აპირებდა, ცხოველები კი – აქლემები, ცხენები, ვირები – ორჯერ მეტი იყო. ინგლისელს წიგნებით სავსე რამდენიმე ჩემოდანი მოჰქონდა. ეზოში ქალები, ბავშვები და ქამრებში ხმალგარჭობილი და მხარზე თოფგადაკიდებული კაცები შეგროვილიყვნენ. ისეთი გნიასი იდგა, წინამძღოლს რამდენჯერმე მოუწია სათქმელის გამეორება.

– აქ ბევრი სხვადასხვანაირი ადამიანია თავშეყრილი და ყველა სხვადასხვა ღმერთის წინაშე ლოცულობს. მე მხოლოდ ალაჰს ვემსახურები და ამიტომ მის სახელს ვფიცავ: ყველაფერს გავაკეთებ, რომ კიდევ ერთხელ ვძლიო უდაბნოს. თქვენ კი ის ღმერთი დაიფიცეთ, რომელიც გწამთ, რომ მე დამემორჩილებით, რადგან უდაბნოში დაუმორჩილებლობა სიკვდილის ტოლფასია.

ყველა აბუტბუტდა, ყველა თავის ღმერთს მიმართავდა. სანტიაგომ ქრისტეს სახელი დაიფიცა. ინგლისელი კი ხმას არ იღებდა. ბუტბუტი კიდევ დიდხანს გაგრძელდა – ადამიანები დახმარებასა და შემწეობას შესთხოვდნენ ზეცას.

შემდეგ ბუკის ხმა გაისმა და ყველანი ცხენებსა და აქლემებზე ამხედრდნენ. სანტიაგო და ინგლისელი რის ვაი–ვაგლახით აფოფხდნენ აქლემებზე. ყმაწვილმა შეამჩნია, რა მძიმედ იყო დატვირთული ინგლისელის აქლემი, და ცხოველი შეებრალა.

– ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ დამთხვევები არ არსებობს, – დაწყებული საუბარი განაგრძო ინგლისელმა, – მე აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ერთმა ჩემმა მეგობარმა იმ არაბზე მიამბო...

მაგრამ მისი ხმა დაძრული ქარავნის ხმაურმა შთანთქა. სანტიაგო მშვენივრად ხვდებოდა, რას გულისხმობდა ინგლისელი: იცოდა, რომ არსებობდა მოვლენების ერთმანეთთან დამაკავშირებელი იდუმალი ჯაჭვი. სწორედ ამან აიძულა სანტიაგო, ჯერ მწყემსობა დაეწყო, მერე ერთი და იგივე სიზმარი ენახა ორჯერ, აფრიკის სანაპიროზე აღმოჩენილიყო, ხელმწიფეს შეხვედროდა, ავაზაკის მსხვერპლი გამხდარიყო და იმ ფარდულში დაეწყო მუშაობა, სადაც ბროლს ყიდდნენ...

«რაც უფრო შორს მიჰყვები საკუთარ გზას, მით მეტად განსაზღვრავს ის შენს ცხოვრებას», – გაიფიქრა ყმაწვილმა.

ქარავანი აღმოსავლეთისკენ მიდიოდა. დილით უთენია დგებოდნენ, მერე, მზის ზენიტზე ასვლისას, ისვენებდნენ და აგრილებისთანავე ისევ გზას მიუყვებოდნენ. სანტიაგო იშვიათად ელაპარაკებოდა ინგლისელს, ის უმეტესად წიგნს ჩაჰკირკიტებდა.

ყმაწვილი უჩუმრად აკვირდებოდა თანამგზავრებს. ისინიც შეცვალა უდაბნომ. თუ ადრე ყვირილი, ბავშვების ტირილი და ცხენების ჭიხვინი ერწყმოდა ვაჭრებისა და აქლემთა გამრეკების აღელვებულ ხმებს, აქ, უდაბნოს მდუმარებაში მხოლოდ ქარის სტვენა და ფეხქვეშ გახმიანებული ქვიშის ხმა ისმოდა. მეგზურებიც კი არ არღვევდნენ მდუმარებას.

– ბევრჯერ გადამივლია ეს ქვიშნარი, – ერთ ღამეს უთხრა ერთმა გამრეკმა მეორეს, – მაგრამ უდაბნო ისეთი უზარმაზარი და თვალუწვდენელია, რომ, შენდა უნებურად, თავს ქვიშის მარცვლად იგრძნობ. ქვიშის მარცვალი კი მუნჯია და უტყვი.

და თუმცა სანტიაგო პირველად იყო უდაბნოში, მაინც მიუხვდა სათქმელს. თვითონაც, ზღვის ან ცეცხლის ცქერისას, საათობით მუნჯდებოდა, ვეღარაფერზე ფიქრობდა და თითქოს ლღვებოდა სტიქიის მარადიულ ძალმოსილებაში.

«მე ჯერ ცხვრებისგან ვსწავლობდი, შემდეგ – ბროლისგან, ახლა კი უდაბნო მასწავლის, – ფიქრობდა ის, – უდაბნოა ყველაზე დიდი სიძველე, ის არის ყველასა და ყველაფერზე ბრძენი, რაც კი აქამდე მინახავს».ქარი კი ქროდა და ქროდა და სანტიაგოს გაახსენდა ტარიფაში, გალავანზე დგომისას, როგორ შეიგრძნო პირველად მისი ძალა. ალბათ, იგივე ქარი უწეწავდა მატყლს ანდალუსიის იალაღებზე წყლისა და საკვების საძებნელად შეფენილ მის ფარასაც.

«ახლა ის ცხვრები მე აღარ მეკუთვნიან, – გულისტკივილის გარეშე ფიქრობდა სანტიაგო, – ალბათ, დამივიწყეს კიდეც და ახალ მწყემსს მიეჩვივნენ. რას იზამ. ცხვრებმა, როგორც მოგზაურებმა, იციან, რომ განშორება უცილობელია».

ტარიფელი მედუქნის ქალიშვილი გაახსენდა – ისიც გათხოვდებოდა უკვე. ნეტავ, ვის გაჰყვა? იქნებ ბატიბუტის გამყიდველს ან რომელიმე მწყემსს, რომელმაც კითხვაც იცოდა და არაჩვეულებრივი ამბების მოყოლაც შეეძლო. მარტო სანტიაგო ხომ არ იქნებოდა ასეთი. იმან, რომ მედუქნის ქალიშვილის გათხოვებაში ეჭვიც არ ეპარებოდა, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილზე: იქნებ, მანაც შეითვისა ერთიანი ენა და უკვე შეეძლო, ადამიანთა აწმყოსა და მომავალს ჩასწვდომოდა? დედამისი ამ მადლს წინათგრძნობას უწოდებდა. ახლა სანტიაგოს უკვე ესმოდა, რომ წინათგრძნობა სულის სწრაფი ჩაშვება იყო სამყაროსეული ცხოვრების დინებაში, სადაც ერთმანეთთანაა დაკავშირებული ყველა ადამიანის ბედი. და თუკი ყველაფერი უკვე წინასწარ არის ცნობილი, ჩვენც შეგვწევს მისი წვდომის უნარი, რამეთუ ყველაფერი უკვე წერილ არს.

– მაკთუბ, – ჩაიბუტბუტა ყმაწვილმა და ბროლის ვაჭარი გაახსენდა.

დროდადრო ქვიშიან უდაბნოს ღორღი და ქვა ერეოდა. ქვის გროვებს გვერდს უვლიდნენ, ქვებით დაფარული ველის სიახლოვეს კი გზიდან უხვევდნენ. გზად მშრალი და წვრილი ქვიშით დაფარული ველებიც ხვდებოდათ, რომელშიც აქლემებს ფეხები ეფლობოდათ და ისევ სხვა გზის ძებნა იყო საჭირო. ხანდახან ფეხქვეშ მლაშობი ჩნდებოდა – მაშასადამე, ამ ადგილას ოდესღაც ტბა ლივლივებდა – და სასაპალნე ცხოველებიც საბრალო ჭიხვინს იწყებდნენ. გამრეკები ქვეითდებოდნენ, ცხოველებს ეფერებოდნენ, აწყნარებდნენ, ტვირთს თვითონ იკიდებდნენ და მხოლოდ ამ ადგილის გავლის შემდეგ ხელახლა ასაპალნებდნენ ცხენებსა და აქლემებს. თუ გამრეკი ავად ხდებოდა ან კვდებოდა, მისი ამხანაგები წილს ყრიდნენ და ასე ინაწილებდნენ უპატრონოდ დარჩენილ აქლემებს.

ამიტომაც, რამდენჯერაც უნდა გადაეხვია გზიდან, რამდენჯერაც უნდა შეეცვალა მიმართულება, ქარავანი მაინც მტკიცედ მიიწევდა დასახული მიზნისკენ. მორიგი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ ისევ იმ ვარსკვლავს ირჩევდნენ წინამძღვრად, რომელიც ოაზისის ადგილსამყოფელს მიანიშნებდა. დილის ცაზე ვარსკვლავის გაკრთომისთანავე ადამიანები ხვდებოდნენ: ვარსკვლავი იმ ადგილს მიანიშნებდა, სადაც სიგრილე, წყალი, პალმები და დასვენება ელოდათ. მხოლოდ ინგლისელი ვერ ამჩნევდა ვერაფერს და თავის წიგნებს ჩასჩერებოდა.

გზის დასაწყისში სანტიაგომაც დააპირა წიგნის წაკითხვა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ უფრო საინტერესო იქნებოდა, უდაბნოსთვის ეცქირა და ქარის ხმაურისთვის მიეგდო ყური. ის უკვე უსიტყვოდ უგებდა თავის აქლემს, შეუყვარდა კიდეც და ბოლოს წიგნიც გადააგდო – ზედმეტი ბარგი იყო. თუმცა, სჯეროდა, რომ წიგნის გადაშლისთანავე ყოველთვის იპოვიდა რაღაც საინტერესოს.

თანდათან იმ გამრეკსაც დაუმეგობრდა, მის გვერდით რომ მოდიოდა. საღამოობით, ღამის გასათევად რომ ჩერდებოდნენ და კოცონებს ანთებდნენ, სანტიაგო თავისი მწყემსური ცხოვრების ამბებს უყვებოდა ხოლმე.

ერთხელ კი გამრეკმაც მოუთხრო თავისი ამბავი.

– ელ–კაირუმთან ახლოს, ერთ პატარა სოფელში ვცხოვრობდი. სახლი და ბაღი მქონდა, მყავდა შვილები, უდარდელად ვცხოვრობდი და მეგონა, ასე ვიცხოვრებდი სიცოცხლის ბოლომდე. ერთხელ დიდი მოსავალი მოვიდა და იმ ფულით მთელი ოჯახი მექაშიც კი

წავიყვანე, აღვასრულე მორწმუნის ვალი და უკვე შემეძლო, სუფთა სინდისით მოვმკვდარიყავი. ძალიან კმაყოფილი ვიყავი ცხოვრებით.

მაგრამ ერთხელაც მიწა იძრა და ნილოსი ნაპირებზე გადმოვიდა. საერთო უბედურება მეც შემეხო. მეზობლებს ეშინოდათ, წყალს მათი ზეთისხილის ბაღები არ წაელეკა, ჩემს ცოლს კი ბავშვების ბედი ადარდებდა. თავზარდაცემული შევცქეროდი, თვალსა და ხელს შუა როგორ ქრებოდა ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა.

მას შემდეგ მიწა მოუსავლიანი გახდა. ოჯახის სარჩენად სხვა გზა უნდა მეძებნა. ასე გავხდი აქლემების გამრეკი. მაშინ მივხვდი ალაჰის სიტყვების აზრს: ამოუცნობისა არ შეგეშინდეს, რადგან ყოველ კაცს ძალუძს, ის შეიძინოს, რაც სურს, და მიიღოს – რაც სჭირდება.

ყველას ეშინია იმის დაკარგვისა, რაც გააჩნია – სათესი იქნება თუ სიცოცხლე. მაგრამ შიში გაგივლის, თუკი მიხვდები, რომ ჩვენი ბედიცა და მსოფლიოს ისტორიაც ერთი და იმავე ხელით არის დაწერილი...

ხანდახან სხვა ქარავანს ხვდებოდნენ და არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, შემხვედრი მექარავნეები ერთმანეთს არ დახმარებოდნენ – თითქოს, მართლაც, ყველაფერი ამქვეყნად ერთი ხელით იყო დაწერილი. კოცონის ირგვლივ ჩამომსხდარი გამრეკები ქვიშის ქარიშხლებსა და უდაბნოს ხასიათზე უყვებოდნენ ერთმანეთს.

დროდადრო კოცონთან იდუმალი ბედუინებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე, როგორღაც ზუსტად რომ იცოდნენ, რა გზით მიდიოდა ქარავანი. ისინი ასწავლიდნენ ავაზაკებისა და ველური ტომებისათვის გვერდის ასაქცევ გზებს, შემდეგ კი ისე მოულოდნელად ქრებოდნენ, თითქოს უკუნში ინთქმებოდნენ.

ერთ ასეთ საღამოს კოცონთან მსხდარ სანტიაგოსა და ინგლისელს გამრეკი მიუახლოვდა.

– ხმები დადის, ტომებს შორის ომი იწყებაო, – აცნობა მან.

ჩამოწოლილ სიჩუმეში სანტიაგომ მთელი სხეულით შეიგრძნო ეს მოლოდინი და შეშფოთება, და კიდევ ერთხელ ირწმუნა, რომ ნამდვილად ესმოდა ის უსიტყვო, ერთიანი ენა.

დუმილი ინგლისელმა დაარღვია და გამრეკს ჰკითხა, რამდენად ემუქრებოდა ეს ომი ქარავანს.

– უდაბნოში შესულისათვის უკანდასახევი გზა აღარ არსებობს, – უპასუხა გამრეკმა, – მაშასადამე, მხოლოდ წინ უნდა ვიაროთ. დანარჩენს კი, ჩვენს ნაცვლად, ალაჰი გადაწყვეტს. ის აგვაშორებს უბედურებას. მაკთუბ, – დასძინა მან და კოცონს გაშორდა.

– ტყუილად არ გსურს, დააკვირდე ქარავანს, აბა, დაფიქრდი: რამდენჯერაც უნდა გადავუხვიოთ გზიდან, მაინც მიზანს ვუახლოვდებით, – უთხრა ინგლისელს სანტიაგომ.

– მე კი მგონია, რომ შენ ცდები, როცა არ გსურს, წიგნებიდან შეიტყო, რა ხდება სამყაროში, ამ შემთხვევაში, წიგნები ქარავანს ჰგავს, – უპასუხა მან.

ადამიანებმაც და ცხოველებმაც ნაბიჯს აუჩქარეს. თუ ადრე მდუმარედ ილეოდა დღე და მხოლოდ ღამღამობით კოცონებთან შეკრებილები საუბრობდნენ, ახლა უკვე საღამოებიც მდუმარე გახდა. მალე წინამძღოლმა კოცონების ანთებაც აკრძალა: კოცონს ავაზაკების მიზიდვა შეეძლო.

სიცივისაგან თავის დასაცავად აქლემებსა და ცხენებს რკალად აყენებდნენ, თვითონ კი ამ წრის შუაგულში ქვიშაზე წვებოდნენ. წინამძღოლმა ღამის დარაჯებიც დანიშნა, რომლებიც იარაღით ხელში იცავდნენ სადგომს.

ერთ ღამეს ინგლისელს ძილი გაუტყდა, სანტიაგო გაიყოლა და ღამის ბანაკის გარშემო დაიწყეს სეირნობა. სავსე მთვარე ანათებდა და სანტიაგომ, დროის მოსაკლავად, წვრილად მოუთხრო თავისი ამბავი.

ინგლისელს განსაკუთრებით მოეწონა, როცა გაიგო, როგორ აყვავდა ვაჭრობა ბროლის ფარდულში სანტიაგოს მისვლის შემდეგ.

– სწორედ ეს ამოძრავებს სამყაროს, – უთხრა მან, – ალქიმიაში ამას «სამყაროს სული» ეწოდება. როცა მთელი სულით და გულით გწადია რაღაც, მაშინ სამყაროს სულს ეზიარები, რომელშიც უზარმაზარი ძალაა დაფარული.

და დასძინა, რომ ეს მხოლოდ ადამიანებისთვის არ იყო დამახასიათებელი, სული აქვს ყველაფერს ამქვეყნად – ქვას, მცენარეს, ცხოველს და თვით აზრსაც.

– რაც კი რამ არსებობს დედამიწის ზურგზე, ყველაფერი იცვლება, რადგან თავად დედამიწაც ცოცხალია და სულიერი. ჩვენ ყველა ამ სულის ნაწილი ვართ, ამიტომ ვერც კი ვაცნობიერებთ იმ სიკეთეს, მისგან რომ ვიღებთ. თუმცა შენ, ფარდულში მუშაობისას, უნდა მიმხვდარიყავი, რომ ბროლიც კი გეხმარებოდა წარმატების მიღწევაში.

სანტიაგო ჩუმად უსმენდა, ხან მთვარეს უყურებდა, ხანაც თეთრ ქვიშას აკვირდებოდა.

– მე ვნახე, როგორ მიდის ქარავანი უდაბნოში, – თქვა მან ბოლოს, – ქარავანი თითქოს თავის ენაზე ელაპარაკება უდაბნოს და უდაბნოც მის ყოველ ნაბიჯს ამოწმებს, ცდის, და თუ დარწმუნდება, რომ ქარავანი მასთან თანხმიანობს, ოაზისისკენ გაატარებს. ისინი კი, ვინც ვაჟკაცები და უშიშრები არიან, მაგრამ მისი ენა არ იციან, პირველსავე დღეს იღუპებიან.

ახლა ორივე მთვარეს უცქეროდა.

– ეს ნიშნების მაგიაა, – განაგრძო სანტიაგომ, – ყოველდღე ვხედავ, როგორ კითხულობენ მეგზურები უდაბნოს ნიშნებს. ამ დროს ქარავნის სული უდაბნოს სულს ესაუბრება.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ბოლოს ინგლისელმაც ხმა ამოიღო:

– იქნებ მართალიც ხარ, ქარავანს უნდა დავაკვირდე.

– მე კი, შენი წიგნები წავიკითხო, – უპასუხა ყმაწვილმა.

უცნაურზე უცნაური წიგნები იყო. მათში ვერცხლისწყალზე, მარილზე, ხელმწიფეებსა და დრაკონებზე იყო ლაპარაკი, და თუმცა სანტიაგო ძალიან ცდილობდა, გულისყურით ეკითხა, მაინც ვერაფერი გაიგო. მაგრამ ის უმთავრესი, ერთთავად რომ მეორდებოდა ყველა წიგნში, მაინც გაიცნობიერა: ყველაფერი ამქვეყნად ერთი მთლიანობის სხვადასხვა გამოვლინება იყო.

ერთ–ერთი წიგნიდან კი ისიც შეიტყო, რომ ალქიმიაში ყველაზე მნიშვნელოვან ზურმუხტზე ამოკვეთილი სულ რამდენიმე სტრიქონი იყო.

– ამას «ზურმუხტის ბეჭდული» ჰქვია, – აუხსნა ინგლისელმა; ეამაყებოდა, მასაც რომ შეეძლო, რაღაც ესწავლებინა თავისი თანამგზავრისთვის.

– აბა, ამდენი წიგნი რაღა საჭიროა?

– იმისთვის, რომ ის რამდენიმე სტრიქონი გაიგო, – უპასუხა ინგლისელმა, თუმცა, ხმაზე ეტყობოდა, რომ მაინცდამაინც თვითონაც არ სჯეროდა თავისი ნათქვამის.

სანტიაგო ყველაზე მეტად იმ წიგნმა დააინტერესა, ცნობილ ალქიმიკოსებზე რომ იყო დაწერილი, იმ ადამიანებზე, ვინც მთელი სიცოცხლე ლაბორატორიებში მუშაობდნენ და ლითონს ასუფთავებდნენ: მათ სჯეროდათ, რომ მრავალწლიანი დამუშავებით, ლითონი მისთვის დამახასიათებელ თვისებებს დაკარგავდა და სამყაროსეულ სულს შეიძენდა. ისიც სჯეროდათ, რომ თუ ამას მიაღწევდნენ, მეცნიერები ყოველი საგნის აზრის წვდომასაც შეძლებდნენ, რადგან სამყაროსეული სული ხომ ის ენა იყო, რომელზეც ეს საგნები ლაპარაკობდნენ. სწორედ ამ აღმოჩენას უწოდებდნენ ისინი «დიად შემოქმედებას», რომელიც ორი – მკვრივი და თხიერი – ელემენტისაგან შედგებოდა.

– ამ ენის შესასწავლად ხომ ადამიანებისა და ნიშნების შესწავლაც კმარა? – ჰკითხა სანტიაგომ.

– როგორ გიყვარს ყველაფრის გამარტივება! – გაღიზიანდა ინგლისელი, – ალქიმია სერიოზული მეცნიერებაა და მოითხოვს, ყოველი ნაბიჯი ბრძენთა მოძღვრების თანახმად იყოს აღსრულებული.

ყმაწვილმა ისიც შეიტყო, რომ დიადი შემოქმედების თხევად ელემენტს «უკვდავების ელექსირი» ერქვა. მისი წყალობით ალქიმიკოსს შეეძლო, უკვდავება მოეპოვებინა და, ამას გარდა, ყველა სნეულებაც განეკურნა. მკვრივი ელემენტი კი «ფილოსოფიური ქვა» იყო.

– მისი მოპოვება ძალიან ძნელია, – უთხრა ინგლისელმა, – ალქიმიკოსები წლობით სხედან ლაბორატორიებში და ლითონის დაწმენდას აკვირდებიან. ისინი ისე ხშირად და ისე დიდხანს უცქერიან ცეცხლს, რომ თანდათანობით თავისუფლდებიან ამქვეყნიური ამაოებისაგან და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენენ, რომ ლითონის წმენდისას თვითონაც განიწმინდნენ.

სანტიაგოს ბროლის ვაჭარი გაახსენდა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ჭიქების რეცხვისას თვითონაც ისუფთავებდა სულს, და კიდევ ერთხელ ირწმუნა, რომ ალქიმიის სწავლა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეიძლებოდა.

– ამას გარდა, – განაგრძო ინგლისელმა, – ფილოსოფიურ ქვას არაჩვეულებრივი თვისება გააჩნია: მისი უმცირესი ნაწილაკიც კი საკმარისია, რომ ნებისმიერი ლითონის ნებისმიერი რაოდენობა ოქროდ გადაიქცეს.

სანტიაგოს უფრო გაუცხოველდა ალქიმიისადმი ინტერესი. უკვე ფიქრობდა, რომ სულ ცოტა მოთმინება იყო საჭირო და შეგეძლო, რასაც მოისურვებდი, ყველაფერი ოქროდ გექცია. მას ხომ უკვე ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული იმათ შესახებ, ვინც ეს მოახერხა: ჰელვეციუსი, ელიასი, ფულკანელი, ჰებერა – და მათი თავგადასავლები აღფრთოვანებით უვსებდა გულს. ამ ადამიანებს თავიანთი გზიდან არ გადაუხვევიათ და მისი ბოლომდე გავლა შეძლეს. ისინი მოგზაურობდნენ, სწავლულებსა და ბრძენკაცებს ხვდებოდნენ, სკეპტიკოსთა დასამარცხებლად სასწაულებს ჩადიოდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ფილოსოფიურ ქვას და უკვდავების ელექსირს მოიპოვებდნენ.

თუმცა, როცა სანტიაგომ დააპირა, წიგნების მიხედვით აეხსნა, რა იყო დიადი შემოქმედება, ჩიხში აღმოჩნდა: უამრავი უცნაური ნახატის გარდა, ამ წიგნებში ყველაფერი ცარიელი სიტყვების რახარუხად ეჩვენა.

– ასე რატომ ხლართავენ ყველაფერს ალქიმიკოსები? – ერთ საღამოს ჰკითხა ინგლისელს, რომელსაც, ეტყობოდა, მოეწყინა თავისი წიგნების გარეშე.

– იმიტომ, რომ ამ წიგნების გაგება მხოლოდ იმ ადამიანებმა შეძლონ, რომლებიც ამ დიად ცნებებთან დაკავშირებულ ყველა პასუხისმგებლობას აცნობიერებენ. წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, ყოველ ადამიანს რომ შეეძლოს, ტყვია ოქროდ გადააქციოს. ძალიან მალე ოქროც ისევე გაუფასურდებოდა, როგორც ტყვია. მხოლოდ ბეჯითები და მცოდნეები ახერხებენ დიადი შემოქმედების წვდომას. აი, რატომ ვარ აქ, ამ უდაბნოში. ნამდვილ ალქიმიკოსს უნდა შევხვდე, რომელიც იდუმალი ჩანაწერების ამოხსნაში დამეხმარება.

– ეს წიგნები როდის დაიწერა?

– მრავალი საუკუნის წინ.

– მაშინ ხომ სასტამბო დაზგა არ არსებობდა. მაშინაც და ახლაც ალქიმიას ყველა ვერ ისწავლის. რატომღა წერენ ასეთი იდუმალი ენით და რატომ ასაიდუმლოებენ ნახატებს?

ინგლისელმა არაფერი უპასუხა. მხოლოდ მოგვიანებით, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უთხრა, რომ უკვე რამდენიმე დღე იყო, ქარავანს აკვირდებოდა, მაგრამ ახალი ვერაფერი შეამჩნია. ყველა მხოლოდ ტომებს შორის დაწყებულ ომზე ლაპარაკობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ სანტიაგომ ინგლისელს წიგნები დაუბრუნა.

– რამე გაიგე? – ნახევრად ირონიით, ნახევრად იმედით ჰკითხა ინგლისელმა; შფოთიანი ფიქრებისაგან თავის დასაღწევად, ვინმესთან უნდოდა დალაპარაკება.

– მხოლოდ ის გავიგე, რომ სამყაროს სული აქვს და ის, ვინც ამ სულს ჩასწვდება, ყოველი არსის ენასაც ისწავლის. ისიც შევიტყვე, რომ ბევრმა ალქიმიკოსმა შეძლო თავისი გზისთვის მიეგნო და სამყაროსეული სული, ფილოსოფიური ქვა და უკვდავების ელექსირი აღმოეჩინა, – ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი დასძინა: – მივხვდი უმთავრესსაც: მთელი ეს სიბრძნე იმდენად მარტივია, რომ ზურმუხტის ბეჭდულზეც კი ეტევა.

ინგლისელმა იმედის გაცრუება იგრძნო. ვერც მისმა ამდენი ხნის სწავლამ, ვერც მაგიურმა სიმბოლოებმა, ვერც ბრძნულმა გამოთქმებმა და რეტორტებმა და ვერც კოლბებმა შთაბეჭდილება ვერ მოახდინა სანტიაგოზე.

«მეტისმეტად პრიმიტიული აზროვნება აქვს ამ სიბრძნის გასაგებად», – გაიფიქრა ინგლისელმა, მერე წიგნები გამოართვა და აქლემს აკიდებულ ჩემოდნებში ჩააწყო.

– გიჯობს, ქარავანს დააკვირდე, ქარავნისგან მეც იმდენივე ვისწავლე, რამდენიც შენ ჩემი წიგნებიდან, – უთხრა სანტიაგოს.

და სანტიაგომ ისევ უდაბნოს მდუმარებას მიუგდო ყური, თან აქლემების ფეხქვეშ აბუქებულ ქვიშას უყურებდა.

«ყველა თავისებურად სწავლობს, – გაიფიქრა მან, – ჩემთვის მისი გზაა მიუღებელი, მისთვის კი – ჩემი. მაგრამ ორივე საკუთარ გზას ვეძებთ და თუნდაც ამისთვისაა პატივისცემის ღირსი».

ახლა აღარც ღამღამობით ჩერდებოდა ქარავანი. დროდადრო ბედუინები გამოჩნდებოდნენ ხოლმე და რაღაცას აუწყებდნენ ხოლმე წინამძღოლს. სანტიაგოს მისმა მეგობარმა აქლემების გამრეკმა შეატყობინა, რომ ტომებს შორის ომი მაინც დაიწყო და ბედის წყალობად უნდა მიეღოთ, თუ ქარავანი ოაზისამდე მიაღწევდა.

Fქლემები და ცხენები ძლივსღა მიათრევდნენ ფეხებს, ხალხიც სულ უფრო მდუმარე ხდებოდა. ჩამოწოლილ სიბნელეში ცხენების ჭიხვინი და აქლემების ფრუტუნიც, ადრე მხოლოდ ცხენის ჭიხვინი და აქლემის ფრუტუნი რომ იყო, ახლა შიშის ზარს სცემდათ, რადგან შეიძლებოდა, მტრის მოახლოების ნიშანი ყოფილიყო.

თუმცა გამრეკს მოახლოებული საფრთხე არ აშინებდა.

– მე ცოცხალი ვარ, – უხსნიდა სანტიაგოს ერთ უმთვარო ღამეს, როცა ვეღარც კოცონს ანთებდნენ, – ახლა ფინიკს ვჭამ და, მაშასადამე, სხვას საქმე არაფერი მაქვს. ქარავანი რომ დაიძვრება, მეც მივყვები და სხვა არაფერს გავაკეთებ. თუკი ბრძოლა მოგვიწევს, ის დღე ისევე მშვენიერი იქნება სიკვდილისათვის, როგორც სხვა დანარჩენი დღეები. რადგან მე წარსულსა და მომავალში კი არ ვცხოვრობ, არამედ აწმყოში, და მხოლოდ ეს წუთი მაინტერესებს. შენც რომ შეძლო და ყოველთვის აწმყოში იარსებო, მაშინ მოკვდავთა შორის უბედნიერესი კაცი იქნებოდი, რადგან მიხვდებოდი, რომ ეს უდაბნო ცოცხალია; რომ ცაზე ვარსკვლავები ბრწყინავს და მეომრებიც მხოლოდ იმიტომ იბრძვიან, რომ ამას მოითხოვს მათი ადამიანური ბუნება. მაშინ ცხოვრება მარადიულ და დაუსრულებელ ზეიმად გექცეოდა, რადგან მასში აღარაფერი დარჩებოდა, აწმყოს გარდა.

ორი დღის შემდეგ, როცა მოგზაურები ღამის გასათევად ბანაკდებოდნენ, სანტიაგომ იმ ვარსკვლავს ახედა, რომელიც ოაზისისკენ მიმავალ გზას უჩვენებდათ, და მოეჩვენა, რომ ჰორიზონტის ხაზი დადაბლებულიყო: ცაში, უდაბნოს თავზე, ასობით ვარსკვლავი კიაფობდა.

– აი, ის არის ოაზისი, – უთხრა გამრეკმა.

– რატომ აღარ მივდივართ?

– იმიტომ, რომ უნდა დავიძინოთ.

სანტიაგომ თვალი მაშინ გაახილა, როცა მზე ჰორიზონტიდან ამოიწვერა. იქ კი, სადაც ღამით ვარსკვლავები ციალებდა, ახლა უამრავი ფინიკის პალმა მოჩანდა, გეგონებოდათ, მთელი უდაბნო პალმებით იყო დაფარული.

– მოვედით! – წამოიძახა ინგლისელმა.

სანტიაგოს ხმა არ ამოუღია. დუმილი უდაბნოსაგან ისწავლა და ახლა მისთვის საკმარისი იყო, მხოლოდ ეცქირა ხეებისათვის. პირამიდებამდე ჯერ შორი გზა ედო. ოდესმე ეს დილაც მხოლოდ და მხოლოდ მოგონებადღა შემორჩებოდა მის ხსოვნას. მაგრამ ახლა აწმყოთი ცხოვრობდა, მას შეჰხაროდა. როგორც გამრეკმა ასწავლა, და ცდილობდა ეს აწმყო წარსულის მოგონებებთან და მომავლის ოცნებასთან დაეკავშირებინა. ჰო, ოდესმე ეს ათასობით ფინიკის პალმა მოგონებად იქცეოდა, მაგრამ ამ წუთებში სიგრილეს, წყალსა და უსაფრთხოებას მოასწავებდა. და ისევე, როგორც ღამღამობით აქლემის ყვირილი მტრის მოახლოების ნიშანი შეიძლებოდა, ყოფილიყო, პალმების ეს რიგი ხსნის სასწაულს აუწყებდა.

«სამყარო მრავალ ენაზე ლაპარაკობს», – გაიფიქრა სანტიაგომ.

«თუ დრო სწრაფად გარბის, თითქოს ქარავანიც ნაბიჯს უჩქარებს», – გაიფიქრა ალქიმიკოსმა, ოაზისში შემოსული ასობით ადამიანი და ცხოველი რომ დაინახა.

ირგვლივ ოაზისის ბინადართა და ჩამოსულთა შეძახილები ისმოდა. მტვერი ცას სწვდებოდა და მზეს ფარავდა. ბავშვები ხტუნვა–ხტუნვითა და ჭყივილით ათვალიერებდნენ უცხოებს. ალქიმიკოსი უცქეროდა, როგორ მიუახლოვდნენ ტომთა ბელადები წინამძღოლს და ლაპარაკი გაუბეს.

თუმცა ეს სულაც არ აინტერესებდა. უამრავი ხალხი მიდიოდა და მოდიოდა, ოაზისი და უდაბნო კი ისევ მარადიული და უცვლელი რჩებოდა. მას მრავალგზის ჰქონდა ნანახი, როგორ დააბიჯებდნენ ხელმწიფეები და ბოგანოები ამ ქვიშაში, რომელიც ქარის ნებით ხშირად იცვლიდა მოხაზულობას, მაგრამ მაინც ისეთივე რჩებოდა, როგორიც ბავშვობიდან ახსოვდა. და, მიუხედავად ამისა, მაინც, ყოველი ქარავნის შემოსვლისას, მასაც გადაედებოდა ხოლმე ის სიხარული, ლურჯი ცისა და ყვითელი ქვიშის ნაცვლად პალმის მწვანე კენწეროების დანახვისას რომ მოიცავდა ყოველ მოგზაურს.

«იქნებ უდაბნო ღმერთმა სწორედ იმისთვის შექმნა, რომ ადამიანმა ხეებს გაუღიმოს», – გაიფიქრა მან, შემდეგ კი არჩია, უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე დაფიქრებულიყო. მან

იცოდა, და ეს ნიშნებმა უკარნახეს, რომ ამ ქარავანს ერთი ადამიანი უნდა ჩამოჰყოლოდა, ვისთვისაც თავისი იდუმალი ცოდნის ნაწილი უნდა გადაეცა. თუმცა ამ ადამიანს არ იცნობდა, მაინც სჯეროდა, რომ გამოცდილი მზერით შეძლებდა ბრბოში მის გამორჩევას. და იმასაც იმედოვნებდა, რომ ახალმოსული თავის წინამორბედებზე უარესი არ აღმოჩნდებოდა.

«მაინც ვერ ვხვდები, საიდუმლოდ რატომ უნდა გადავცე ყველაფერი, რაც ვიცი, – ფიქრობდა ის, – თუმცა ამას საიდუმლოსაც ვერ უწოდებ, ღმერთი ხომ თავის საიდუმლოს სიამოვნებით უმხელს ყოველ არსს».

ამ გასაიდუმლოებას ალქიმიკოსი ერთი მიზეზით ხსნიდა: ის, რაც მოსულისთვის უნდა გადაეცა, წმინდა ცხოვრების ნაწილი იყო, რომლის ასახვაც სიტყვებსა და ნახატებში არ ხერხდებოდა. სიტყვებითა და ნახატებით გატაცებული ადამიანები ხომ იმისკენ არიან მიდრეკილნი, რომ დავიწყებას მისცენ ერთიანი ენა.

ახალმოსულები ადგილობრივ ბელადებთან მიიყვანეს. სანტიაგო თვალებს არ უჯერებდა: ოაზისი ორი–სამი პალმით გარშემორტყმული უბრალო ჭა კი არ იყო, როგორც ისტორიის წიგნებშია აღწერილი, არამედ ესპანეთის ზოგიერთ სოფელზე დიდიც კი აღმოჩნდა. ჭებიც სამი ასეული მაინც იქნებოდა, პალმები – ორმოცდაათი ათასი, და მათ შორის უამრავი ფერად–ფერადი კარავი იდგა.

– «ათას ერთი ღამე», – თქვა ინგლისელმა, რომელსაც მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ისე უნდოდა ალქიმიკოსთან შეხვედრა.

მოგზაურებს წამსვე შემოეხვივნენ ბავშვები და ინტერესით დაუწყეს თვალიერება ცხენებს, აქლემებსა და ადამიანებს. კაცები მოსულებს ეკითხებოდნენ, გზად მეომრებს ხომ არ გადაჰყრიხართო, ქალებს კი იმის გაგება ეწადათ, როგორი ქსოვილი და თვლები ჩამოიტანეს ვაჭრებმა. უდაბნოს მდუმარება ახლა შორეულ მოგონებადღა დარჩენილიყო – ირგვლივ ლაპარაკი, სიცილი და შეძახილები ისმოდა, გეგონებოდა, მგზავრების უსხეულო სულებმა მხოლოდ ახლა შეისხეს ხორცი და ადამიანებად იქცნენო. ყველა კმაყოფილი და ბედნიერი იყო.

გამრეკმა სანტიაგოს აუხსნა, რომ ოაზისი არასოდეს ყოფილა ვინმეს საკუთრება, რადგანაც, უმეტესად, ქალებით და ბავშვებით იყო დასახლებული. ქალები და ბავშვები ხელშეუხებელნი იყვნენ, ამიტომაც მეომრები უდაბნოში იბრძოდნენ და ოაზისს თავშესაფრად იტოვებდნენ.

წინამძღოლმა რის ვაი–ვაგლახით შეკრიბა გაფანტული ხალხი და განუმარტა, რომ ქარავანი ომის დამთავრებამდე დარჩებოდა ოაზისში, მგზავრებს ადგილობრივ მცხოვრებთა კარვებში შეეძლოთ ეპოვათ თავშესაფარი და მასპინძლები მათ კანონის შესაბამისად მიიღებდნენ. შემდეგ ყველას სთხოვა, იარაღი ჩაებარებინათ, იმათაც კი, ვინც ღამ–ღამობით ქარავანს იცავდა.

– ასეთია ომის კანონი, – განუმარტა მან ხალხს, – ოაზისს არ შეუძლია ჯარისკაცის ან მეომრის მიღება.

სანტიაგოს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ინგლისელმა ჯიბიდან ქრომირებული რევოლვერი ამოიღო და წინამძღოლს გადასცა.

– რევოლვერი რაში გჭირდებოდა? – ჰკითხა ყმაწვილმა.

– ადამიანთა ნდობა რომ მესწავლა, – უპასუხა ინგლისელმა: საოცრად კმაყოფილი ჩანდა, რომ მალე იპოვიდა იმას, ვისაც ეძებდა.

სანტიაგო კი ისევ განძზე ფიქრობდა. რაც უფრო უახლოვდებოდა თავისი ოცნების ასრულებას, მით მეტი სირთულე ეღობებოდა გზაზე. ის, რასაც ბებერი ხელმწიფე მელქისედეკი «ახალბედებისთვის ბედის წყალობას» უწოდებდა, უკვე აღარ მოქმედებდა. ახლა საკუთარ ბედს ადევნებული ადამიანის დაჟინება და ვაჟკაცობა იყო საჭირო, ამიტომ ვერ აჩქარდებოდა და ვერც მოთმინებას დაკარგავდა, თუ არადა, ნიშნები, რომელსაც ღმერთი განალაგებდა გზაზე, შეიძლება, ამოუცნობი დარჩენილიყო.

«ღმერთი განალაგებდა», – გაიმეორა გულში და ნაფიქრმა გააოცა. აქამდე ეჩვენებოდა, რომ ეს ნიშნები მხოლოდ სამყაროს ნაწილი იყო, ისეთივე, როგორიც შიმშილი ან წყურვილი, სიყვარულის ან სამუშაოს ძებნა. აქამდე არ უფიქრია, რომ ეს იყო ის ენა, რომლითაც უფალი ელაპარაკებოდა და სწორ გზას მიანიშნებდა. «ნუ ჩქარობ, – თავს ირწმუნებდა სანტიაგო, – როგორც აქლემების გამრეკი მეუბნებოდა, ჭამის დროს ჭამე და წასვლის დროს წადი».

პირველ დღეს ყველას ეძინა, ინგლისელსაც კი. იმ კარავში, სადაც სანტიაგომ დაიდო ბინა, მისი კბილა ხუთი ყმაწვილიც ცხოვრობდა. ადგილობრივები იყვნენ და ამიტომ დიდი ქალაქების ცხოვრება აინტერესებდათ.

მან უკვე უამბო, როგორ მწყემსავდა ცხვრებს, და ის იყო, ბროლის ფარდულში თავისი მუშაობის ამბებზე უნდა გადასულიყო, რომ კარავში ინგლისელი შემოვიდა.

– მთელი დილაა, შენ გეძებ, – კარვიდან გასვლისთანავე უთხრა ინგლისელმა, – ძალიან მჭირდები. ალქიმიკოსი მომაძებნინე.

მთელ დღეს ცალ–ცალკე დაეძებდნენ იმ იმედით, რომ ალქიმიკოსს ყველასაგან განსხვავებული კარავი უნდა ჰქონოდა, რომელშიც მუდმივად ენთებოდა ცეცხლი. ოაზისს წაღმა–უკუღმა უვლიდნენ, ვიდრე არ მიხვდნენ, რომ ოაზისი ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე თავად წარმოედგინათ – იქ ათასობით კარავი იდგა.

– მთელი დღე ტყუილად დავკარგეთ, – თქვა იმედგაცრუებულმა ინგლისელმა და ერთ–ერთ ჭასთან ჩაიმუხლა.

– იქნებ ვინმეს ვკითხოთ? – უპასუხა სანტიაგომ.

ინგლისელი მაინც ყოყმანობდა – მიზნის გამჟღავნებას ერიდებოდა, მაგრამ ბოლოს ისიც დათანხმდა და რადგან სანტიაგო კარგად ლაპარაკობდა არაბულად, სთხოვა, ალქიმიკოსზე შეეგროვებინა ცნობები. ცოტა ხანში ჭასთან ვიღაც ქალი გამოჩნდა, პატარა ტიკჭორა მოჰქონდა ასავსებად.

– გამარჯობათ, ქალბატონო. ხომ ვერ გვეტყვით, სად შეიძლება ალქიმიკოსის პოვნა? – ჰკითხა სანტიაგომ.

ქალმა უპასუხა, რომ არასოდეს გაეგო ასეთი ადამიანის შესახებ და სწრაფად გაერიდა. თუმცა, წასვლამდე სიტყვა დაუგდო, რომ ადათ–წესების თანახმად, შავებში ჩაცმულ გათხოვილ ქალს არ უნდა გამოლაპარაკებოდნენ.

ინგლისელის იმედგაცრუებას საზღვარი არ ჰქონდა. ამხელა გზა გამოიარა და ისიც – უშედეგოდ! სანტიაგოსაც წაუხდა გუნება – მისი თანამგზავრი ხომ საკუთარ გზას ეძებდა, მელქისედეკის მტკიცებით კი, ასეთ შემთხვევაში, სამყარო ადამიანს ეხმარება ოცნების ასრულებაში. ნუთუ ბებერი ხელმწიფე ცდებოდა?

– აქამდე ალქიმიკოსების შესახებ არაფერი მსმენია, თორემ დაგეხმარებოდი, – უთხრა ინგლისელს.

ინგლისელს თვალები აუციმციმდა.

– ცხადია! – შესძახა მან, – აქ, ალბათ, არც კი იციან, რომ ალქიმიკოსია! ჩვენ ის ადამიანი უნდა მოვიკითხოთ, ვინც ყველა სნეულებას კურნავს.

ჭასთან ისევ გამოჩნდა რამდენიმე შავებში ჩაცმული ქალი, მაგრამ, ინგლისელის თხოვნის მიუხედავად, სანტიაგოს ხმა არ გაუცია მათთვის. ბოლოს კაციც დაინახა.

– თქვენ ხომ არ იცნობთ ადამიანს, ვინც ყველა დაავადებას კურნავს? – ჰკითხა ყმაწვილმა.

– ყველა დაავადებას მხოლოდ ალაჰი კურნავს, – უპასუხა მან და შიშით შეხედა უცხოელებს, – ჯადოქრებს ეძებთ?

მან ყურანიდან რამდენიმე სურა ჩაიბუტბუტა და ისევ გზა განაგრძო.

ცოტა ხნის შემდეგ სხვა კაცი გამოჩნდა; უფრო ასაკოვანი იყო და ხელში სათლი ეჭირა.

– ასეთი ხალხი რაში გჭირდებათ? – დაინტერესდა ბერიკაცი.

– ჩემმა მეგობარმა დიდი გზა გამოიარა მის სანახავად.

– ჩვენს ოაზისში ასეთი მხოლოდ ერთი ადამიანია, ყოვლისშემძლე, – ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უთხრა მოხუცმა, – ტომის ბელადებსაც არ შეუძლიათ მისი ნახვა, მხოლოდ მაშინ ხვდებიან, როცა ის თავად მოისურვებს. ომის დასრულებას დაელოდეთ და წადით. გირჩევნიათ, ჩვენი ოაზისის საქმეებში არ ჩაერიოთ, – უთხრა და გაეცალა.

ინგლისელი მიხვდა, რომ ალქიმიკოსის კვალს მიაგნო და გაიხარა.

ბოლოს ჭასთან შავებში ჩაცმული გათხოვილი ქალი კი არა, მხარზე დოქშემოდგმული ქალიშვილი მივიდა. თავზე საბურველი ეხვია, მაგრამ სახე მოუჩანდა. სანტიაგომ ქალიშვილისკენ გადადგა ნაბიჯი, ალქიმიკოსის ამბავი უნდოდა ეკითხა.

და, ანაზდად, თითქოს დრო გაჩერდა და მის თვალწინ მთელი დიდებულებით განსხეულდა სამყაროს სული. ქალიშვილის შავი თვალებისა და მოკუმული, ღიმილგამკრთალი ტუჩების დანახვისთანავე სანტიაგომ წამის უსწრაფესად გაიცნობიერა იმ ენის უმთავრესი ნიშანი, რომელზეც სამყარო ლაპარაკობდა და

რომელიც ყველა ადამიანის გულს სწვდებოდა. მას სიყვარული ერქვა და ადამიანთა მოდგმასა და თვით ამ უდაბნოზე ძველი იყო. ეს სიყვარული მუდამ თვითნებურად და მოულოდნელად ვლინდებოდა ორი ადამიანის – ქალისა და კაცის – შემხვედრ მზერაში და ასე მოხდა ახლაც, ამ ჭასთან.

ქალიშვილის ტუჩებმა ბოლოს გაღიმება არჩიეს და ეს ნიშანი იყო, ნიშანი იმისა, რასაც სანტიაგო, თავადაც რომ არ უწყოდა, ისე ელოდა, და რასაც ცხვრებთან და წიგნებში, ბროლსა და უდაბნოს მდუმარებაში დაეძებდა მთელი სიცოცხლე.

ეს იყო წმინდა და მარტივი ენა, რომელსაც თარგმანი და განმარტებები არ სჭირდებოდა, ისევე, როგორც თარგმანი და განმარტება არ სჭირდება უსასრულობისკენ მიმართულ სამყაროს. იმ წუთში სანტიაგო მხოლოდ იმას მიხვდა, რომ თავისი ბედის პირისპირ იდგა და ეჭვიც არ ეპარებოდა, ქალიშვილიც უსიტყვოდ უნდა მიმხვდარიყო ამას. სანტიაგოს ეს მთელი არსებით სჯეროდა – სჯეროდა უფრო მეტად, ვიდრე ის, რომ თვითონ თავისი მშობლების შვილი იყო, თუმცა მშობლები, ცხადია, ეტყოდნენ, რომ ჯერ უნდა შეჰყვარებოდა ადამიანი, დანიშნულიყო, ახლოს გაეცნო, ფული დაეგროვებინა და მხოლოდ ამის შემდეგ შეერთო ცოლად.

მაგრამ ის, ვინც ამგვარ რჩევებს აძლევს ადამიანებს, ნაკლებად ფლობს საერთო ენას, რადგან ამ ენის წვდომისთანავე ცხადი ხდება: ყველგან – უდაბნოს შუაგულში თუ დიდ ქალაქში – ერთი ადამიანი მეორეს ეძებს და ელოდება. და როცა დგება მათი გზების გადაკვეთისა და თვალებში შეხედვის წამი, წარსულიცა და მომავალიც აზრსა და მნიშვნელობას კარგავს, რჩება მხოლოდ ეს ერთი წამი და გასაოცარი რწმენა იმისა, რომ ამქვეყნად ყველაფერი ერთი და იმავე ხელით არის ნაწერი. ეს ხელი აღვიძებს სულში სიყვარულს და ტყუპისცალ სულს აპოვნინებს ყოველს, ვინც შრომობს, ისვენებს ან განძს დაეძებს. სხვაგვარად, იმ ოცნებებს, რომლითაც შეპყრობილია ადამიანთა მოდგმა, არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა.

«მაკთუბ», – გაიფიქრა ყმაწვილმა.

ინგლისელი ადგილიდან წამოხტა და სანტიაგოს მხარში სწვდა:

– მიდი, ჰკითხე!

სანტიაგო ქალიშვილს მიუახლოვდა. ის ღიმილით შემობრუნდა ყმაწვილისკენ და სანტიაგომაც გაუღიმა.

– რა გქვია?

– ფატიმა, – თვალები დახარა ქალიშვილმა.

– ჩემს ქვეყანაში ბევრ ქალს ჰქვია ეს სახელი.

– ასე ერქვა მოციქულის შვილს, – უთხრა ფატიმამ, – ჩვენმა მეომრებმა ეს სახელი შორეულ ქვეყნებშიც გაავრცელეს.

ამ ნაზი, მოხდენილი ქალიშვილის სიტყვებში სიამაყე ჟღერდა. ინგლისელი მოუთმენლად ჰკრავდა ხელს სანტიაგოს და ისიც იძულებული გახდა,

ქალიშვილისთვის ეკითხა, ხომ არ იცნობდა იმ ადამიანს, ვინც ყველა დაავადებას კურნავდა.

– ეს ის კაცია, ვინც სამყაროს ყველა საიდუმლოს ფლობს, – უპასუხა მან, – და უდაბნოს ჯინებს ესაუბრება.

ჯინი დემონია. ქალიშვილმა სამხრეთისაკენ მიუთითა. სადღაც იქ ცხოვრობდა ადამიანი, ვისაც ეძებდნენ. მერე დოქი აავსო და წავიდა.

ინგლისელი მაშინვე ალქიმიკოსის საძებნელად გაიქცა. სანტიაგო კი კიდევ დიდხანს იჯდა ჭასთან და იმაზე ფიქრობდა, რომ დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას, აღმოსავლეთის ქარმა მოუტანა ამ ქალის სურნელი, ეს ქალი უყვარდა მაშინაც, როცა ჯერ არც კი იცოდა მისი არსებობის შესახებ და, ალბათ, ეს სიყვარული გადაწონიდა ყველა ამქვეყნიურ განძს.

ქალიშვილის სანახავად მეორე დღეს ისევ მივიდა ჭასთან. და ძალიან გაოცდა, როცა იქ ინგლისელი დახვდა, რომელიც, პირველად ათვალიერებდა უდაბნოს.

– დაღამებამდე ველოდი, – უთხრა ინგლისელმა, – და როცა პირველი ვარსკვლავი აინთო ცაზე, ისიც გამოჩნდა. მე მას ვუამბე, რასაც ვეძებდი. მან კი მკითხა, შემეძლო თუ არა ტყვიის გადაქცევა ოქროდ. მე ვუპასუხე, რომ სწორედ ამის სასწავლებლად ჩამოვედი ოაზისში. და მან მირჩია, კიდევ მეცადა. ზუსტად ასე მითხრა: «კიდევ სცადე!»

სანტიაგოს გული დასწყდა. ნუთუ ინგლისელმა იმისთვის მოიარა ქვეყნიერება, რომ ის მოესმინა, რაც თვითონაც იცოდა? მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ამაზე მეტი არც თვითონ მიუღია მელქისედეკისგან ცხვრების სანაცვლოდ.

და ამიტომ ურჩია:

– ჰოდა, სცადე!

ინგლისელი წავიდა. სულ მალე მხარზე დოქშემოდგმული ფატიმაც გამოჩნდა.

– აქ იმიტომ მოვედი, რომ მხოლოდ ერთი რამ გითხრა, – მიმართა ყმაწვილმა, – მინდა, ცოლად გამომყვე. მე შენ მიყვარხარ.

ქალიშვილს დოქი ხელიდან გაუვარდა და წყალი დაიღვარა.

– მე შენ ყოველთვის აქ დაგელოდები. ეს უდაბნო განძის მოსაძებნად გადმოვლახე, სადღაც იქ, პირამიდებთან რომ არის დამარხული. მაგრამ ომი დაიწყო. თავიდან ომს ვწყევლიდი, ახლა კი ვლოცავ, რადგან მან შენთან მომიყვანა.

– ომი ოდესმე დამთავრდება, – უპასუხა ქალიშვილმა.

სანტიაგომ ფინიკის პალმებს გახედა. ის ხომ ოდესღაც მწყემსი იყო, ამ ოაზისში კი ბევრი ცხვარია. ფატიმა ყველა საგანძურზე ძვირფასი იყო მისთვის. მაგრამ ქალიშვილმა, თითქოს მის აზრებს კითხულობსო, უთხრა:

– მეომრები განძს დაეძებენ. უდაბნოს ქალები კი ამით ამაყობენ.

შემდეგ ისევ აავსო დოქი და წავიდა.

სანტიაგო ყოველდღე მიდიოდა ჭასთან. მან უკვე უამბო ფატიმას, როგორ მწყემსავდა ცხვრებს, როგორ შეხვდა მელქისედეკს, როგორ ვაჭრობდა ბროლით. თანდათანობით დამეგობრდნენ კიდეც. დრო უსასრულოდ იწელებოდა იმ თხუთმეტი წუთის მოლოდინში, ფატიმასთან რომ უნდა გაეტარებინა.

ერთი თვე გავიდა, წინამძღოლმა ისევ მოუყარა თავი მოგზაურებს და გამოუცხადა:

– არავინ იცის, როდის დამთავრდება ომი, ამიტომ გზის გაგრძელებას ვეღარ შევძლებთ. ყოველ ტომში არიან უშიშარი და ძლიერი მეომრები, ყველა მათგანი საკუთარი სახელისათვის იბრძვის და ომს არ შეწყვეტს. აქ კარგები და ცუდები კი არ ებრძვიან ერთმანეთს, ეს პირველობისთვის ბრძოლაა, ასეთი ომები კი, თუ დაიწყება, დიდხანს აღარ მთავრდება ხოლმე. ალაჰი ორივე მხარეს მფარველობს.

ხალხი დაიშალა. სანტიაგო იმ დღესაც შეხვდა ფატიმას და წინამძღოლის ნათქვამი გადასცა.

– ჩვენი შეხვედრის მეორე დღესვე შენ სიყვარულში გამომიტყდი, მერე კი ერთიან ენასა და სამყაროს სულზე მელაპარაკე. ვერც კი შევნიშნე, ისე ვიქეცი შენს ნაწილად, – უთხრა ქალიშვილმა.

სანტიაგო მის ხმას უსმენდა და ფინიკის კენწეროებში გახმიანებული ქარის შრიალზე უფრო წარმტაცად ეჩვენებოდა.

– რა ხანია, უკვე ამ ჭასთან მელოდები. მე დამავიწყდა ჩემი წარსული, ჩვენი ადათ–წესები, დამავიწყდა, როგორ უნდა იქცეოდეს ჩვენი ტომის ქალი. ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვოცნებობდი, უდაბნოს ისეთი საჩუქარი მოეტანა, ცხოვრებაში რომ არ მენახა. და აი, მომიძღვნა კიდეც საჩუქარი – ეს შენა ხარ!

სანტიაგოს დიდი სურვილი გაუჩნდა, ხელი ჩაეკიდა ქალიშვილისთვის, მაგრამ ფატიმა მთელი ძალით ებღაუჭებოდა დოქის სახელურს.

– შენ მიყვებოდი შენს სიზმრებზე, ბებერ ხელმწიფე მელქისედეკზე, განძსა და ნიშნებზე. ახლა მე უკვე აღარაფრის მეშინია, რადგან სწორედ ამ ყველაფერმა მაჩუქა შენი თავი. მე კი შენი ოცნების და შენი ბედისწერის ნაწილი გავხდი. ამიტომაც მინდა, რომ არ გაჩერდე და იმის ძებნა განაგრძო, რასაც ეძებდი. თუ მოცდა მოგიწევს და ომის დამთავრებას უნდა დაელოდო, არც ეგ არის საშიში. მაგრამ თუ უფრო ადრე დააპირებ წასვლას, წადი და შენს ბედს ეწიე. ქარი ქვიშის ბარხანებს უცვლის ფორმას, უდაბნო კი უცვლელი რჩება. უცვლელი დარჩება ჩვენი სიყვარულიც. მაკთუბ. და თუკი მე ვარ შენი ბედისწერის ნაწილი, ოდესმე მაინც დაბრუნდები ჩემთან.

ამ საუბარმა დაამწუხრა სანტიაგო. შინისკენ მიმავალ ყმაწვილს ახსენდებოდა, როგორ უჭირდათ მის ნაცნობ მწყემსებს, ცოლებისათვის აეხსნათ, რომ შორეული იალაღების გარეშე ვერ შეძლებდნენ არსებობას. სიყვარული ხომ ერთთავად ითხოვს, იმის გვერდით იყო, ვინც გიყვარს.

მეორე დღეს ფატიმასაც გაანდო თავისი გულის წუხილი.

– უდაბნოს მიჰყავს ჩვენი კაცები და უკან ვერ გვიბრუნებს, – უპასუხა ქალიშვილმა, – ჩვენ ამას მიჩვეულები ვართ. და თუმცა წასულები აღარ გვიბრუნდებიან, ისინი მუდამ ჩვენს გულებში ცოცხლობენ: ისინი არიან ეს ღრუბლები, რომლებიც არასოდეს შობენ წვიმას; ქვებში გაყურსული ნადირი და მიწიდან მადლად ბოძებული წყალი. ისინი ყველაფრის ნაწილი ხდებიან... რადგან სამყაროს სულს უერთდებიან... ზოგიერთები კი დაბრუნებას ახერხებენ. და მაშინ ყველა ქალი ზეიმობს ოაზისში, რადგან სჯერათ, რომ ქმრები, რომელთაც ისინი ელიან, ოდესმე დაუბრუნდებიან სახლებს. ადრე შურით შევცქეროდი ამ ქალებს. ახლა კი მეც მყავს ის, ვისაც უნდა ველოდო. მე უდაბნოს ქალი ვარ და ვამაყობ ამით. მე მინდა, რომ ჩემი ქმარიც იმ ქარივით თავისუფალი იყოს, ქვიშას რომ აბორიალებს. მინდა, რომ ისიც განუყოფლად ერწყმოდეს ღრუბლებს, ნადირსა და წყალს...

სანტიაგო ინგლისელის საძებნელად წავიდა. სურდა, ფატიმას შესახებ მოეთხრო, და ძალიან გაოცდა, როცა დაინახა, რომ ინგლისელს კარვის სიახლოვეს ცეცხლი გაეჩაღებინა და ზედ მინის ჭურჭელი შემოედგა. დროდადრო ღუმელში ფიჩხს უმატებდა, ცეცხლს აღვივებდა და უდაბნოს გასცქეროდა. თვალები სიხარულით უციმციმებდა.

– ახლა ვიწყებ მუშაობას, – აუხსნა სანტიაგოს, – ჯერ უსუფთაო გოგირდი უნდა გამოვყო. მთავარია, ხელის მოცარვის არ შემეშინდეს. დღემდე ამ შიშის გამო ვერ ვიწყებდი დიად შემოქმედებას. ის, რასაც ახლა ვაკეთებ, ათი წლის წინ უნდა გამეკეთებინა. კიდევ კარგი, ეს მოლოდინი მხოლოდ ათ წელს გაგრძელდა და არა ოც წელს.

მან ღუმელში ფიჩხი შეყარა და უდაბნოს მიაჩერდა. სანტიაგოც მის გვერდით იჯდა, ვიდრე ჩამავალი მზის სხივებმა ალისფრად არ შეღება ქვიშა. და მოულოდნელად დაუძლეველმა სურვილმა მოიცვა, უდაბნოში გასულიყო. იქნებ, მის მდუმარებაში მაინც ეპოვა პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში დაუგროვდა.

დიდხანს მიაბიჯებდა ალალბედზე, მხოლოდ დროდადრო იხედებოდა უკან და პალმების კენწეროებით ამოწმებდა, რომ ოაზისი თვალთაგან არ დაჰკარგოდა. ქარი ზუზუნებდა, ქვებს ფეხქვეშ ხრაშუნი გაუდიოდა. ხანდახან ნიჟარებიც ხვდებოდა – დიდი, დიდი ხნის წინ ამ უდაბნოს ადგილას ხომ ზღვა ლივლივებდა. მერე ქვაზე ჩამოჯდა და მოჯადოებულივით მიაჩერდა ჰორიზონტს. მას სიყვარული ფლობის გარეშე ვერ წარმოედგინა, მაგრამ ფატიმა უდაბნოს შვილი იყო და უდაბნოსვე შეეძლო, სანტიაგოსთვის ესწავლებინა მისი სიყვარულის ენა.

ასე იჯდა და არაფერზე არ ფიქრობდა, სანამ თავს ზევით ფრინველის ფრთების ტყლაშუნი არ შეიგრძნო. მან ცისკენ აიხედა და შორს ორ ქორს მოჰკრა თვალი.

სანტიაგო დიდხანს უცქეროდა ქორებს და ცაში მათ მიერ მოხაზულ ჩუქურთმებს აკვირდებოდა. ქორები, თითქოს უმიზნოდ და უაზროდ ლივლივებდნენ ცაში, მაგრამ ყმაწვილი მათ ფრენაში რაღაც მნიშვნელოვანს ხედავდა, ოღონდ ვერ იტყოდა, რას. ამიტომ თვალს არ აშორებდა, მათ ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა, – იქნებ ამით მაინც გაცხადებულიყო სათქმელი, იქნებ ასე მაინც აეხსნა უდაბნოს, რას ნიშნავდა სიყვარული ფლობის გარეშე.

ანაზდად რული მოერია, მაგრამ გულისხმა არ აძინებდა. თითქოს ეჩურჩულებოდა: «შენ უკვე ძალგიძს, ჩასწვდე სამყაროსეულ ერთიან ენას, ამ მხარეში კი ყველაფერი, ცაში ქორების რიალიც კი, აზრით არის დატვირთული».

სანტიაგომ ფიქრში მადლობა შესწირა უფალს, რომ სიყვარულით აღუვსო გული.

«როცა გიყვარს, ყველაფერი უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს», – გაიფიქრა მან.

სწორედ ამ წუთს ერთმა ქორმა ფრთები შეიკეცა და მეორისაკენ შურდულივით დაეშვა, და იმავ წამს ყმაწვილმა ცხადლივ დაინახა: ხმალშემართული მეომრები ოაზისში შემოდიოდნენ. ხილვამ გაიელვა და მაშინვე გაქრა, მხოლოდ შფოთი და მღელვარება დაუტოვა გულში. ბევრი რამ სმენოდა მირაჟის შესახებ და თვითონაც რამდენჯერმე ენახა, როგორ ისხამდა ხორცს ადამიანური სურვილები უდაბნოს ქვიშაში. მაგრამ მას ხომ სულაც არ სურდა, რომ ოაზისში მეომრები შემოჭრილიყვნენ.

სანტიაგომ სცადა, თავიდან ამოეგდო ეს ფიქრები და ისევ შევარდისფერებული ქვიშისა და ქვების ცქერით დამტკბარიყო, მაგრამ რაღაც უშლიდა გულისყურის მოკრებას და შფოთი უფორიაქებდა სულს.

«ნიშნებს დაუჯერე», – არიგებდა მელქისედეკი.

ყმაწვილს ფატიმა გაახსენდა. გაახსენდა ის, რაც იხილა, და იგრძნო, რომ რაღაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო.

ძლივს დააღწია თავი გახევებას. წამოდგა და უკან, ფინიკის პალმებისაკენ წავიდა. სამყარომ კიდევ ერთხელ დაანახა, რომ მრავალ ენაზე ლაპარაკობდა: ახლა უკვე უდაბნოდან კი არა, ოაზისიდან ემუქრებოდათ საფრთხე.

აქლემების გამრეკი ქვიშაში იჯდა, პალმას მიყრდნობოდა და ისიც დასავლეთს გასცქეროდა.

– ჯარი აქეთ მოდის, – უთხრა ყმაწვილმა, – ახლახან ხილვა მქონდა.

– უდაბნო მამაკაცთა გულებს ხილვებით ავსებს, – უპასუხა აქლემების გამრეკმა.

ყმაწვილმა უამბო, როგორ უცქეროდა ქორების ფრენას და ანაზდად როგორ ჩაიძირა სამყაროს სულში.

გამრეკს არ გაჰკვირვებია, ის მიუხვდა სათქმელს. მანაც იცოდა, რომ ამ მიწისპირზე ნებისმიერ საგანს შეეძლო, მთელი დედამიწის ამბავი მოეთხრო. წიგნი გადაშალე ალალბედზე, ადამიანის ხელებს დააკვირდი, თვალდახუჭულმა ამოიღე დასტიდან ბანქოს ქაღალდი, ქორების ფრენას მიადევნე თვალი და აუცილებლად იპოვი კავშირს იმასთან, რითაც იმ წუთს ცხოვრობ. ამის მიზეზი იმდენად საგნები კი არ არის, არამედ – ადამიანი, რომელიც ამ მოვლენების დანახვისთანავე აღმოაჩენს ხოლმე სამყაროს სულში შეღწევის გზებს.

უდაბნოში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც პურის ფულს იმით შოულობენ, რომ სამყაროს სულში შეღწევის უნარი შესწევთ. მათი ეშინიათ ქალებსა და მოხუცებს და მაინც ნათელმხილველებს უწოდებენ; მეომრები კი ახლოსაც არ ეკარებიან, რადგან

ძნელია საბრძოლველად წასვლა, თუ წინასწარ იცი, რომ მოგკლავენ. მეომრებს გაურკვევლობა და ის შეგრძნებები ურჩევნიათ, რასაც ბრძოლა ანიჭებს ადამიანს. მომავალი უფლის ხელით არის დაწერილი და რაც უნდა იყოს ამოტვიფრული ზურმუხტის წახნაგზე, მის მიერ არის შექმნილი და, მაშასადამე, ადამიანთა საკეთილდღეოდაა მიმართული.

მეომრები მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობენ, აწმყო მათთვის მოულოდნელობებითაა სავსე, და ამიტომაც ათასი წვრილმანი უნდა გაითვალისწინონ, ყურადღება მიაქციონ, რომელი მხრიდან უქნევს მტერი ხმალს, როგორ მოაჭენებს ცხენს, როგორ უნდა მოიგერიოს დარტყმა, რომ ცოცხალი გადარჩეს.

მაგრამ გამრეკი არ იყო მეომარი და ამიტომაც უკვე რამდენჯერმე მოინახულა ნათელმხილველები. ერთნი შეუცდომლად უწინასწარმეტყველებდნენ მომავალს, მეორენი ვერაფერს ეუბნებოდნენ. და ერთხელაც, მათგან ყველაზე ასაკოვანმა (სწორედ მისი ეშინოდათ ყველაზე მეტად) ჰკითხა, რად უნდოდა მომავლის ცოდნა.

– მინდა, ვიცოდე, როგორ მოვიქცე, რომ შევცვალო ის, რაც უნდა მოხდეს, – უპასუხა გამრეკმა. – მაშინ ის შენი მომავალი აღარ იქნება, – უთხრა წინასწარმეტყველმა.

– თუ ასეა, იქნებ, შემზადება მაინც შევძლო.

– თუ კარგი გელის, სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება, თუ ცუდი – იმაზე ადრე შეიგრძნობ, ვიდრე მოხდება.

– მე ადამიანი ვარ და მინდა, ვიცოდე, რა მელის, – უთხრა გამრეკმა პასუხად, – ადამიანები, როგორც წესი, თავიანთ მომავალზე არიან დამოკიდებული.

წინასწარმეტყველი საკმაოდ დიდხანს დუმდა. მომავალს ის პატარა ჩხირებით ჭვრეტდა: მიწაზე ყრიდა და აკვირდებოდა, როგორ განლაგდებოდნენ. იმ დღეს გადაწყვიტა, არ ემკითხავა. ჩხირები ცხვირსახოცში გაახვია და ჯიბეში ჩაიწყო.

– მე პურს იმით ვჭამ, რომ ადამიანებს მომავალს ვუწინასწარმეტყველებ, – უთხრა ბოლოს, – ვიცი, როგორ უნდა ავყარო ჩხირები, რათა იმ სივრცეში შევიჭრა, სადაც ყოველი ადამიანის ბედია დაწერილი. იქ ვკითხულობ წარსულს, ვიხსენებ იმას, რაც უკვე დავიწყებას მისცემია, და აწმყოს ნიშნებს ვარკვევ.

მომავლის შესახებ კი იქ ვერაფერს ამოვიკითხავ, შემიძლია მხოლოდ გამოვიცნო, რადგან მომავალი უფალს ეკუთვნის და ძალზე იშვიათად ასწევს ხოლმე იმ საბურველს, მომავლს რომ ფარავს. ამას როგორ ვახერხებ? აწმყოს ნიშნებით. სწორედ აწმყოშია დაფარული ყველა საიდუმლო. თუ ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრობი აწმყოს, მის გაუმჯობესებასაც შეძლებ. აწმყოს გაუმჯობესებით კი მომავლისთვის ჩააგდებ კეთილ თესლს. მომავალზე ნუ იზრუნებ, აწმყოთი იცოცხლე და ეცადე, ყოველმა შენმა დღემ ისე ჩაიაროს, როგორც კანონი გიკარნახებს. გწამდეს, რომ უფალი ზრუნავს თავის შვილებზე. და ისიც გწამდეს, რომ ყოველი დღე თავის თავში ატარებს მარადისობის ნაწილაკს.

მაშინ გამრეკმა იმის გაგება სცადა, როდის ხსნიდა უფალი მომავალს საბურველს.

– მხოლოდ მაშინ, თუ თავად ისურვებს ამას. ამას კი იშვიათად აკეთებს. ამისათვის მხოლოდ ერთადერთი მიზეზი არსებობს: თუ დაწერილი უნდა შეიცვალოს.

«უფალმა ამ ყმაწვილს მომავალი დაანახა, – ფიქრობდა ახლა გამრეკი, – ის აირჩია თავის საყვირად».

– ბელადებთან მიდი, – ურჩია სანტიაგოს, – მათ აცნობე, რომ ჯარი გვიახლოვდება.

– დამცინებენ.

– არა, ისინი უდაბნოს მკვიდრნი არიან, იციან, რომ ნიშნებსა და მინიშნებებს ყურადღება უნდა მიაქციონ.

– მაშინ თვითონვე ეცოდინებათ ყველაფერი.

– მათ სჯერათ, რომ თუკი ალაჰს მათთვის რაიმეს თქმა სწადია, ვიღაცის პირით შეატყობინებს. ასეთი რამ ადრეც ბევრჯერ მომხდარა. ახლა კი ის «ვიღაცა» შენ ხარ.

სანტიაგოს ისევ ფატიმა გაახსენდა და ოაზისის ტომთა ბელადებთან მისვლა გადაწყვიტა.

– ბელადებისთვის რაღაც მაქვს სათქმელი, – უთხრა უზარმაზარი თეთრი კარვის წინ მდგარ დარაჯს.

მეომარი უხმოდ შევიდა კარავში და დიდხანს აღარ გამოჩენილა. შემდეგ თეთრტანსაცმლიანი და მწვანებურნუსიანი ახალგაზრდა არაბი გამოიყვანა. სანტიაგომ ამ ყმაწვილს მოუთხრო ხილვის შესახებ. მანაც მოცდა სთხოვა და ისევ კარავში შებრუნდა.

ღამდებოდა. კარავში არაბები და უცხო ვაჭრები შედიოდნენ და გამოდიოდნენ. მალე კოცონებიც ჩაქრა და ოაზისშიც თანდათან უდაბნოს მდუმარებამ დაისადგურა. მხოლოდ ამ დიდ კარავში ენთო შუქი. მთელი ამ ხნის განმავლობაში სანტიაგო ფატიმაზე ფიქრობდა. ვერაფრით ვერ გაერკვია დღევანდელი საუბრის აზრი.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, კარავში შეიყვანეს.

იმან, რაც კარავში ნახა, გააოგნა სანტიაგო. ვერც კი წარმოიდგენდა, თუ უდაბნოს შუაგულში ასეთი ბრწყინვალების ნახვა შეიძლებოდა. დიდებულ ნოხებში ფეხი ეფლობოდა, მაღლიდან დაშვებულ ბაჯაღლო ოქროს ჭაღებში სანთლები ენთო. ტომის ბელადები ლამაზად მოქარგულ აბრეშუმის ბალიშებზე ისხდნენ. კარვის სიღრმეში მსახურებს ვერცხლის ლანგრებით დაჰქონდათ ჩაი და ტკბილეულობა. სხვები მინავლულ ნარგილეებს აღვივებდნენ და ჰაერში თამბაქოს ნაზი სურნელი ტრიალებდა.

სანტიაგოს წინ რვა ადამიანი იჯდა რკალად, მაგრამ ის მაშინვე მიხვდა, რომ მათ შორის უმთავრესი შუაში მჯდარი ოქრომკედით მოსირმულსამოსიანი არაბი უნდა ყოფილიყო. მის გვერდით ის ყმაწვილი იჯდა, ამ ცოტა ხნის წინ კარვიდან რომ გამოვიდა.

– ვინ არის ის უცხოელი, ნიშნებზე რომ ლაპარაკობს? – ჰკითხა ერთ–ერთმა ბელადმა.

– მე ვარ, – უპასუხა სანტიაგომ და ყველაფერი უამბო.

– რატომ ისურვა უდაბნომ, უცხოელისთვის ეთქვა სათქმელი, მან ხომ იცის, რომ ოდითგან ჩვენი მამა–პაპანი ცხოვრობდნენ ამ ოაზისში? – იკითხა მეორე ბელადმა.

– იმიტომ, რომ ჩემი თვალები ჯერ უდაბნოს არ შესჩვევია და იმას ხედავენ, რასაც აქაურები ვეღარ ამჩნევენ, – თქვა სანტიაგომ, გულში კი გაიფიქრა:

«და იმიტომ, რომ მე გადამეხსნა სამყაროს სული».

ხმამაღლა ეს არ უთქვამს – არაბებს ასეთი რაღაცეებისა არ სჯეროდათ.

– ოაზისი არავის ეკუთვნის. ამიტომ აქ შემოჭრას ვერავინ გაბედავს, – წამოიძახა მესამე ბელადმა.

– მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც ჩემი თვალით ვიხილე. თქვენი ნებაა – თუ გინდათ, ნუ დამიჯერებთ.

კარავში დაძაბული დუმილი ჩამოწვა, შემდეგ უცებ კამათი ატყდა. ბელადები სანტიაგოსთვის გაუგებარ დიალექტზე ლაპარაკობდნენ და ბიჭმა კარისკენ დააპირა წასვლა, მაგრამ მცველმა შეაჩერა. ყმაწვილი შეშინდა. ნიშნები საფრთხეს უწინასწარმეტყველებდნენ და ახლა ინანა კიდეც, გამრეკს გული რომ გადაუხსნა.

მაგრამ ანაზდად ბელადების შუაში მჯდარმა ბერიკაცმა გაიღიმა და სანტიაგოც მაშინვე დამშვიდდა. აქამდე იმ ბერიკაცს სიტყვაც არ ეთქვა და არც კამათში იღებდა მონაწილეობას. სამყაროს ენას ჩაწვდომილმა ყმაწვილმა უცებ შეიგრძნო, როგორ აზანზარებდა ომის მოახლოება ამ კარავს, და მიხვდა, რომ სწორად მოიქცა, აქ რომ მოვიდა.

ანაზდად ყველანი დადუმდნენ და ბერიკაცს მიუგდეს ყური. მან სანტიაგოს მიაპყრო მზერა. ამჯერად გაუცხოება ეწერა სახეზე.

– ერთხელ, ორი ათასი წლის წინ, აქედან ძალიან შორს, ჭაში ჩააგდეს, მერე კი მონად გაყიდეს კაცი, რომელსაც სიზმრების სჯეროდა, – დაიწყო ბერიკაცმა, – ჩვენმა ვაჭრებმა ის კაცი ეგვიპტეში ჩამოიყვანეს. ყველამ ვიცით, რომ იმან, ვისაც სიზმრების სჯერა, მათი ახსნაც იცის.

«თუმცა ხშირად ვერ ახერხებს სიზმრად ნანახის განხორციელებას», – გაიფიქრა სანტიაგომ და ბოშა ქალი გაახსენდა.

– იმ კაცმა შვიდ მსუქან და შვიდ გამხდარ ძროხაზე ნანახი სიზმარი აუხსნა ფარაონს და ეგვიპტე შიმშილისაგან იხსნა. იმ კაცს იოსები ერქვა. ისიც, შენსავით, უცხოელი იყო და თითქმის შენი ასაკისა.

ბერიკაცი დადუმდა. თვალები ისევ ცივი ჰქონდა.

– ჩვენ მუდამ ვიცავთ ადათებს. ადათმა იხსნა ეგვიპტე შიმშილისაგან და მსოფლიოში უმდიდრეს ქვეყნად აქცია. ადათი გვასწავლის, როგორ უნდა გადავიაროთ უდაბნო და

გავათხოვოთ ჩვენი ქალიშვილები. ადათი ამბობს, რომ ოაზისი არავისი მიწა არ არის, ის ორივე მხარეს სჭირდება, რადგან ოაზისის გარეშე ორივე მეომარი მხარე დაიღუპება.

სიტყვას არავინ ძრავდა.

– მაგრამ ადათი იმასაც გვიბრძანებს, უდაბნოს შემონათვალი ვირწმუნოთ. ყველაფერი, რაც ვიცით, უდაბნომ გვასწავლა.

მან ნიშანი მისცა და არაბები წამოდგნენ. საბჭო დამთავრდა. ნარგილეები ჩაქრა, მცველები გაიჭიმნენ. სანტიაგომაც წასვლა დააპირა, მაგრამ მოხუცი ისევ ალაპარაკდა:

– ხვალ დავარღვევთ კანონს, რომლის მიხედვითაც, არავისა აქვს უფლება, ოაზისში იარაღი ატაროს. მთელ დღეს დაველოდებით მომხვდურთ, მზის ჩასვლისას კი ჩემი მებრძოლები ისევ ჩამაბარებენ იარაღს. ყოველ ათ მოკლულ მტერზე შენ თითო ოქროს მონეტას მიიღებ. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ იარაღს თუ ერთხელ აიღებ ხელში, უბრძოლველად მისი ხელიდან გაშვება შეუძლებელია – მან მტრის სისხლი უნდა იგემოს. იარაღიც უდაბნოსავით ჭირვეულია და თუ სურვილი არ შეუსრულე, შეიძლება, გიღალატოს კიდეც. თუ ხვალ შენი ნათქვამი არ გამართლდა, იმ იარაღს შენ დაგიმიზნებთ.

როცა სანტიაგო კარვიდან გამოვიდა, ოაზისს სავსე მთვარე ანათებდა. თავის კარვამდე ოცი წუთის სავალი ჰქონდა და ყმაწვილი ნელა გაუყვა გზას.

ძალიან იყო აღელვებული. მან სამყაროს სულში შეღწევა შეძლო და იქნებ ეს საკუთარი სიცოცხლის ფასადაც დასჯდომოდა. ცხადია, ძვირი იყო საფასური, მაგრამ ეს გზა მან თავადვე აირჩია, როცა საკუთარ ბედისწერას ადევნებულმა, ცხვრები გაყიდა და სრუტე გადმოცურა. და როგორც გამრეკი ამბობდა, ადამიანი მხოლოდ ერთხელ კვდება... რა მნიშვნელობა ჰქონდა, როდის მოკვდებოდა: ხვალ, თუ ნებისმიერ სხვა დღეს? ყოველი დღე იმად ღირს, რომ იცოცხლო, ან უკანასკნელი გახდეს. ყველაფერი მხოლოდ ერთ სიტყვაზეა დამოკიდებული: მაკთუბ.

სანტიაგო მდუმარედ მიუყვებოდა გზას. არც არაფერს ნანობდა და არც არაფერზე სწყდებოდა გული. თუ ხვალ სიკვდილი ეწერა, მაშასადამე, ღმერთს არ სურდა მისი მომავლის შეცვლა. ის შეიძლება ხვალ მომკვდარიყო, მაგრამ სიკვდილამდე მან უკვე მოასწრო სრუტის გადმოცურვა, ფარდულში მუშაობა, უდაბნოს გამოვლა და მისი მდუმარებისა და ფატიმას თვალების შეცნობა. შინიდან წამოსვლის შემდეგ არც ერთი დღე ამაოდ არ დაკარგულა. და თუ ხვალ სამუდამოდ დაეხუჭებოდა თვალები, ის მაინც ეცოდინებოდა, რომ მისმა თვალებმა უფრო მეტი ნახეს, ვიდრე რომელიმე სხვა მწყემსისამ და სანტიაგო ამით ამაყობდა.

ანაზდად ხმაურმა გააყრუა და უხილავი ქარიშხლის ძალამ მიწაზე დასცა. მტვრის ბუქმა გადაფარა მთვარე. ყმაწვილის წინ უზარმაზარი თეთრი ცხენი ყალყზე იდგა და ჭიხვინებდა.

როცა აბუქებული მტვერი ოდნავ გაიფანტა, სანტიაგო ჯერ აქამდე განუცდელმა შიშმა აიტანა. თეთრ ცხენზე ჩალმიანი მხედარი იჯდა – შავით იყო მოსილი და მარცხენა მხარზე შევარდენი ეჯდა. სახე ისე ჰქონდა დაფარული, რომ მხოლოდ თვალები

მოუჩანდა. უზარმაზარი აღნაგობის მიუხედავად, იმ ბედუინებს ჩამოჰგავდა, ქარავანს რომ ხვდებოდნენ და მგზავრებს უდაბნოს ამბებს უყვებოდნენ.

მხედარმა უნაგირზე მიმაგრებული ხმალი იშიშვლა და გაღუნული ხმლის პირზე მთვარის სხივი გაკრთა. მგრგვინავმა, მრისხანე ხმამ – გეგონებოდა, ელ–ფაიუმის ოაზისის ორმოცდაათივე ათასმა პალმამ ერთად დაიგუგუნაო, – იკითხა:

– ვინ გაბედა ქორთა ფრენაში ფარული აზრის ამოკითხვა?

– მე, – უპასუხა სანტიაგომ.

იმწუთას მოეჩვენა, რომ მხედარი საოცრად ჰგავდა მავრების მძლეველ, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა იაკობის გამოსახულებას, ურწმუნოებს ცხენის ფლოქვებით რომ თელავდა. ზედმიწევნით ჰგავდა, მაგრამ აქ ყველაფერი პირიქით იყო.

– მე, – გაიმეორა სანტიაგომ, თავი დახარა და მომაკვდინებელი დარტყმისათვის მოემზადა, – ხვალ ბევრი დაიღუპება, რადგან თქვენ ყური არ ათხოვეთ სამყაროს სულს.

მაგრამ ხმლის პირი რატომღაც ნელა ეშვებოდა, ბოლოს ყმაწვილს შუბლზე შეეხო და სისხლმაც გამოჟონა.

მხედარი არ იძვროდა. სანტიგოც ადგილზე იყო გახევებული. გაქცევა არც უცდია. სადღაც, მისი არსის სიღრმიდან, საოცარი აღტაცება ამოიფრქვა: ის თავისი ბედისწერისათვის კვდებოდა, და ფატიმასათვის. მაშასადამე, ნიშნებს არ მოუტყუებიათ. მის წინ მტერი იდგა, მაგრამ სანტიაგოს სიკვდილი არ აშინებდა, რადგან სამყაროს სული არსებობდა და წამის შემდეგ თვითონაც მის ნაწილად იქცეოდა. ხვალ კი იგივე ხვედრი ეწეოდა მტერს.

მხედარი კი არა და არ კლავდა.

– ეს რატომ გააკეთე?

– მე მხოლოდ დავინახე და მივხვდი იმას, რაც ქორებმა მითხრეს. მათ ოაზისის გადარჩენა უნდოდათ. მისი მცველები დაგხოცავენ, – ისინი ბევრად მეტნი არიან.

მხედარმა ხმალი გასწია და სანტიაგომაც თავისუფლად ამოისუნთქა.

– ცოტა უფრთხილდი წინასწარმეტყველებას, – უთხრა მხედარმა, – ბედისწერას თავს ვერავინ დააღწევს.

– მე მხოლოდ ჯარი დავინახე, – უთხრა ყმაწვილმა, – ბრძოლის დასასრული ჩემთვის უცნობია.

მეომარს მოეწონა ასეთი პასუხი, მაგრამ ხმლის ქარქაშში ჩაგებას არ ჩქარობდა.

– უცხოელი აქ რას აკეთებს?

– საკუთარ გზას ვეძებ. მაგრამ შენ ამას ვერ მიხვდები.

მხედარმა ხმალი ქარქაშში ჩააგო. მის მხარზე მჯდარმა შევარდენმა გამყივანი ხმით იკივლა. სანტიაგოს თანდათან მოეხსნა დაძაბულობა.

– შენი ვაჟკაცობის გამოცდა მინდოდა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია იმათთვის, ვინც სამყაროს ენას ეძებს.

ყმაწვილი გაოცდა. მხედარი იმაზე ელაპარაკებოდა, რაც თითქმის არავინ იცოდა.

– ისიც არ უნდა დაგავიწყდეს, რომ წუთითაც არ შეიძლება მოდუნება, თუნდაც უკვე დიდი გზა გქონდეს გამოვლილი, – განაგრძო მხედარმა, – შეიძლება, გიყვარდეს უდაბნო, მაგრამ ბოლომდე მისი ნდობა მაინც არ შეიძლება. რადგან უდაბნო გამოცდაა ადამიანისთვის: თუ გულისყური გაგეფანტა, მოკვდები.

სანტიაგოს ბებერი მელქისედეკი გაახსენა.

– თუ მეომრების მოსვლის შემდეგ თავი მხრებზე შეგრჩება, მომძებნე, – უთხრა მხედარმა.

იმ ხელში, რომელშიც სულ ცოტა ხნის წინ ხმალი ბზინავდა, ახლა მათრახი გაჩნდა. ცხენი ადგილს მოსწყდა და ფლოქვებით ქვიშა ააბუქა.

– სად ცხოვრობ? – მიაძახა სანტიაგომ.

მხედარი არ გაჩერებულა, მათრახით სამხრეთისაკენ მიუთითა.

ასე შეხვდა ყმაწვილი ალქიმიკოსს.

მეორე დილას ელ–ფაიუმის ფინიკის პალმების ქვეშ ორი ათასი შეიარაღებული კაცი იდგა. მზე ჯერ არ ამოწვერილიყო, როცა ჰორიზონტზე ხუთასამდე შეიარაღებული მეომარი გამოჩნდა. მხედრები ოაზისში ჩრდილოეთიდან შემოვიდნენ, თეთრ სამოსში მალავდნენ იარაღს და თავი ისე ეჭირათ, თითქოს სამშვიდობოდ იყვნენ მოსულები. მხოლოდ ბელადების დიდ კარავთან მიახლოებისას იშიშვლეს მოკაუჭებული ხმლები და შემართეს თოფები. თუმცა კარავი ცარიელი დახვდათ.

ჟაზისის მეომრებმა უდაბნოს მხედრებს ალყა შემოარტყეს და ნახევარ საათში ქვიშაზე ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი გვამი ეგდო. ბავშვები პალმების ტევრში ჰყავდათ გაყვანილი და მათ არაფერი დაუნახავთ. ისევე, როგორც კარავში დარჩენილ ქალებს, თავიანთი ქმრების გადარჩენისათვის რომ ლოცულობდნენ. მოედანზე დახორავებული დახოცილთა გვამები რომ არა, ოაზისი ისევ ისე გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის.

ცოცხლად მხოლოდ ის კაცი დატოვეს, ვინც ელ–ფაიუმის ოაზისზე თავდამსხმელ ცხენოსნებს ხელმძღვანელობდა. ის ტომების ბელადებთან მიიყვანეს და ჰკითხეს, როგორ გაბედა ადათის დარღვევა. მან აღიარა, რომ მრავალდღიანი ბრძოლებით, შიმშილითა და წყურვილით განაწამებმა მისმა მეომრებმა ოაზისის დაპყრობა გადაწყვიტეს, მერე კი ისევ ბრძოლის გაგრძელებას აპირებდნენ.

ბელადმა მხედართმთავარს თანაგრძნობა გამოუცხადა დაღუპული მეომრების გამო, მაგრამ ისიც უთხრა, რომ ადათის დარღვევის უფლება არავის ჰქონდა. უდაბნოში ქარი

ქვიშის ბარხანების მოხაზულობას ცვლიდა მხოლოდ, სხვა დანარჩენი კი უცვლელი რჩებოდა.

მხედართმთავარს სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯეს: არც ტყვია აღირსეს და არც ხმალი, ფინიკის გამხმარ პალმაზე ჩამოახრჩვეს და უდაბნოს ქარი დიდხანს აქანავებდა მის გვამს.

ბელადმა უცხოტომელი კარავში მიიწვია, ორმოცდაათი ოქროს მონეტა მიართვა, ისევ გაახსენა იოსების ამბავი და სთხოვა, მისი მთავარი მრჩეველი გამხდარიყო.

მზე რომ ჩავიდა და ვარსკვლავები მქრქალად აციმციმდა, როგორც სავსემთვარეობისას იცის ხოლმე, სანტიაგომ სამხრეთისაკენ აიღო გეზი. იქ მხოლოდ ერთი კარავი იდგა და შემხვედრნი აფრთხილებდნენ, რომ ამ ადგილს ხშირად სტუმრობდნენ ჯინები. ის კარვის კალთასთან ჩამოჯდა და დაელოდა.

მთვარე უკვე ზენიტზე იდგა, ალქიმიკოსი რომ გამოჩნდა. მას მხარზე ორი მკვდარი ქორი ეკიდა.

– მოვედი, – უთხრა სანტიაგომ.

– სულ ტყუილად. განა შენს ბედისწერას ჩემკენ მოჰყავდი?

– ომია. უდაბნოს ვერ გადავივლი.

ალქიმიკოსი ჩამოქვეითდა და სანტიაგო კარავში მიიწვია. მისი კარავი სხვა დანარჩენთაგან არაფრით განსხვავდებოდა, თუ ბელადების ზღაპრული სიმდიდრით მორთულ კარავს არ ჩავთვლიდით. სანტიაგომ ტიგელები, ქურა და ალქიმიკოსებისათვის საჭირო მინის რეტორტები მოიძია თვალით, მაგრამ რამდენიმე დაფურცლული წიგნის გარდა, ვერაფერი დაინახა. იატაკზე იდუმალი ნიშნებით მოხატული ნოხები ეგო.

– დაჯექი, ჩაის მოგიმზადებ, – უთხრა ალქიმიკოსმა, – ვახშმად კი ეს ქორები მივირთვათ.

ყმაწვილმა გაიფიქრა, ალბათ, ეს ის ჩიტები იყვნენ, გუშინ რომ ცაში დაფრინავდნენო, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. ალქიმიკოსმა ცეცხლი დაანთო და კარავში მალე შემწვარი ხორცის სურნელი დატრიალდა. სანტიაგოს ეს სურნელი ბევრად უფრო ეამა, ვიდრე ნარგილეს სუნი.

– ჩემი ნახვა რად გინდოდა?

– ნიშნების ბრალია. ქარმა მიამბო, რომ მოხვიდოდი და ჩემი დახმარება დაგჭირდებოდა.

– არა, მე არა, ეგ მეორე მოგზაურია, ინგლისელი. ის გეძებდა.

– ვიდრე ის ინგლისელი მიპოვის, ჯერ სხვა უამრავი შეხვედრა ელის წინ. თუმცა უკვე სწორ გზას ადგას. მარტო წიგნებში აღარ იყურება.

– მე?

– თუ რაღაცას გულით ისურვებ, მთელი სამყარო დაგეხმარება ოცნების ასრულებაში, – მოხუცი მელქისედეკის სიტყვები გაუმეორა ალქიმიკოსმა და ყმაწვილი მიხვდა, რომ კიდევ ერთ ადამიანს შეხვდა, რომელიც საკუთარი ბედისწერის განხორციელებაში დაეხმარებოდა.

– შენ მასწავლი? – ჰკითხა ალქიმიკოსს.

– არა, შენ უკვე ყველაფერი იცი, რაც საჭიროა, მე მხოლოდ იმ მიმართულებას მიგანიშნებ, საითაც განძია.

– უდაბნოში ომია, – გაიმეორა სანტიაგომ.

– მე ვიცნობ უდაბნოს.

– მე კი მგონია, რომ უკვე მივაგენი ჩემს განძს. მყავს აქლემი, მაქვს ფული, რომელიც ბროლის ვაჭრობით დავაგროვე, და კიდევ – ორმოცდაათი ოქროს მონეტა. სამშობლოში მდიდარი დავბრუნდები.

– და მაინც, ეგ ყველაფერი ერთი ნაბიჯითაც არ გაახლოვებს პირამიდებთან, – შეახსენა ალქიმიკოსმა.

– მე ფატიმა მყავს. ეს განძი კი ყველა დანარჩენზე ძვირფასია ჩემთვის.

– პირამიდები მისგანაც შორსაა.

ალქიმიკოსს აღარაფერი უთქვამს, სტუმარს საჭმელი შესთავაზა. მერე ბოთლი გახსნა და ჭიქა რაღაც წითელი სითხით აუვსო. ღვინო აღმოჩნდა, რომლის მსგავსიც ყმაწვილს თავის სიცოცხლეში არ დაელია. თუმცა, აქაურთა ადათი ღვინის დალევას კრძალავდა.

– ბოროტება ის კი არ არის, რაც ადამიანის ბაგეებს გადასცდება, არამედ ის, რაც იქიდან გამოდის, – უთხრა ალქიმიკოსმა.

ღვინომ გუნება გამოუკეთა სანტიაგოს, მაგრამ თავისი უცნაური მასპინძელი მაინც შიშს ჰგვრიდა. ისინი გვერდიგვერდ ისხდნენ კარვის კართან, ცას გასცქეროდნენ და ხედავდნენ, როგორ აფერმკრთალებდა ვარსკვლავებს ბადრი მთვარე. – კიდევ დალიე, გულზე მოგეშვება, – უთხრა ალქიმიკოსმა, რომელმაც შეამჩნია, როგორ იმოქმედა ყმაწვილზე ღვინომ, – ბრძოლის წინ ყველა მებრძოლს ძალის მოკრება შეეფერება. ნუ დაივიწყებ, რომ შენი გული იქ არის, სადაც განძია. განძი კი აუცილებლად უნდა იპოვო, რადგან ის ყველაფერი, რაც ამ განძის ძიებისას შეიგრძენი და შეიცანი, მხოლოდ მაშინ შეიძენს აზრს.

ხვალ შენი აქლემი გაყიდე და ცხენი იყიდე. აქლემებს ცუდი ზნე აქვთ: დაუღალავად მიდიან და მიდიან. მერე მოულოდნელად, ჩაიმუხლებენ და იხოცებიან. ცხენს კი თანდათან ელევა ღონე. ამიტომ ყოველთვის ზუსტად შეგიძლია, განსაზღვრო, კიდევ რამდენ ხანს შეძლებს ჭენებას და როდის დაეცემა.

fb.com/groups/ellib

მოსაღამოვდა, სანტიაგო ისევ ალქიმიკოსის კარავს მიუახლოვდა, თან აღვირით ცხენი მიჰყავდა. მალე ალქიმიკოსიც გამოვიდა კარვიდან, ამხედრდა და შევარდენი მარცხენა მხარზე დააფრინდა.

– სცადე, სიცოცხლე მაპოვნინო უდაბნოში, განძის პოვნას მხოლოდ ის შეძლებს, ვისაც აქ სიცოცხლის აღმოჩენა შეუძლია, – უთხრა ალქიმიკოსმა.

ისინი მთვარით განათებულ უდაბნოში გავიდნენ. «ალბათ, ვერ შევძლებ, – ფიქრობდა სანტიაგო, – უდაბნოს თითქმის არ ვიცნობ და ვერც სიცოცხლეს მივაგნებ».

თავისი ნაფიქრის გაზიარება უნდოდა ალქიმიკოსისთვის, მაგრამ მოერიდა. იმ ქვებს მიუახლოვდნენ, საიდანაც ცაში მორიალე ქორებს უცქეროდა ყმაწვილი.

– მეეჭვება, რამე გამომივიდეს, – უთხრა ბოლოს სანტიაგომ, – ვიცი, რომ უდაბნოში სიცოცხლე არსებობს, მაგრამ მისი მოძებნა გამიჭირდება.

– სიცოცხლე სიცოცხლეს იზიდავს, – უპასუხა ალქიმიკოსმა.

ყმაწვილი მიუხვდა, სადავე მიუშვა და ამ ქვიშასა და ქვებში ცხენმა თვითონ დაიწყო გზის გაგნება. ალქიმიკოსი ცხენდაცხენ მიჰყვებოდა. ასე გავიდა ნახევარი საათი. უკვე უკან დარჩა ფინიკის პალმები, ოაზისი, მხოლოდ უზარმაზარი მთვარის შუქით განათებული, ვერცხლისფრად მოციალე ქვის გროვები მოჩანდა. ბოლოს სანტიაგოს ცხენი შეჩერდა... ყმაწვილი ამ ადგილს არ იცნობდა, აქ არასოდეს იყო ნამყოფი.

– აქ უნდა იყოს, – უთხრა ალქიმიკოსს, – მე უდაბნოს ენა არ ვიცი, სამაგიეროდ, ჩემს ცხენს ესმის სიცოცხლის ძახილი.

ორივე ჩამოქვეითდა. ალქიმიკოსი ხმას არ იღებდა, ქვებს აკვირდებოდა და ნელა მიიწევდა წინ. მერე შედგა, ფრთხილად დაიხარა. მიწაზე, ქვებს შორის, ღრმული ჩანდა. მან ჯერ თითით მოსინჯა, შემდეგ მთელი ხელი ჩაყო იდაყვამდე. იქ, ქვევით, რაღაც შეირხა და სანტიაგომ ალქიმიკოსის თვალებში დაძაბული ყურადღება შეამჩნია: თითქოს რაღაცას ებრძოდა. შემდეგ ძალიან სწრაფად, ისე, რომ სანტიაგო მოულოდნელობისაგან შეკრთა კიდეც, სოროდან ხელი ამოიღო და ფეხზე წამოხტა – მას კუდით გველი ეჭირა.

სანტიაგოც წამოხტა და უკან გახტა. ალქიმიკოსის ხელში გველი იკლაკნებოდა და სისინით არღვევდა უდაბნოს უშფოთველ მდუმარებას. კობრა იყო, რომლის ნაკბენიც წამის უსწრაფესად კლავს ადამიანს.

«როგორ არ ეშინია?» – გაუელვა ყმაწვილს. გველის სოროში ხელის ჩაყოფით ალქიმიკოსმა სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, მაგრამ სახეზე შეშფოთება არ დასტყობია. «ორასი წლისაა», – ინგლისელის სიტყვები გაახსენდა სანტიაგოს. ალბათ, ისიც ეცოდინებოდა, როგორ მოქცეოდა უდაბნოს გველებს.

ალქიმიკოსი თავის ცხენთან მივიდა, უნაგირზე მიმაგრებული გრძელი, გაღუნული ხმალი გააშიშვლა, მერე ქვიშაზე წრე შემოხაზა და შიგ წამიერად გაყურსული კობრა ჩააგდო.

– ნუ გეშინია, – უთხრა სანტიაგოს, – აქედან ვეღარ გამოვა. შენ კი იმის დამადასტურებელი საბუთი მიიღე, რომ უდაბნოშიც არის სიცოცხლე. სწორედ ამის დამტკიცება მჭირდებოდა.

– ამას დიდი მნიშვნელობა აქვს?

– ძალიან. პირამიდები უდაბნოთია გარშემორტყმული.

სანტიაგოს ისევ პირამიდებზე საუბრის დაწყება არ უნდოდა, გუშინდელს აქეთ გული ჰქონდა დამძიმებული: განძის საძებნელად წასვლა ხომ ფატიმას დაკარგვას ნიშნავდა.

– მე თვითონ გაგიწევ მეგზურობას, – უთხრა ალქიმიკოსმა.

– ურიგო არ იქნებოდა, ოაზისში დავბრუნებულიყავი, მე ხომ უკვე შევხვდი ფატიმას, ის კი ჩემთვის ყველა განძზე უძვირფასესია, – უპასუხა სანტიაგომ.

– ფატიმა უდაბნოს შვილია. მან კარგად იცის, რომ კაცები მიდიან და ისევ ბრუნდებიან. მანაც იპოვა თავისი განძი – ეს შენ ხარ. და ახლა იმის იმედი აქვს, რომ შენ არ გადაუხვევ გზიდან.

– დარჩენა რომ გადავწყვიტო?

– შენ შეგიძლია, ბელადის მრჩეველი გახდე. იმდენი ოქრო გექნება, რომ უამრავ ცხვარსა და აქლემს შეიძენ, მერე ფატიმას შეირთავ ცოლად და პირველ წელს ბედნიერად იცხოვრებ. თანდათან ისწავლი უდაბნოს სიყვარულს და ამ ორმოცდაათი ათასი ფინიკის პალმას სათითაოდ გაიცნობ. გაიგებ, როგორ იზრდება პალმა და თავისი ზრდით ამტკიცებს, რომ სამყარო ცვალებადია. ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო გაგიადვილდება ნიშნების ამოკითხვა, რადგან უდაბნოზე უკეთესი მასწავლებელი არ არსებობს.

მაგრამ გავა ერთი წელი და ისევ განძი გაგახსენდება. ნიშნები დაჟინებით შეგახსენებენ შენს მიზანს, შენ კი ეცდები, არად ჩააგდო მათი ნათქვამი. ეცდები, ოაზისისა და მის ბინადართა საკეთილდღეოდ გამოიყენო ცოდნა. ტომის ბელადები დაგაფასებენ, აქლემები კი სიმდიდრეს მოგიტანენ და ძალაუფლებას გაგიმტკიცებენ.

გავა მეორე წელიც. ნიშნები ისევ დაჟინებით გაგახსენებენ განძს და შენს ბედისწერას. ძილი გაგიკრთება, ღამღამობით ოაზისში იბორიალებ, ფატიმას კი ნაღველი აუვსებს გულს, რადგან მიხვდება, რომ სწორედ მის გამო თქვი უარი საკუთარ გზაზე. ფატიმა ისევ ძველებურად გეყვარება და ისიც სიყვარულით გიპასუხებს. გაგახსენდება, რომ მას დარჩენა არასოდეს უთხოვია შენთვის, რადგან უდაბნოს ქალებს შეუძლიათ ქმრების ლოდინი. და შენც ვერაფრით დაადანაშაულებ მას, თუმცა ღამეებს მაინც უდაბნოში და პალმების ქვეშ გაათენებ და მიხვდები, რომ, ალბათ, წახვიდოდი კიდეც, ფატიმასა და საკუთარ სიყვარულს უფრო მეტად რომ ნდობოდი. რადგან ოაზისში შენ მხოლოდ შიში გაჩერებს – გეშინია, რომ უკან აღარასოდეს დაბრუნდები. იმ დროისათვის კი ნიშნები უკვე გეტყვიან, რომ სამუდამოდ დაკარგე განძი.

მოვა მეოთხე წელი და ნიშნებიც გაქრება, რადგან შენ უკვე აღარ გენდომება მათი დანახვა. ამას ბელადებიც მიხვდებიან და სამსახურზე უარს გეტყვიან, თუმცა იმ

დროისათვის შენ უკვე მდიდარი ვაჭარი იქნები, უამრავი დუქან–ფარდული გექნება და აქლემების ქარავნები გეყოლება. და სიცოცხლის ბოლომდე უდაბნოსა და პალმებს შორის იბორიალებ და გეცოდინება, რომ უარი თქვი საკუთარ ბედისწერაზე, მაგრამ უკვე გვიანი იქნება სინანული.

და ვერც ვერასოდეს გაიგებ, რომ სიყვარული ხელს არ უშლის ადამიანს, თავის გზას ეწიოს. თუ შეუშალა, მაშინ ის სიყვარული არ ყოფილა ჭეშმარიტი, არ ყოფილა ის, რაც საერთო ენაზე ლაპარაკობს, – დაასრულა ალქიმიკოსმა.

მან ქვიშაზე მოხაზული წრე ხანჯლის პირით გახსნა და კობრაც იმავ წამს სრიალით გაუჩინარდა ქვიშაში. სანტიაგოს ბროლის ვაჭარი გაახსენდა, მთელი სიცოცხლე მექის მონახულებაზე რომ ოცნებობდა; გაახსენდა ინგლისელი, ალქიმიკოსს რომ დაეძებდა; გაახსენდა ქალი, რომელსაც სჯეროდა, რომ ერთხელაც უდაბნო საყვარელ ადამიანს აჩუქებდა.

კვლავ ცხენებზე ამხედრდნენ. ამჯერად წინ ალქიმიკოსი მიდიოდა. ქარს ოაზისის ბინადართა ხმები მოჰქონდა და ყმაწვილი ამ ხმებში ფატიმას ხმის ამოცნობას ცდილობდა. გუშინ ომის გამო ჭასთან ვერ შეხვდა ქალიშვილს.

დღეს კი კობრას უცქეროდა, შემოსაზღვრული რკალის გარღვევას რომ ვერ ბედავდა, და ამ შევარდნიან იდუმალ მხედარს უსმენდა სიყვარულსა და განძზე, უდაბნოს ქალებსა და ბედისწერაზე რომ ელაპარაკებოდა.

– გამოგყვები, – უთხრა სანტიაგომ და იმავ წამს იგრძნო, რომ სულში სიმშვიდე ჩაღვარა.

– ხვალ დილაუთენია გავალთ, – ესღა თქვა ალქიმიკოსმა.

მთელ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს სანტიაგოს. მზის ამოსვლამდე ორი საათით ადრე მის კარავში მძინარე ერთ–ერთი ყმაწვილი გააღვიძა და სთხოვა, ფატიმას სახლი ეჩვენებინა. მადლობის ნიშნად, ყმაწვილს ცხვრის საყიდლად ფული აჩუქა.

შემდეგ სთხოვა, გოგონა გაეღვიძებინა და ეთქვა, რომ სანტიაგო გარეთ ელოდა. ყმაწვილმა არაბმა ეს თხოვნაც შეუსრულა და კიდევ ერთი ცხვრის საფასური მიიღო.

– ახლა კი მარტო დაგვტოვე, – უთხრა სანტიაგომ. ყმაწვილი თავისი კარვისკენ გაეშურა, გახარებული იყო: ბელადთა მრჩეველს დაეხმარა და თან ცხვრის საყიდელი ფულიც გაუჩნდა.

ფატიმა კარვიდან გამოვიდა. ფინიკის ხეივანში მიაბიჯებდნენ. სანტიაგომ იცოდა, რომ ადათს არღვევდა, მაგრამ ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

– მივდივარ, – უთხრა მან, – მინდა, ისიც იცოდე, რომ აუცილებლად დავბრუნდები. მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ იმიტომ...

– ნურაფერს იტყვი, – შეაწყვეტინა ქალიშვილმა, – უყვართ იმიტომ, რომ უყვართ. სიყვარულს ახსნა არ სჭირდება.

მაგრამ სანტიაგომ განაგრძო:

– ... იმიტომ, რომ სიზმარი ვნახე, ხელმწიფე მელქისედეკს შევხვდი, ბროლს ვყიდდი, უდაბნო გადმოვიარე, მერე ომი დაიწყო, ოაზისში დავრჩი და ჭასთან შენ გკითხე, სად ცხოვრობდა ალქიმიკოსი. მე შენ იმიტომ მიყვარხარ, რომ მთელი სამყარო ხელს უწყობდა ჩვენს შეხვედრას.

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და მათი სხეულები პირველად შეეხო ერთმანეთს.

– აუცილებლად დავბრუნდები, – გაიმეორა სანტიაგომ.

– ადრე უდაბნოს წადილით გავცქეროდი, ახლა კი იმედით შევხედავ. მამაჩემიც ხშირად ტოვებდა ოაზისს, მაგრამ ყოველთვის ბრუნდებოდა დედაჩემთან.

მეტი აღარაფერი უთქვამთ. კიდევ ცოტა ხანს ისეირნეს პალმების ქვეშ, მერე კი სანტიაგომ ფატიმა კარავთან მიაცილა. – მე დავბრუნდები, როგორც მამაშენი ბრუნდებოდა ხოლმე.

მან ცრემლი შეამჩნია ფატიმას თვალზე.

– ტირი?

– მე უდაბნოს შვილი ვარ, – უპასუხა ფატიმამ და სახე მოარიდა, – მაგრამ, უპირველესად, უბრალოდ, ქალი ვარ.

და კარავში მიიმალა. თენდებოდა. დილით ფატიმა კარვიდან გამოვიდოდა და იმავეს გააკეთებდა, რასაც მთელი ამ წლების განმავლობაში აკეთებდა, მაგრამ ყველაფერი უკვე სხვა იერით შეიმოსებოდა. ხვალიდან სანტიაგო აღარ იქნებოდა ოაზისში და ოაზისიც დაკარგავდა მისთვის ადრინდელ მნიშვნელობას. აქამდე – ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ, – ოაზისი მისთვის ის ადგილი იყო, სადაც სამასი ჭა და ორმოცდაათი ათასი ფინიკის პალმა იდგა და საითაც სიხარულით მოილტვოდნენ შორეული გზით გათანგული მგზავრები. ხვალ დილიდან ოაზისი დაცარიელდებოდა ფატიმასათვის.

ამიერიდან უდაბნო გახდებოდა უმთავრესი, მას დააკვირდებოდა და იმის ამოცნობას შეეცდებოდა, რომელ ვარსკვლავს მისდევდა სანტიაგო. ამიერიდან კოცნას ქარს გაატანდა იმ იმედით, რომ ქარი სანტიაგოს მიუტანდა მის კოცნას და მოუთხრობდა, როგორ ელოდა ფატიმა. ამიერიდან უდაბნო იყო ის ერთადერთი, ვინც ფატიმას სანტიაგოს დაუბრუნებდა.

– იმაზე ნუ იფიქრებ, რაც უკან მოიტოვე, – უთხრა ალქიმიკოსმა, როცა გზას დაადგნენ, – ყველაფერი სამყაროს სულშია აღბეჭდილი და მასში დარჩება სამარადჟამოდ.

– ადამიანები უფრო დაბრუნებაზე ოცნებობენ, ვიდრე გამგზავრებაზე, – უპასუხა სანტიაგომ, ხელახლა რომ ეჩვეოდა უდაბნოს მდუმარებას.

– თუ ის, რაც შენ იპოვე, კეთილი მასალისაგან არის ნაგები, ვერაფერი მოერევა. და შენც თამამად შეძლებ დაბრუნებას. ხოლო თუ ვარსკვლავის დაბადებასავით მხოლოდ წუთიერი აფეთქება იყო, უკან მობრუნებული ვეღარაფერს იპოვი. სამაგიეროდ, იმით მაინც შეძლებ თავის დამშვიდებას, რომ თვალისმომჭრელი შუქი იხილე. მაშასადამე, ღირდა ამის განცდა.

ის თითქოს ალქიმიაზე ლაპარაკობდა, მაგრამ სანტიაგო მიხვდა: ფატიმას გულისხმობდა.

ძნელი იყო, არ ეფიქრა იმაზე, რაც უკან დარჩა. უდაბნოს ერთფეროვანი ლანდშაფტი ოცნებისა და მოგონებებისათვის განაწყობდა. სანტიაგოს ჯერ კიდევ თვალწინ ედგა ფინიკის პალმები, ჭები და შეყვარებულის სახე. ახსენდებოდა ინგლისელი, თავისი კოლბებითა და რეტორტებით. აქლემების გამრეკი – ჭეშმარიტი ბრძენი, რომელმაც არაფერი უწყოდა თავისი სიბრძნის შესახებ. «ალბათ, ალქიმიკოსს არასოდეს არავინ ჰყვარებია», – გაიფიქრა მან.

ალქიმიკოსს ოდნავ წინ მიჰყავდა ცხენი და მხარზე შევარდენი ეჯდა – იმან კი ნამდვილად იცოდა უდაბნოს ენა – როცა ჩერდებოდნენ, შევარდენი წამსვე საკვების საძებნელად მიფრინავდა. პირველ დღეს მან კურდღელი მოიტანა, მეორე დღეს კი – ორი ჩიტი.

ღამით ქვიშაზე საბნები გაფინეს. კოცონი არ დაუნთიათ, თუმცა ღამღამობით უდაბნოში უკვე ციოდა და ბნელოდა კიდეც, რადგან მთვარე კლებისკენ იყო წასული. პირველი კვირა სრულ მდუმარებაში გაილია, მხოლოდ ხანდახან თუ დაილაპარაკებდნენ მოსალოდნელ საფრთხესა და მეომარ ტომებზე. ომი გრძელდებოდა – ქარს დროდადრო სისხლის მოტკბო სუნი მოჰქონდა. სადღაც სულ ახლოს ბრძოლები მძვინვარებდა და ქარი ახსენებდა ყმაწვილს, რომ ნიშანთა ენა არსებობდა, რომელიც ყოველთვის ატყობინებდა იმას, რასაც თვალები ვერ ხედავდნენ.

მოგზაურობის მერვე დღეს ალიმიკოსმა ჩვეულებრივზე ადრე გადაწყვიტა დაბანაკება. შევარდენი იმავე წამს ცაში აიჭრა. ალქიმიკოსმა მათარა გაუწოდა სანტიაგოს.

– შენი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდება, – უთხრა მან, – გილოცავ, გზიდან არ გადაგიხვევია.

– შენ კი მთელი გზა დუმდი. მეგონა, ყველაფერს მასწავლიდი, რაც იცოდი. მე ერთხელ უკვე გადმოვიარე უდაბნო იმ ადამიანთან ერთად, რომელმაც ალქიმიის წიგნები მათხოვა წასაკითხად, მაგრამ ვერაფერი გავიგე.

– სწავლისა და წვდომის ერთადერთი გზა არსებობს – მოქმედება. მოგზაურობამ გასწავლა, რაც საჭირო იყო. ახლა ერთიღა გაქვს გასაგები, – უპასუხა ალქიმიკოსმა.

სანტიაგოს ძალიან უნდოდა, შეეტყო, რა იყო ის ერთი, რის გაგებაც სჭირდებოდა, მაგრამ ალქიმიკოსი ცას თვალს არ აშორებდა, თავის შევარდენს ელოდა.

– ალქიმიკოსს რატომ გეძახიან?

– იმიტომ, რომ ალქიმიკოსი ვარ.

– რაში ცდებოდნენ სხვა ალქიმიკოსები – ისინი, ვინც ამაოდ ეძებდნენ ოქროს?

– მათი შეცდომა ის იყო, რომ ისინი მხოლოდ განძს დაეძებდნენ, თავის გზას კი გვერდს უვლიდნენ.

– ისიც მითხარი, მე რა არ ვიცი, – კითხვა გაუმეორა ყმაწვილმა.

ალქიმიკოსი ისევ ცას გასცქეროდა. მალე შევარდენიც დაბრუნდა და ბრჭყალებით ნადავლი მოიტანა. მათ ქვიშაში ორმო ამოთხარეს და კოცონი შიგ დაანთეს, რომ ცეცხლის ალი არავის დაენახა.

– მე ალქიმიკოსი იმიტომ ვარ, რომ ალქიმიკოსი ვარ, – თქვა მან, – ამ მეცნიერების საიდუმლოებანი პაპისგან გადმომეცა, მას კი პაპამისმა ასწავლა და ასე შემდეგ, სამყაროს შექმნამდე. იმხანად მთელი ეს ცოდნა ზურმუხტის წახნაგზე ეტეოდა. მაგრამ ადამიანები უბრალოებას არაფრად აგდებდნენ, ამიტომაც ფილოსოფიური ტრაქტატების წერა და იმის მტკიცება დაიწყეს, რომ თვითონ იცოდნენ, რა გზით უნდა ევლო ადამიანს, სხვებმა კი – არა. მაგრამ ზურმუხტის ბეჭდული დღემდე არსებობს.

– ზედ რა წერია?

ალქიმიკოსი ხუთიოდე წუთს რაღაცას ხაზავდა ქვიშაზე, სანტიაგოს ამ ნახაზებმა მოხუცი ხელმწიფე გაახსენა და მოეჩვენა, რომ მათი შეხვედრიდან მრავალი, მრავალი წელი იყო გასული.

– აი, ეს, – უთხრა ალქიმიკოსმა, როცა ხატვა დაასრულა.

სანტიაგო მიუახლოვდა და დააკვირდა.

– ეს ხომ შიფრია! – წამოიძახა იმედგაცრუებულმა, – ინგლისელის წიგნებს ჰგავს!

– არა, ეს იგივეა, რაც ქორების ფრენა ცაში: გონებით ამას ვერ მისწვდები. ზურმუხტის ბეჭდული სამყაროს სულის გზავნილია. ბრძენნი, რა ხანია, უკვე მიხვდნენ, რომ ჩვენი სამყარო სამოთხის სახედ და ხატად არის შექმნილი. ჩვენი სამყაროს არსებობა იმის გარანტიაა, რომ სხვა, უფრო სრულყოფილი სამყაროც არსებობს. ეს სამყარო უფალმა იმიტომ შექმნა, რომ ადამიანები ხილულიდან სულიერს მისწვდნენ და თავად უკვირდეთ საკუთარი სიბრძნის სასწაული. მე ამას ვუწოდებ მოქმედებას.

– და მე ზურმუხტის ბეჭდული უნდა ამოვიკითხო?

– ახლა რომ ალქიმიკოსის ლაბორატორიაში იყო, ალბათ, შეძლებდი იმის შესწავლას, როგორ ამოგეკითხა ბეჭდული. მაგრამ შენ უდაბნოში ხარ, მაშასადამე, უდაბნოს უნდა ჩაუღრმავდი. უდაბნოც, როგორც ამქვეყნად არსებული ყოველი არსი, სამყაროს შეცნობაში დაგეხმარება. სულაც არ არის აუცილებელი, მთელი უდაბნო შეიცნო, ქვიშის ერთი მარცვალიც საკმარისია შემოქმედების საოცრების ამოსაცნობად.

– უდაბნოს როგორ ჩავუღრმავდე?

– გულს მოუსმინე. მას ყველაფერი ესმის, რადგან სამყაროს სულის ნაწილია და ოდესმე ისევ მას დაუბრუნდება.

კიდევ ორ დღე-ღამეს მიდიოდნენ უჩუმრად. ალქიმიკოსი ფრთხილობდა: ბრძოლის ველს უახლოვდებოდნენ. ყმაწვილი კი გულისხმას აყურადებდა.

Uგული თავნება ჰქონდა: ადრე სულ ერთთავად სადღაც გარბოდა, ახლა კი უკან დაბრუნებას სთხოვდა. ხან საათობით უყვებოდა ნათელი სევდით აღსავსე ამბებს, ხან კი ისე აღფრთოვანდებოდა მზის ამოსვლით, რომ სანტიაგო მალულად ტიროდა. გული

გამალებით უცემდა, როცა განძზე იწყებდნენ ლაპარაკს, და თითქმის უჩერდებოდა, უკიდეგანო უდაბნოს მზერისას.

– გულს რატომ უნდა მოვუსმინოთ? – ჰკითხა ერთხელ ალქიმიკოსს, როცა ისევ ღამის გასათევად შეჩერდნენ.

– განძიც იქ არის, სადაც გულია.

– გული აფორიაქებული მაქვს, – უთხრა სანტიაგომ, – ოცნებობს, ღელავს და უდაბნოს ქალისკენ ილტვის. ერთთავად რაღაცას მთხოვს და, ფატიმას გახსენებისთანავე, ღამე არ მაძინებს.

– კარგია. მაშასადამე, ცოცხლობს. განაგრძე მოსმენა.

მომდევნო სამი დღის განმავლობაში ვიღაც მეომრებს გადაეყარნენ, სხვები კი ჰორიზონტზე ჩანდნენ.

სანტიაგოს გული შიშზე ალაპარაკდა და ის ადამიანები გაიხსენა, განძის საძებნელად რომ წავიდნენ, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. დროდადრო ყმაწვილს აფრთხილებდა, რომ ვერც ის იპოვიდა განძს და, შეიძლება, უდაბნოში დაღუპულიყო კიდეც. ხან იმას ახსენებდა, რომ სიკეთის სანაცვლოდ სიკეთეს არავინ ეძებდა: სანტიაგოს ხომ უკვე ჰყავდა შეყვარებული და უამრავი ოქროს მონეტაც ჰქონდა.

და ერთხელ, როცა ცხენების შესასვენებლად გაჩერდნენ, სანტიაგომ ალქიმიკოსს უთხრა:

– გული მღალატობს, გზის გაგრძელებისა ეშინია.

– კარგია, – ისევ გაუმეორა ალქიმიკოსმა, – მაშასადამე, არ გაქვავებულა. ცხადია, ეშინია იმის დაკარგვისა, რაც გააჩნია.

– თუ ასეა, რატომღა უნდა მოვუსმინო?

– გაჩუმებას მაინც ვერ აიძულებ. როგორც უნდა მოაჩვენო თავი, რომ არ უსმენ, ის მაინც შენს მკერდში დარჩება და სულ იმას გაგიმეორებს, რასაც ამ სამყაროსა და ცხოვრებაზე ფიქრობს.

– და მუდამ მიღალატებს?

– ღალატი ის დარტყმაა, რომელსაც არ ელი. თუ გულს კარგად გაუგებ, ვეღარ გიღალატებს, რადგან შენ მისი ყველა ოცნება და სურვილი გეცოდინება და მის დაოკებასაც მოახერხებ. საკუთარი გულის კარნახისაგან თავის დაღწევა ჯერ ვერავის მოუხერხებია. ამიტომაც, აჯობებს, ყური მიუგდო. ამით მოულოდნელ დარტყმებსაც აირიდებ.

ისინი ისევ უდაბნოში იყვნენ და სანტიაგო გულს უსმენდა. სულ მალე გაერკვა საკუთარი გულის ეშმაკობებსა და უცნაურობებში და აღარ ეწინააღმდეგებოდა, ისეთად იღებდა, როგორიც იყო. ყმაწვილს უკვე შიშიც გაუქრა და აღარც უკან უნდოდა დაბრუნება. გულიც ეუბნებოდა, რომ კმაყოფილი იყო.

«მაპატიე, თუ ხანდახან ვწუწუნებ, რას იზამ, მე ხომ ადამიანის გული ვარ და წუწუნი ჩემი თვისებაა. ყველას გვეშინია მიუღწეველი ოცნებისკენ სწრაფვის, რადგან გვგონია, რომ მისი ღირსნი არ ვართ, ანდა ვერ შევძლებთ მის განხორციელებას. ჩვენ, ადამიანთა გულები, შიშით ვიპარებით შეყვარებულთან სამუდამო განშორებისას, თავზარს გვცემს იმის წარმოდგენა, რომ შეიძლებოდა, ბედნიერები ვყოფილიყავით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, და იმ განძის გახსენება გვტანჯავს, ჩვენ რომ შეიძლებოდა, გვეპოვა, მაგრამ სამუდამოდ ქვიშაში, რადგან, გვეშინია ტანჯვის».

– ჩემს გულს ტანჯვა აშინებს, – უთხრა ერთ ღამეს სანტიაგომ ალქიმიკოსს, როცა შავ, უმთვარო ღამეს გასცქეროდნენ.

– შენ კი უთხარი, რომ შიშით ტანჯვა თვით ტანჯვაზე უარესია. ისიც შეახსენე, რომ არც ერთი გული არ იტანჯება, როცა თავისი ოცნების ასასრულებლად მიდის, რადგან ამ ძიების ყოველი წამი ღმერთთან და მარადისობასთან შეხვედრაა.

«ყოველი წამი შეხვედრაა, – თავის გულს უთხრა სანტიაგომ, – ვიდრე განძს ვეძებდი, ყოველი დღე ჯადოსნური ნათლით იყო გაცისკროვნებული, რადგან ვიცოდი, რომ სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებოდი ჩემს ოცნებას. განძისკენ მიმავალ გზაზე იმდენ საინტერესოს ვხვდებოდი, რომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რა უნდა მეკეთებინა, მწყემსისათვის ეს დაუჯერებელი ნაბიჯი რომ არ გადამედგა».

უცნაური იყო, მაგრამ იმ საღამოს მას გული საგულეში ჩაუდგა. ღამით სანტიაგოს მშვიდად ეძინა და გაღვიძებისთანავე გულმა სამყაროს სულზე გაუბა მუსაიფი. უთხრა, რომ ის ადამიანი იყო ბედნიერი, ვინც თავის თავში ატარებდა უფალს. და რომ ბედნიერების პოვნა თვით უმცირეს მარცვალშიც შეიძლებოდა – როგორც ერთხელ ალქიმიკოსმა თქვა, – რადგან ამ მარცვლის შესაქმნელად სამყაროს მილიარდი წელი დასჭირდა.

«ამქვეყნის ყველა მკვიდრს თავისი განძი ელის, – ეუბნებოდა გული, – მაგრამ ჩვენ, გულები, ჩუმად ყოფნას მივეჩვიეთ, რადგან ადამიანებს არ სურთ იმ განძის პოვნა. ჩვენ მხოლოდ ბავშვებს ვეჩურჩულებით ამის შესახებ, მერე კი ვაკვირდებით, როგორ წარმართავს მათ ცხოვრება თავიანთი ბედისწერისკენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტანი თუ მიჰყვებიან წილხვედრილ გზას. დანარჩენებს სამყაროსი ეშინიათ.

და ჩვენც სულ უფრო ჩუმად ვიწყებთ ლაპარაკს. ჩვენ არასოდეს ვჩუმდებით, მაგრამ ვცდილობთ, ჩვენმა ნათქვამმა არ შეაშფოთოს ადამიანები: არ გვინდა, იმის გამო გაიტანჯონ, რომ დროზე არ მიუგდეს ყური გულისხმას».

– თუ ასეა, გული რატომ არ კარნახობს ადამიანს, რომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს ოცნების ასასრულებლად? – იკითხა სანტიაგომ.

– იმიტომ, რომ მაშინ გული დაიტანჯებოდა, მას კი არ უყვარს ტანჯვა.

იმ დღიდან ყმაწვილს უკვე ესმოდა თავისი გულის ხმა. თვითონვე სთხოვა, არ გაჩუმებულიყო და როგორც კი თავისი ოცნების გზიდან გადახვევას დააპირებდა, განგაში აეტეხა.

იმ ღამეს სანტიაგომ თავისი ნაფიქრი გაანდო ალქიმიკოსს. და ისიც მიხვდა, რომ სანტიაგოს გული სამყაროს სულს შეერთებოდა.

– ახლა რაღა ვქნა?

– პირამიდებისკენ სვლა განაგრძე და ნიშნებს დააკვირდი. შენს გულს უკვე შესწევს უნარი, მიგანიშნოს, სად არის საგანძური.

– ნუთუ მხოლოდ ეს უნდა მესწავლა?

– არა. მთავარი სხვაა, – უთხრა ალქიმიკოსმა და განაგრძო: – ოცნების ასრულებამდე სამყაროს სული აუცილებლად შეგამოწმებს, რამდენად შეითვისე ყველა გაკვეთილი. რადგან ოცნებისაკენ მიმავალ გზაზე შემოთავაზებული ყველა ცოდნა უნდა შევითვისოთ. ადამიანთა უმეტესობას სწორედ ამ დროს ღალატობს სითამამე. უდაბნოს ენაზე ამას «ჰორიზონტზე ოაზისის გამოჩენისას წყურვილით სიკვდილი» ეწოდება. ძიება მუდამ იღბლიანი დასაწყისით იწყება და ამ გამოცდით მთავრდება.

სანტიაგოს თავისი მშობლიური მხარის ერთი ანდაზა გაახსენდა: «ბანთიადის წინ უკუნი ისადგურებს».

მეორე დღეს პირველად გამოჩნდა ნამდვილი საფრთხის ნიშნები. მოგზაურებთან სამი მეომარი მივიდა და ჰკითხა, რას აკეთებდნენ.

– შევარდნით ვნადირობთ, – უპასუხა ალქიმიკოსმა.

– უნდა დავრწმუნდეთ, რომ იარაღი არა გაქვთ, – თქვა ერთმა.

ალქიმიკოსი აუჩქარებლად ჩამოქვეითდა. სანტიაგომაც მას მიჰბაძა.

– ამდენ ფულს თან რატომ ატარებთ, – ჩანთის გაჩხრეკის შემდეგ ჰკითხეს სანტიაგოს.

– პირამიდებთან მისასვლელად ფული მჭირდება.

არაბმა, ალქიმიკოსს რომ ჩხრეკდა, იკითხა:

– ეს რა არის?

– ფილოსოფიური ქვა და უკვდავების ელექსირი – ალქიმიკოსთა დიადი შემოქმედება. ის, ვინც ელექსირს დალევს, ავად აღარასოდეს გახდება. ამ ქვის უმცირესი ნამსხვრევი კი ლითონს ოქროდ აქცევს.

მხედრები ახარხარდნენ და ალქიმიკოსიც აჰყვა. მისი პასუხი მეომრებმა ხუმრობად მიიჩნიეს და მგზავრებს გზის გაგრძელების ნება დართეს.

– ჭკუიდან შეიშალე? – ჰკითხა სანტიაგომ, როცა კარგა მანძილით დაშორდნენ მეომრებს, – სიმართლე რატომ უთხარი?

– რატომ? იმიტომ, რომ ამქვეყნად მოქმედი ერთი უბრალო კანონი დამემტკიცებინა შენთვის: ჩვენ ვერასოდეს ვხვდებით, რა განძი გვიჭირავს ხელში. იცი, რატომ? ადამიანებს საერთოდ არა სჯერათ საგანძურისა, – უპასუხა ალქიმიკოსმა.

ისევ გზა განაგრძეს. სანტიაგოს გული დაუმშვიდდა: უკვე აღარც წარსული ადარდებდა, აღარ მომავალი; იმითაც კმაყოფილდებოდა, რომ უდაბნოს აკვირდებოდა და სამყაროს სულიდან იკლავდა წყურვილს. სანტიაგო და მისი გული დამეგობრდნენ და ახლა ერთმანეთს ვეღარ უღალატებდნენ.

თუ გული ხმას იღებდა, მხოლოდ იმისთვის, რომ უდაბნოს მდუმარებით დათრგუნული სანტიაგო გაემხნევებინა და ძალა მიეცა. ეუბნებოდა, როგორ ეამაყებოდა მისი სითამამე, როცა ცხვრები მიატოვა, და ის ენთუზიაზმი, ფარდულში მუშაობისას რომ გამოამჟღავნა.

გულმა ისიც გაანდო, რაც სანტიაგომ არ იცოდა: საფრთხე, მრავალგზის რომ აირიდეს თავიდან. მოუთხრო, როგორ გაქრა მამის უკითხავად აღებული ის თოფი, – ხომ შეიძლებოდა, დაჭრილიყო ან, სულაც, შემთხვევით თავი მოეკლა. გაახსენა, რომ ერთხელ ტრიალ მინდორზე ცუდად გახდა, გულისრევა დაეწყო, მერე კი უღონოდ დაეცა მიწაზე და დაეძინა. სწორედ იმ დროს სანტიაგოს ორი მაწანწალა ჰყავდა ჩასაფრებული, მისი მოკვლა და ცხვრის გარეკვა უნდოდათ. დიდხანს ელოდნენ და სანტიაგო რომ აღარ გამოჩნდა, იფიქრეს, ფარა, ალბათ, სხვა გზით გარეკაო, და გაწბილებულები გაბრუნდნენ უკან.

– გული ყოველთვის ეხმარება ადამიანს? – ჰკითხა სანტიაგომ.

– ყოველთვის და ყველას არა, მხოლოდ იმათ, ვინც თავის ბედისწერას მიჰყვება. და კიდევ – ბავშვებს, მთვრალებსა და მოხუცებს.

– ეს იმას ნიშნავს, რომ მათ საფრთხე არ ემუქრებათ?

– ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათი გულები მთელი ძალით მუშაობენ.

ერთხელ იმ ადგილს ჩაუარეს, სადაც მეომარი ტომის მებრძოლები დაბანაკებულიყვნენ. თვალის გასაწვდენზე თეთრ ბურნუსიანი შეიარაღებული ადამიანები ჩანდნენ. ისვენებდნენ, ნარგილეს ეწეოდნენ და ბრძოლებზე ლაპარაკობდნენ. სანტიაგოსა და ალქიმიკოსისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

– საფრთხეს გავცდით, – თქვა სანტიაგომ, როცა ბანაკი უკან მოიტოვეს.

– გულს ენდე, მაგრამ არასოდეს დაივიწყო, რომ უდაბნოში ხარ! როცა ადამიანები ერთმანეთს ებრძვიან, სამყაროს სულსაც სწვდება ბრძოლის ყიჟინა. ამქვეყნად ვერავინ ახერხებს, გაექცეს იმას, რაც მზის ქვეშ ხდება, – ალქიმიკოსის ხმაში მრისხანება ისმოდა.

«ყველაფერი ერთი მთლიანობაა», – გაიფიქრა სანტიაგომ.

და იმავე წამს, თითქოს ალქიმიკოსის სიტყვების დასტურად, უდაბნოში ორი მხედარი გამოჩნდა, მათკენ მოაჭენებდნენ ცხენებს.

– გზას ვეღარ განაგრძობთ, – მიახლოებისთანავე გამოუცხადა ერთ–ერთმა მეომარმა, – აქ ომია.

– ჩვენ აქვე მივდივართ, – უპასუხა ალქიმიკოსმა და დაჟინებით შეხედა თვალებში.

მეომრები წუთით გაქვავდნენ, შემდეგ მოგზაურებს გზის გაგრძელების ნება დართეს. სანტიაგოს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

– მზერით დაიმორჩილე?

– მზერაში სულის სიძლიერე ჩანს, – უპასუხა ალქიმიკოსმა.

«ასეა», – გაიფიქრა ყმაწვილმა და გაახსენდა, როცა ბანაკს ჩაუარეს, ვიღაც მებრძოლი დიდხანს უცქეროდა მათ. ძალიან შორს იდგა, მისი სახის დანახვაც კი შეუძლებელი იყო და სანტიაგო მაინც გრძნობდა მის მზერას.

მალე იმ მთასაც მიადგნენ, მთელ ჰორიზონტს რომ ფარავდა, და ალქიმიკოსმა უთხრა, რომ პირამიდებამდე ორი დღის სავალიღა რჩებოდა.

– თუ მალე მოგვიწევს დაშორება, ალქიმია მასწავლე.

– სწავლა აღარ გჭირდება. შენ იცი, რომ მეცნიერება ის არის, ჩასწვდე სამყაროს სულს და იქ შენთვის განკუთნილი განძი აღმოაჩინო.

– მე სხვა რამეზე გელაპარაკები. მინდა, ვიცოდე, როგორ გადავაქციო ტყვია ოქროდ.

ალქიმიკოსს უდაბნოს მდუმარება არ დაურღვევია, მხოლოდ მაშინ უპასუხა, როცა ღამის გასათევად გაჩერდნენ.

– ყველაფერი, რაც სამყაროში არსებობს, მუდმივად ვითარდება და ერთიდან მეორეში გადაიღვრება. ბრძენთა აზრით, ოქრო ის სპილენძია, რომლის ევოლუციამაც სხვებს გაუსწრო. არ მკითხო, რატომ – ვერ გიპასუხებ. უბრალოდ, ვიცი, რომ ასე მოხდა ამ სამყაროში.

მაგრამ ადამიანებმა ბრძენთა ნააზრევი სწორად ვერ გაიგეს. და ოქრო, იმის ნაცვლად, რომ განვითარების სიმბოლოდ ქცეულიყო, განხეთქილების ნიშნად იქცა, – უთხრა ალქიმიკოსმა

– ჩვენ გარშემო არსებული სამყარო მრავალ ენაზე ლაპარაკობს. ადრე აქლემების ჩუმი ყვირილი მხოლოდ ყვირილი იყო ჩემთვის. შემდეგ ის საფრთხის ნიშნად იქცა. და ბოლოს – ისევ ყვირილად, – სანტიაგო უცებ დადუმდა, მიხვდა, რომ ალქიმიკოსმა იცოდა ეს ყველაფერი. ალქიმიკოსმა კი განაგრძო:

– მე ნამდვილ ალქიმიკოსებსაც ვიცნობდი, ერთნი თავიანთ ლაბორატორიებში იკეტებოდნენ და თვითონაც ცდილობდნენ, ოქროს მსგავსად, განვითარებულიყვნენ. ასე აღმოაჩინეს ფილოსოფიური ქვა. ისინი მიხვდნენ, რომ თუკი ამქვეყნად რაღაც ერთი ვითარდება, მის ირგვლივ ყველაფერი იცვლება.

სხვებმა ფილოსოფიურ ქვას შემთხვევით მიაგნეს. მათ ნიჭი ჰქონდათ ბოძებული და სულიც – უფრო მგრძნობიარე, ვიდრე დანარჩენ ადამიანებს. მაგრამ ასეთი შემთხვევითობები ძალიან იშვიათად ხდება.

მესამენი კი მხოლოდ ოქროს ეძებდნენ. მათ ვერ მოახერხეს იდუმალის წვდომა, რადგან ის უმთავრესი დაავიწყდათ, რომ ტყვიას, სპილენძსა და რკინასაც თავისი განვითარების გზა აქვთ და ის, ვინც სხვის ბედისწერაში ერევა, ვერასოდეს გაივლის თავისას.

ალქიმიკოსის ეს სიტყვები წყევლასავით გახმიანდა. ის დაიხარა და მიწიდან ნიჟარა აიღო.

– ოდესღაც აქ ზღვა იყო, – თქვა მან.

– ჰო, მივხვდი, – უპასუხა ყმაწვილმა.

ალქიმიკოსმა ნიჟარა მიაწოდა და სთხოვა, ყურზე მიედო. ბავშვობაში სანტიაგო ხშირად უსმენდა ხოლმე ნიჟარებს და ახლაც ზღვის შხუილი ჩაესმა.

– ზღვა ისევ ამ ნიჟარაშია, რადგან ის არის ამ ნიჟარის ბედისწერა. ეს ბედისწერა არც მიატოვებს, ვიდრე უდაბნოში ისევ არ ადგაფუნდება ტალღები.

ისინი ისევ ცხენებზე შესხდნენ და ეგვიპტის პირამიდებისკენ აიღეს გეზი.

მზე უკვე დასალიერისკენ გადაიწვერა, როცა სანტიაგოს საფრთხის მოახლოება აცნობა გულმა. ისინი ქვიშის უზარმაზარ ბარხანებს შორის იდგნენ. სანტიაგომ ალქიმიკოსს გახედა, მაგრამ მას თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. ხუთი წუთის შემდეგ ყმაწვილმა ცხადლივ დაინახა ორი მხედრის სილუეტი. სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ორის ნაცვლად ათი გამოჩნდა, მერე – ასი, და ბოლოს ყველა ბარხანი ჯარმა დაფარა.

მხედრებს ცისფერი ტანსაცმელი ეცვათ. დოლბანდზე შავი ლენტები ჰქონდათ შემოჭერილი, სახე ცისფერი ნაჭრებით ჰქონდათ დაფარული და მხოლოდ თვალები მოუჩანდათ.

უკვე შორიდანვე შეიძლებოდა დანახვა, რომ ეს თვალები სულის სიმტკიცეს ასხივებდნენ და სიკვდილს უქადდნენ მოგზაურებს.

სანტიაგო და ალქიმიკოსი ბანაკში მიიყვანეს და ბელადს მიჰგვარეს. ულამაზესი კარავი იყო, რომლის მსგავსიც ყმაწვილს არასოდეს ენახა. ბელადის ირგვლივ მხედართმთავრები ისხდნენ.

– ჯაშუშები არიან, – მოახსენა იმ მეომარმა, ტყვეები რომ მოიყვანა.

– არა, უბრალოდ, მოგზაურები ვართ.

– სამი დღის წინ ჩვენი მტრების ბანაკში გნახეს. რომელიღაც მეომარს ელაპარაკებოდით.

– მე კარგად ვიცი უდაბნოს გზები და ვარსკვლავთმრიცხველიც ვარ, – უპასუხა ალქიმიკოსმა, – მაგრამ თქვენი მტრების რაოდენობა და მათი სვლის მიმართულება ნამდვილად უცნობია ჩემთვის. მე მხოლოდ ჩემი მეგობარი მოვაცილე თქვენს ბანაკამდე.

– შენი მეგობარი ვიღაა? – ჰკითხა ბელამა.

– ალქიმიკოსი, – უპასუხა ალქიმიკოსმა, – ის ბუნების ყველა ძალას ფლობს და სურს, თავისი ცოდნა გაგიზიაროთ.

შიშით გათანგული სანტიაგო ხმას ვერ იღებდა.

– უცხოელი რას დაეძებს ჩვენს მხარეში? – იკითხა ერთმა მხედართმთავარმა.

– თქვენს ტომს ფული ჩამოუტანა, – უპასუხა ალქიმიკოსმა და ვიდრე ყმაწვილი ხმის ამოღებას მოახერხებდა, მისი ჩანთა ბელადს გაუწოდა.

ბელადმა უსიტყვოდ მიიღო ძღვენი, ამ ფულით ბევრი იარაღის ყიდვა შეიძლებოდა.

– რას ნიშნავს «ალქიმიკოსი»? – იკითხა ერთმა მხედართმთავარმა.

– ეს ის ადამიანია, ვისაც ბუნება და სამყარო ემორჩილება. თუ მოისურვებს, ქარად იქცევა და მთელ ბანაკს გაანადგურებს.

არაბებს გაეცინათ. ისინი მხოლოდ ომის ძალას აღიარებდნენ და ვერაფრით დაიჯერებდნენ, რომ ქარს შეეძლო მათი დახოცვა. მაგრამ გულში მაინც შიში შეეპარათ. ყველანი უდაბნოს შვილები იყვნენ და ჯადოქრებისა ეშინოდათ.

– საკუთარი თვალით მინდა, ვნახო, როგორ მოახერხებს ამას, – თქვა მხედართმთავარმა.

– სამი დღე მოგვეცით. ამ სამი დღის შემდეგ ჩემი მეგობარი ქარად იქცევა და თავის ძალას დაგიმტკიცებთ, თუ ვერ შეძლებს, მორჩილად შემოგწირავთ ჩვენს სიცოცხლეს.

– შეუძლებელია, ის შემომწირო, რაც ისედაც უკვე მე მეკუთვნის, – ამაყად უთხრა მხედართმთავარმა.

თუმცა მაინც დათანხმდა, სამ დღეს მოეცადა.

გახევებული და ენაჩავარდნილი სანტიაგო თავზარდაცემული მისჩერებოდა ალქიმიკოსს. მან ხელი მოჰკიდა და კარვიდან ძალით გაიყვანა.

– შიშს ნურავის დაანახვებ, მეომრები ვაჟკაცები არიან და სილაჩრეს ვერ იტანენ.

სანტიაგოს შიშით ენა ჰქონდა ჩავარდნილი, ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა ხმის ამოღებას. ისინი თავისუფლად მიაბიჯებდნენ ბანაკში – არაბებმა მხოლოდ ცხენები ჩამოართვეს. სამყარომ კიდევ ერთხელ დაანახვა თავისი მრავალფეროვნება: უდაბნო, რომელიც ადრე უკიდეგანო და თავისუფალი ეგონა, ახლა ციხედ ექცა, საიდანაც ვერსად გაიქცეოდა.

– მთელი ფული მიეცი! – ხმა ამოიღო ბოლოს ყმაწვილმა, – ყველაფერი მიეცი, რაც კი საკუთარი ოფლითა და ტანჯვით მიშოვია!

– რაში გჭირდება, თუკი მოგკლავენ? ამ ფულმა უკვე სამი დღის სიცოცხლე გაჩუქა. საერთოდ კი, ფულს ერთი დღითაც არ შეუძლია სიცოცხლის გახანგრძლივება.

მაგრამ სანტიაგო იმდენად იყო შეშინებული, რომ ბრძნული სიტყვების მოსმენის თავი აღარ ჰქონდა. მან არ იცოდა, როგორ უნდა ქცეულიყო ქარად. ის არ იყო ალქიმიკოსი.

ალქიმიკოსმა კი ერთ–ერთ ჯარისკაცს ჩაი მოატანინა, სანტიაგოს რამდენიმე წვეთი დაასხა მაჯაზე და რაღაც გაუგებარი სიტყვები წარმოთქვა. ყმაწვილმა იგრძნო, როგორ მოეხსნა გულიდან შიშის მარწუხები.

– სასოწარკვეთას ნუ მიეცემი, – უჩვეულოდ ალერსიანი ხმით უთხრა ალქიმიკოსმა, – უბრალოდ, ჯერ გულთან დალაპარაკება ვერ მოასწარი.

– ქარად როგორ უნდა ვიქცე!

– იმან, ვინც თავის ბედისწერას მიჰყვება, ყველაფერი იცის და შეუძლია. ოცნების ასრულებას მხოლოდ ერთი რამ უშლის ხელს – დამარცხების შიში.

– დამარცხების სულაც არ მეშინია. უბრალოდ, არ ვიცი, როგორ უნდა ვიქცე ქარად.

– უნდა ისწავლო. შენი სიცოცხლე ამაზეა დამოკიდებული.

– თუ ვერ შევძელი?

– მაშინ მოკვდები. არც ეგ არის ურიგო, შენ საკუთარი ბედისწერის ძიებისას დაიღუპები, ეს იმ ათასობით ადამიანთა სიკვდილს სჯობია, ვისაც აზრადაც არ მოსდის, რომ ყველა ადამიანს საკუთარი ბედისწერა აქვს. თუმცა, ნუ იდარდებ. როგორც წესი, სიკვდილი სასიცოცხლო ძალებსა და შეგრძნებებს აძლიერებს.

პირველი დღე გავიდა. იმ დღეს უდაბნოში იბრძოდნენ და ბანაკში უამრავი დაჭრილი მოიყვანეს. «სიკვდილი არაფერს ცვლის», – ფიქრობდა სანტიაგო. დახოცილ მეომართა რიგებს სხვები იკავებდნენ და სიცოცხლე გრძელდებოდა.

– ჩემო მეგობარო, შენ შეგეძლო, დიდხანს გეცოცხლა, – თავის დაღუპულ მეგობარს მიმართა ერთ–ერთმა მებრძოლმა, – და ახლა კი არა, ომის შემდეგ მომკვდარიყავი. მაგრამ სიკვდილს მაინც ვერ დააღწევდი თავს.

საღამო ხანს ყმაწვილი ალქიმიკოსის საძებნელად გაემართა.

– არ ვიცი, როგორ უნდა ვიქცე ქარად, – უთხრა ალქიმიკოსს.

– გაიხსენე, რაც გითხარი: სამყარო მხოლოდ უფლის ხილული ნაწილია. ალქიმია კი სულიერ სრულყოფილებას მატერიად აქცევს.

– შენ რას აკეთებ? – ჰკითხა სანტიაგომ.

– შევარდენს ვკვებავ.

– რატომ? თუკი ქარად ქცევას ვერ შევძლებ, მაინც დაგვხოცავენ.

– შენ მოგკლავენ, – უპასუხა ალქიმიკოსმა, – მე შემიძლია ქარად ქცევა.

მეორე დღეს ყმაწვილი ბანაკის სიახლოვეს, მთაზე ავიდა. გუშაგებმა შეუფერხებლად გაატარეს: მათ უკვე იცოდნენ, რომ ბანაკში ჯადოქარი გამოჩნდა, რომელსაც ქარად შეეძლო გადაქცევა, და ერიდებოდნენ. ამას გარდა, უდაბნო ყველა დილეგზე უკეთესი იყო.

სანტიაგო საღამომდე აკვირდებოდა უდაბნოს. გულს უგდებდა ყურს. უდაბნო კი მის შიშს უსმენდა.

ისინი ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ.

როცა მესამე დღე გათენდა, ბელადმა მხედართმთავრები იხმო.

– დღეს ვნახავთ, როგორ იქცევა ეს ყმაწვილი ქარად, – თქვა მან.

– ვნახავთ, – უპასუხა ალქიმიკოსმა.

სანტიაგომ ისინი იმ ადგილისკენ წაიყვანა, სადაც გუშინ მთელი დღე გაატარა. შემდეგ სთხოვა, დამსხდარიყვნენ. – ცოტა ხნით მოცდა მოგიწევთ, – უთხრა მან.

– არსად გვეჩქარება, – უპასუხა ბელადმა, – ჩვენ უდაბნოს შვილები ვართ.

სანტიაგო ჰორიზონტს გასცქეროდა. წინ მთები, ბარხანები და კლდეები მოჩანდა; ზოგან ქვიშაზე ბალახი გართხმულიყო, რომელიც შეუძლებელს ძლევდა და ქვიშაში ახერხებდა ცხოვრებას. მის წინ უდაბნო იყო გაწოლილი, სანტიაგო უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში მოაბიჯებდა ამ უდაბნოში და მაინც მხოლოდ მისი ნაწილის ამოცნობა მოასწრო. აქ შეხვდა ინგლისელს, ქარავნებს, ტომებს შორის გაჩაღებულ ომს, ოაზისს, სადაც ორმოცდაათი ათასი პალმა იზრდებოდა და სამასი ჭა იყო ამოთხრილი, აქ შეხვდა ფატიმას.

– რისთვის მოხვედი? – ეკითხებოდა მას უდაბნო, – განა გუშინ მთელ დღეს არ ვუცქეროდით ერთმანეთს?

– სადღაც მანდ, შენს ქვიშებში, ცხოვრობს ის, ვინც მიყვარს, – პასუხობდა სანტიაგო, – და შენ რომ გიცქერი, იმასაც ვხედავ. მე მასთან მინდა დაბრუნება, მაგრამ ამისათვის შენი დახმარება დამჭირდება. ქარად უნდა ვიქცე.

– რა არის «სიყვარული»? – ჰკითხა უდაბნომ.

– სიყვარული არის ის, როცა შენს ქვიშებზე შევარდენი დაფრინავს. მისთვის შენ ულამაზესი მწვანე ველი ხარ. ის აუცილებლად იპოვის საზრდოს. მან ყველაფერი იცის შენს შესახებ, იცის შენი კლდეები და მთები. და შენც მუდამ გულუხვად მასპინძლობ მას.

– შევარდნის ნისკარტი ტკივილს მაყენებს, – უპასუხა უდაბნომ, – წლობით ვზრდი მისთვის ბალახს, ჩემი იშვიათი წყლის წვეთებით ვარწყულებ და მივუთითებ, სად უნდა მოიკლას შიმშილი. შევარდენი კი ციდან ეშვება და სწორედ მაშინ, როცა მინდა, გავიხარო, რომ ჩემს ქვიშაში სიცოცხლე ფეთქავს, ის ჩემს ნაშრომს იტაცებს.

– გეთანხმები, მაგრამ რატომ გავიწყდება, რომ სწორედ მისთვის ქმნიდი ყველაფერს. ბალახს შენ იმიტომ ზრდიდი, რომ შევარდენი დაგეპურებინა. შევარდენი კი ადამიანს აპურებს. ადამიანიც ოდესმე დააპურებს შენს ქვიშას და აქ ისევ დაიწყებს სიცოცხლე ფეთქვას. ასეა ეს სამყარო მოწყობილი.

– ეს არის სიყვარული?

– სწორედ ეგ არის სიყვარული. სიყვარულია ის, რაც ბალახს შევარდნად აქცევს, შევარდენს – ადამიანად, ადამიანს კი – უდაბნოდ. სიყვარულია ის, რაც ტყვიას ოქროდ აქცევს და მერე ამ ოქროს ისევ მიწაში მალავს.

– ვერ გავიგე, რას მეუბნები, – უპასუხა უდაბნომ.

– დამიჯერე: სადღაც, შენს ქვიშაში ქალი მელოდება. და ამიტომაც ქარად უნდა ვიქცე.

უდაბნო ერთხანს დუმდა.

– მე შემიძლია, ქვიშა მოგცე, რომ ქარმა მისი აბორიალება შეძლოს. სხვა ვერაფრით დაგეხმარები. ქარს დაუძახე.

სუსტმა ნიავმა წამოუბერა. მხედართმთავრები შორიდან ისმენდნენ, როგორ ელაპარაკებოდა ყმაწვილი ვიღაცას მათთვის გაუგებარ ენაზე.

ალქიმიკოსი იღიმებოდა.

ქარი მოფრინდა და სანტიაგოს სახეზე მიელამუნა. ის ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს, რადგანაც ქარმა ისედაც ყველაფერი იცოდა. ქარები მთელ ქვეყანას იყვნენ მოდებულნი და მათთვის არ არსებობდა ადგილი, სადაც იბადებოდნენ ან დაიმარხებოდნენ.

– დამეხმარე, – სთხოვა ყმაწვილმა, – ერთხელ შენს ქროლაში ჩემი საყვარლის ხმა შემომესმა.

– ვინ გასწავლა უდაბნოსა და ქარის ენაზე ლაპარაკი?

– ჩემმა გულმა, – უპასუხა სანტიაგომ.

ქარს ბევრი სახელი ჰქონდა. აქ მას «სიროკოს» ეძახდნენ და არაბებს სჯეროდათ, რომ იმ მხარეებიდან მოფრინავდა, სადაც ბევრი წყალი იყო და შავკანიანი ადამიანები ცხოვრობდნენ. სანტიაგოს სამშობლოში კი მას «ლევანტიელს» უწოდებდნენ, რადგან უდაბნოს ქვიშების სურნელი და მავრთა სამარი ყიჟინა მოჰქონდა. ვინ იცის, იქნებ შორეულ ქვეყნებში, სადაც იალაღები და ცხვრები არ იყო, ადამიანებს ეს ქარი ანდალუსიიდან მონაბერი ეგონათ. მაგრამ ქარი არსად იბადება და არსად კვდება, ამიტომაც უდაბნოზე ძლიერი იყო. უდაბნოს ოაზისად ქცევა ადამიანებს შეეძლოთ; ცხვრების მოშენებასაც ახერხებდნენ უდაბნოში, მაგრამ ქარის დამორჩილება მათ ძალებს აღემატებოდა.

– შენ ქარად ვერ იქცევი, – უთხრა ქარმა, – მე და შენ სხვადასხვა საწყისი გვაქვს.

– ცდები, – უპასუხა სანტიაგომ, – ვიდრე ამ ქვეყანაზე დავაბიჯებდი, ალქიმიის საიდუმლოებებს ჩავწვდი. ჩემშია ახლა თავმოყრილი ქარებიცა და უდაბნოებიც, ოკეანეები, ვარსკვლავები და ყველაფერი, რაც კი არსებობს ამ მიწისპირზე. მე და შენ ერთი და იმავე ხელმა შეგვქმნა და სულიც ერთი გვაქვს. მინდა, შენ დაგემსგავსო, ყველა ნასვრეტში შევძლო შეღწევა, ზღვებს გადავუფრინო, ჩემს საგანძურზე დახორავებული ქვიშის მთები ავხვეტო და ჩემი სატრფოს ხმა მოვიტაცო.

– ერთხელ შენს ლაპარაკს შევესწარი ალქიმიკოსთან, – უთხრა ქარმა, – ის გეუბნებოდა, რომ ყველას თავისი გზა აქვს. ადამიანს არ ძალუძს, ქარად იქცეს.

– სულ ცოტა ხნით მაინც გამხადე შენნაირი და მაშინ შეგვეძლება ქარისა და ადამიანის უკიდეგანო შესაძლებლობებზე ლაპარაკი.

ქარს მართლაც არ ჰქონდა წარმოდგენა, როგორ უნდა ექცია ადამიანი ქარად. მაგრამ ამის აღიარება არ უნდოდა. მას შეეძლო, უდაბნოდ გადაექცია მინდვრები, გემები ჩაეძირა, ფესვებიანად ამოეძირკვა უზარმაზარი ხეები და ტყეები, ქალაქების თავზე გადაეფრინა, საიდანაც მუსიკა და უცნაური ხმები ისმოდა. თვითონაც მიაჩნდა, რომ ყოვლისმძლეველი იყო, ახლა კი ეს ყმაწვილი უმტკიცებდა, რომ მას, ქარს, უფრო მეტი შეეძლო.

– ამას «სიყვარული» ჰქვია, – აუხსნა სანტიაგომ, როცა შენიშნა, რომ ქარი მზად იყო, მისი თხოვნა შეესრულებინა, – თუ გიყვარს, შეგიძლია, შეიცვალო. თუ გიყვარს, სულაც არ არის აუცილებელი, მიხვდე, რა ხდება, მთავარია, გესმოდეს, რომ ყველაფერი ჩვენშივეა დაფარული. ამიტომ, ქარად ქცევაც შეუძლია ადამიანს. ცხადია, თუკი ქარი დაეხმარება.

ქარი ამაყი იყო და სანტიაგოს სიტყვებმა გააღიზიანა. მან უფრო მეტად დაუბერა და უდაბნოს ქვიშა ააბუქა. მაგრამ ბოლოს მაინც მოუწია აღიარება, რომ თუმცა კი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი, ადამიანის ქარად ქცევა მაინც არ შეეძლო. არც სიყვარულის შესახებ იცოდა რაიმე.

– ხშირად მინახავს, როცა ადამიანები სიყვარულზე ლაპარაკობენ, ცას ასცქერიან, – უთხრა ქარმა, სხვა გზა აღარ ჰქონდა, დამარცხება უნდა ეღიარებინა, – იქნებ შენც ზეცას სთხოვო?

– ეგ კარგი აზრია, – დაეთანხმა სანტიაგო, – ოღონდ დამეხმარე, მტვერი ააბუქე, რომ მზემ არ მომჭრას თვალი.

ქარმა უფრო ძლიერად წამოუბერა, ზეცა ქვიშიანი მტვრით გადაფარა და მზის სიკაშკაშე დააცხრო.

ისინი, ვინც ბანაკიდან უცქეროდნენ, უკვე ვეღარაფერს ხედავდნენ. უდაბნოს შვილები იცნობდნენ ამ ქარს, მას «სამუმს» ეძახდნენ და მისი უფრო ეშინოდათ, ვიდრე შტორმისა ზღვაზე, თუმცა ზღვა არასოდეს ენახათ. ცხენები აჭიხვინდნენ, იარაღზე ქვიშა აფხაჭუნდა.

ერთ–ერთმა მხედართმთავარმა ბელადს ურჩია:

– იქნებ ვიკმაროთ?

უდაბნო მტვერმა გადაფარა. მხედართმთავრებს სახეზე აფარებული თეთრი საბურავებიდან მხოლოდ თვალები მოუჩანდათ და ამ თვალებში შიში კრთებოდა.

– დროა, დავასრულოთ, – დაეთანხმა მეორე მხედართმთავარიც.

– მინდა, ალაჰმა დაგვანახვოს თავისი ძალმოსილება, – უპასუხა ბელადმა, – მინდა, ჩემი თვალით ვნახო, როგორ იქცევა ადამიანი ქარად.

თუმცა იმათი სახელები მაინც დაიმახსოვრა, ვინც შიში გამოამჟღავნა, თან გადაწყვიტა, ქარის ჩადგომისთანავე ჩამოერთმია მხედართმთავრობა – უდაბნოს შვილებისათვის შიში მიუღებელი იყო.

– ქარმა მითხრა, რომ შენ იცი, რა არის სიყვარული, – მიმართა მზეს სანტიაგომ, – და თუ ასეა, მაშინ შენ სამყაროს სულსაც უნდა სწვდებოდე, – ის ხომ სიყვარულით არის შექმნილი.

– სამყაროს სულს ხშირად ვხედავ, – უპასუხა მზემ, – ის ჩემს სულს ესაუბრება და ჩვენ ერთად ვზრდით ბალახს, ერთად მივერეკებით ფარას ჩრდილის საძებნელად. მე ძალიან შორს ვარ თქვენი სამყაროდან მაგრამ შორიდან ვისწავლე სიყვარული. ვიცი, რომ თუ მიწას ოდნავადაც მოვუახლოვდები, ყოველი ცოცხალი დაიღუპება და სამყაროს სულიც აღარ იარსებებს. ამიტომაც ჩვენ შორიდან ვუცქერით ერთმანეთს და შორიდან გვიყვარს ერთმანეთი. მე მიწას სიცოცხლესა და სითბოს ვაძლევ, ის კი – ჩემი არსებობის აზრს.

– შენ იცი, რა არის სიყვარული, – გაიმეორა სანტიაგომ.

– და ვიცნობ სამყაროს სულს, რადგან სამყაროში ამ დაუსრულებელი მოგზაურობისას, ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ. სამყარომ ამიხსნა, რატომ არის ძნელი მისი წვდომა – დღემდე, რატომღაც, მხოლოდ ქვებსა და ბალახებს ესმით, რომ ამ მიწაზე ყველაფერი მთლიანია და ერთიანი. და ამიტომაც, სულაც არ არის საჭირო, რომ რკინა სპილენძს ჰგავდეს, სპილენძი კი არაფრით განსხვავდებოდეს ოქროსაგან. ამ ერთიან სამყაროში ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს და ყველაფერი სამყაროს ერთიან სიმფონიაში გაერთიანდებოდა, ის ხელი, რომელმაც ეს ყველაფერი შექმნა, შემოქმედების მეხუთე დღეზე რომ შეჩერებულიყო. მაგრამ იყო მეექვსეც.

– შენ ბრძენი ხარ, – უთხრა სანტიაგომ, – რადგანაც ყველაფერს შორიდან ხედავ. მაგრამ შენ არ განგიცდია, რა არის სიყვარული. შემოქმედების მეექვსე დღე რომ არ ყოფილიყო – არ გაჩნდებოდა ადამიანი. და სპილენძიც ისევ სპილენძად დარჩებოდა, ტყვია კი – ტყვიად. ჰო, ყველას თავისი გზა და დანიშნულება აქვს, მაგრამ ოდესმე ყველა გაივლის ამ გზას. ამიტომ უნდა გადასხვაფერდე და ახალ გზას დაადგე. ასე გრძელდება მანამ, ვიდრე სამყაროს სული მართლა ერთ მთლიანობად არ იქცევა.

მზე დაფიქრდა და სხივები გადმოაფრქვია. ქარი სიამოვნებით ისმენდა მათ საუბარს და უფრო ძლიერად დაუბერა, რათა სანტიაგო დამაბრმავებელი შუქისაგან დაეცვა.

– სწორედ ამისათვის არსებობს ალქიმია, – განაგრძო სანტიაგომ, – რომ ყველამ ეძებოს და იპოვოს თავისი საგანძური და ყველას მოუნდეს გადასხვაფერება. ტყვია თავის დანიშნულებას მანამდე შეასრულებს, ვიდრე ის სამყაროს სჭირდება, შემდეგ კი იძულებული გახდება, ოქროდ იქცეს. ასე ამბობენ ალქიმიკოსები. და ამტკიცებენ, რომ როცა ჩვენ ვცდილობთ, იმაზე უკეთესები გავხდეთ, ვიდრე ვიყავით, ყველაფერი ჩვენს ირგვლივაც უკეთესისკენ იცვლება.

– რატომ გგონია, რომ მე არ განმიცდია სიყვარული? – ჰკითხა მზემ.

– იმიტომ რომ, როცა გიყვარს, შეუძლებელია, უდაბნოსავით ადგილზე იდგე ან ქარივით დაქროდე, ანდა შენსავით, შორიდან უცქეროდე. სიყვარული ის ძალაა, რომელიც სამყაროს სულს ცვლის და ასხვაფერებს. როცა პირველად ჩავწვდი სამყაროს სულს, მომეჩვენა, რომ ის იყო თავად სრულყოფილება. შემდეგ კი მივხვდი, რომ ის ჩვენი ანარეკლია, მასშიც ბობოქრობს ვნებები და ბრძოლები. ჩვენ ვკვებავთ მას და მიწა, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ, მხოლოდ მაშინ გახდება უკეთესი ან უარესი, თუ ჩვენ გავხდებით უკეთესები ან უარესები. აი, აქ ვლინდება სიყვარულის ძალა, რადგან, როცა გიყვარს, ცდილობ, უკეთესი გახდე.

– ჩემგან რაღა გინდა?

– დამეხმარე, რომ ქარად ვიქცე.

– ბუნებამ იცის, რომ ჩემზე ბრძენი არავინ არის ამ სამყაროში, მაგრამ არც მე ვიცი, როგორ უნდა იქცე ქარად, – უპასუხა მზემ.

– აბა, ვის მივმართო?

მზე ცოტა ხნით დაფიქრდა: ქარმა, ამ საუბარს რომ უსმენდა, იმავე წამს მთელ ქვეყნიერებას მოჰფინა, რომ მანათობელი მზის სიბრძნეც არ იყო უსაზღვრო. ამას გარდა, არც ამ ყმაწვილის მიტოვება შეიძლებოდა, რომელიც სამყაროს ენაზე ლაპარაკობდა.

– იმ ხელს ჰკითხე, ვინც შექმნა ეს ყველაფერი, – ურჩია მზემ.

ქარმა სიხარულით შეჰკივლა და წარმოუდგენელი ძალით წამოუბერა. რამდენიმე კარავი ჰაერში აფრინდა, ცხენებს სადავეები დაუწყდათ და კლდეზე მდგარი ადამიანები ერთმანეთს ჩაეჭიდნენ, რომ არ გაფრენილიყვნენ.

სანტიაგო იმ ხელისკენ შებრუნდა, რომელმაც შექმნა ყოველივე, და მაშინვე შეიგრძნო, რომ სამყარო მდუმარებაში ჩაიძირა და ვერ გაბედა ამ მდუმარების დარღვევა.

შემდეგ სიყვარულის ძალამ იფეთქა მისი გულიდან და ყმაწვილმა ლოცვა დაიწყო. მას სიტყვაც არ დაუძრავს, მადლობაც არ გადაუხდია იმისათვის, რომ ცხვრებმა იალაღს მიაგნეს; არც ის უთხოვია, ბროლის ფარდულში მუშტარი გაემრავლებინა; არც ის, მის საყვარელ ქალს ლოდინი შესძლებოდა. ჩამოწოლილ მდუმარებაში მიხვდა, რომ უდაბნოც, ქარიცა და მზეც ამ ხელით გამოყვანილ ნიშნებს ეძებდნენ, ისინიც ცდილობდნენ, თავის ბედისწერას გაჰყოლოდნენ და ზურმუხტის წახნაგზე ტვიფრულის არსს ჩასწვდომოდნენ. ყმაწვილი მიხვდა, რომ ეს ნიშნები მთელ დედამიწასა და კოსმოსში იყო განფენილი, და თითქოს არავითარი აზრი და მიზეზ–შედეგი არ არსებობდა. უდაბნოებმა, ქარებმა, მზეებმა და ადამიანებმა არ იცოდნენ, რისთვის იყო შექმნილი ეს ნიშნები. მხოლოდ ყოვლისმქმნელმა ხელმა უწყოდა მიზეზი და შედეგი და მხოლოდ მას შეეძლო სასწაულის ქმნა: ოკეანეები უდაბნოდ ექცია, ადამიანი კი – ქარად. მხოლოდ მას ესმოდა, რა ჩანაფიქრი მიაქროლებდა სამყაროს იქით, სადაც შემოქმედების ექვსი დღე დიად შემოქმედებად გარდაიქმნებოდა.

ყმაწვილი სამყაროს სულში ჩაიძირა და იგრძნო, რომ ეს სული მხოლოდ ნაწილი იყო უფლის სულისა. უფლის სული კი – მისი საკუთარი სული იყო. და მას შეეძლო სასწაულის ქმნა.

მეორე დღეს სამუმი ისე უბერავდა, როგორც არასდროს. იმ დღიდან თაობიდან თაობებს გადაეცემოდა ამბავი იმ ყმაწვილისა, რომელმაც უდაბნოს უძლეველი ბელადი ორთაბრძოლაში გამოიწვია, ქარად იქცა და ლამის მთელი ბანაკი გაანადგურა.

როცა ქარი ჩაცხრა, ყველამ იქით გაიხედა, სადაც ყმაწვილი ეგულებოდათ, მაგრამ იქ ვეღარავინ დაინახეს. სანტიაგო ბანაკის ბოლოში იდგა, ქვიშით ნახევრად დაფარული გუშაგის გვერდით.

მაგიურმა ძალამ ყველა დააფრთხო. მხოლოდ ორნი იღიმებოდნენ: ალქიმიკოსი, რომელიც თავისი მოწაფით ამაყობდა, და ტომის ბელადი, რომელიც მიხვდა, რომ ამ ყმაწვილმა უფლის ყოვლადძლიერება შეაცნობინა.

მეორე დღეს მან ალქიმიკოსი და სანტიაგო გაათავისუფლა და მეგზურად თავისი ერთ-ერთი მეომარი გააყოლა.

მთელ დღეს იარეს, შებინდებულზე კი ალქიმიკოსმა მეომარი უკან გაგზავნა და ცხენიდან ჩამოქვეითდა.

– აქედან უკვე მარტო მოგიწევს წასვლა, – უთხრა სანტიაგოს, – პირამიდებამდე სამი საათის სავალიღა დარჩა.

– მადლობას გიხდი, – უპასუხა ყმაწვლმა, – შენ სამყაროს ენა მასწავლე.

– მე მხოლოდ ის გაგახსენე, რაც უჩემოდაც იცოდი.

ალქიმიკოსმა კოპტების მონასტრის კარზე დააკაკუნა. კარი შავით მოსილმა ბერმა გაუღო, მათ ერთმანეთს რაღაც უთხრეს კოპტურად და ალქიმიკოსმა სანტიაგო მონასტერში მიიწვია.

– ვუთხარი, რომ დამეხმარებოდი.

მონასტრის სამზარეულოს ბუხარში ალქიმიკოსმა ცეცხლი გააჩაღა. ბერმა ტყვიის პატარა ნაჭერი მოუტანა, ალქიმიკოსმა რკინის ჭურჭელში ჩადო და ცეცხლზე შემოდგა. შემდეგ ჯიბიდან მინის ყვითელი კვერცხი ამოიღო, ერთი ციცქნა, ქინძისთავისოდენა ნამსხვრევი ჩამოატეხა, სანთლით გაპოხა და გამდნარ ტყვიაში ჩააგდო.

სითხე სისხლივით გაწითლდა. ალქიმიკოსმა ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგა და გაცივება აცალა, მანამდე კი ბერს უდაბნოს ბრძოლებზე ელაპარაკებოდა.

– ეს დიდხანს გასტანს, – უთხრა მასპინძელს.

ბერი წუხდა: ომის გამო ქარავნები გიზაში იდგნენ და გზის გაგრძელებას ვეღარ ახერხებდნენ, «თუმცა, ყველაფერი უფლის ნებაა», – დასძინა მან მორჩილად.

– ცხადია, – დაუმოწმა ალქიმიკოსმა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ქვაბი გაცივდა, სანტიაგომ და ბერმა გაოცებულებმა გადახედეს ერთმანეთს: ტყვიის ნაცვლად, ქვაბში ოქრო იდო.

– ნუთუ ოდესმე მეც ვისწავლი ამას? – ჰკითხა ყმაწვილმა.

– ეს ჩემი გზა იყო, ჩემი, და არა შენი. უბრალოდ, მინდოდა, მეჩვენებინა, რომ ეს შესაძლებელია.

ისინი კვლავ მონასტრის კარიბჭესთან მივიდნენ და ალქიმიკოსმა ოქრო ოთხ ნაწილად გაყო.

– ეს – შენ, – უთხრა ბერს და ერთი ნაწილი გაუწოდა, – იმისათვის, რომ მუდამ სიხარულით ხვდებოდი მომთაბარეებს.

– სიკეთისათვის ძალიან ბევრს მაძლევ, – იუარა ბერმა.

– ასე აღარასოდეს თქვა. ვინ იცის, იქნებ სამყაროს სულმა შემთხვევით ყური მოჰკრას შენს ნათქვამს და მეორედ ნაკლები გამოგიგზავნოს, – უთხრა ალქიმიკოსმა და სანტიაგოსკენ შებრუნდა, – ეს კი – შენ, იმ ფულის სანაცვლოდ, რომელიც ბელადს ერგო.

ყმაწვილსაც უნდოდა, ეთქვა, რომ ეს ოქრო ბევრად აღემატებოდა დაკარგულს, მაგრამ გაჩუმება არჩია.

– ეს – მე, – განაგრძო ალქიმიკოსმა, – შინ უნდა დავბრუნდე, უდაბნოში კი ომია.

მეოთხე ნაჭერი კი ისევ ბერს გაუწოდა:

– ესეც სანტიაგოსთვის მინდა, დავტოვო. იქნებ დასჭირდეს.

– მე ხომ განძის საძებნელად მივდივარ! – წამოიძახა მან, – სულ ცოტა დროღა დამრჩა განძის პოვნამდე!

– ეჭვიც არ მეპარება, რომ იპოვი, – უპასუხა ალქიმიკოსმა.

– თუ ასეა, ოქრო რაღად მჭირდება?

– იმიტომ, რომ უკვე ორჯერ დაკარგე ყველაფერი, რაც გქონდა. პირველად ავაზაკმა მოგატყუა, მეორედ კი ბელადმა გაგძარცვა. მე ბებერი, ცრუმორწმუნე არაბი ვარ და ერთი ჩვენი ანდაზისა მჯერა:

«ის, რაც ერთხელ მოხდა, შეიძლება, აღარასოდეს განმეორდეს. მაგრამ ორჯერ მომხდარი უცილებლად განმეორდება».

ისინი ცხენებზე შესხდნენ.

– მინდა, ერთი ამბავი გიამბო სიზმრებზე, – უთხრა ალქიმიკოსმა, – ახლოს მოსწიე ცხენი.

ყმაწვილი დაემორჩილა.

– ძველ რომში, იმპერატორ ტიბერიუსის დროს, ერთი კეთილი კაცი ცხოვრობდა. ორი შვილი ჰყავდა. ერთი მეომარი გახდა და იმპერიის ყველაზე შორეულ გარეუბანში მსახურობდა, მეორე ლექსებს წერდა და მთელი რომი აღტაცებაში მოჰყავდა.

ერთხელ ბერიკაცს ესიზმრა, თითქოს ზეციური მაცნე ესტუმრა და უწინასწარმეტყველა, რომ მისი შვილი მთელ მსოფლიოში გაითქვამდა სახელს და ადამიანებს მრავალი საუკუნის შემდეგაც ემახსოვრებოდათ მისი სიტყვები. ბერიკაცი ბედნიერებისაგან ატირდა: იგრძნო, რომ ბედისწერამ გულუხვად დაასაჩუქრა, სხვა რაღა უნდა ენატრა შვილების მოყვარულ მამას.

მალე ბერიკაცი გადაბრუნებული საზიდრის ქვეშ მოყოლილი ბავშვის გადარჩენისას დაიღუპა. რადგანაც წმინდა ცხოვრებით იცხოვრა, პირდაპირ ზეცაში ავიდა და იმ მაცნეს შეხვდა, სიზმრად რომ იხილა.

– შენ კეთილი და კარგი ადამიანი იყავი, შენი სიცოცხლე სიყვარულით იყო აღსავსე, სიკვდილი კი – ღირსებით. ამიტომ ნებისმიერ სურვილს შეგისრულებ, – უთხრა მაცნემ.

– სიცოცხლეც მუდამ მწყალობდა, – უპასუხა მოხუცმა, – როცა სიზმრად მეწვიე, ვიგრძენი, რომ ამაოდ არ მიცხოვრია, თუკი ჩემი შვილის ლექსები თაობიდან თაობებს გადაეცემა. მე ჩემთვის აღარაფერი მაქვს სათხოვარი, რადგან ყველა მშობლისათვის შვილის სახელია ყველაზე დიდი სიამაყე. ამიტომაც გთხოვ, შორეული მომავალი მაჩვენო, მინდა, ჩემი თვალით ვნახო, როგორ ადიდებენ ჩემს შვილს.

მაცნე მხარზე შეეხო და წამის უსწრაფესად ორივე შორეულ მომავალში – უზარმაზარ ქალაქში, ათასობით ადამიანის გვერდით აღმოჩნდა, რომლებიც უცხო ენაზე ლაპარაკობდნენ.

მოხუცი სიხარულისგან ატირდა.

– ვიცოდი, რომ ჩემი შვილის ლექსები საუკუნეებს გაუძლებდა, – თქვა აცრემლებულმა, – მითხარი, რომელი მისი ლექსი ახსოვს ამ ხალხს.

მაცნემ მოხუცი სკამზე დასვა და თვითონაც გვერდით მოუჯდა.

– შენი შვილის ლექსებს მთელი რომი იმეორებდა და მათი ტკბილხმოვანებით ტკბებოდა. მაგრამ დასრულდა ტიბერიუსის მმართველობა და ლექსებიც დაივიწყეს. ხალხის მეხსიერებას შენი მეორე შვილის სიტყვები შემორჩა.

მოხუცმა გაოცებით შეხედა მაცნეს.

– ის ერთ შორეულ პროვინციაში მსახურობდა და ასმეთაური გახდა, – განაგრძო მაცნემ, – ისიც სამართლიანი და კეთილი კაცი იყო; ერთხელ მონა გაუხდა ავად. სიკვდილის პირას იყო. შენმა შვილმა შემთხვევით შეიტყო, რომ ვიღაც ექიმი უამრავ ავადმყოფს კურნავდა, და იმ კაცის საძებნელად გასწია. გზად მიმავალს უთხრეს, რომ ის კაცი თავის თავს ღვთის შვილს უწოდებდა. მის მიერ მორჩენილ ხალხსაც შეხვდა, მისი ქადაგებები მოისმინა და თუმცა რომაელთა ასმეთაური იყო, მისი რწმენა მიიღო. ერთ დილას, მართლაც, მოახერხა იმ კაცის ნახვა და სთხოვა, მონის გადასარჩენად

გაჰყოლოდა. მოძღვარს, – ასე უწოდებდნენ იმ კაცს – უარი არ უთქვამს, გაყოლა დააპირა. მაგრამ, როგორც კი ასმეთაურმა იმ კაცს თვალებში შეხედა, მიხვდა, რომ მართლა ღვთის შვილის წინაშე იდგა. და მაშინ შენმა შვილმა წარმოთქვა სიტყვები, რომელსაც დღემდე იმეორებენ ადამიანები. მან თქვა:

«ნუ გაირჯები, უფალო, რამეთუ არ ვარ ღირსი, ჩემს სახლში შემოდგა ფეხი. თქვი და გამოჯანმრთელდება ჩემი მონა».

ალქიმიკოსმა ცხენი დაძრა.

– დაიმახსოვრე, ყოველი ადამიანი ამ დედამიწაზე, რასაც უნდა აკეთებდეს, უმთავრეს როლს ასრულებს სამყაროს ისტორიაში. თუმცა, შეიძლება, არც არაფერი იცოდეს ამის შესახებ.

ყმაწვილმა გაიღიმა. სულ ცოტა ხნის წინ ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ცხოვრების არსის წვდომა ესოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა მეცხვარისათვის.

– მშვიდობით, – უთხრა ალქიმიკოსმა.

– მშვიდობით, – უპასუხა ყმაწვილმა.

ყმაწვილი ერთსაათ–ნახევარს მიჰყვებოდა უდაბნოს და გულს უსმენდა. სწორედ მას უნდა მიენიშნებინა, სად იყო განძი დაფლული.

«სადაც განძია, იქ იქნება შენი გულიც», – უთხრა ალქიმიკოსმა.

მაგრამ გული სულ სხვა რამეს ეუბნებოდა. ამაყად უყვებოდა იმ მწყემსის ამბავს, ვინც თავისი ცხვრები მიატოვა, რომ ორჯერ ნანახი სიზმარი ცხადად ექცია. ახსენებდა საკუთარ გზას და იმ ადამიანებს, ვინც ერთხელ დასახულ მიზანს მისდია, იმათ, ვინც ახალი მიწების ან მზეთუნახავების საძებნელად მიეშურებოდნენ და არად აგდებდნენ თანამედროვეთა საღ აზრსა თუ უაზრობას. ის უყვებოდა დიად აღმოჩენებზე, დიად ცვლილებებსა და წიგნებზე.

და მხოლოდ მაშინ, როცა სანტიაგომ ბარხანის ფერდობზე დაიწყო ასვლა, წასჩურჩულა:

«ყურადღებით იყავი. იმ ადგილას, სადაც ცრემლი მოგერევა, მე ვიქნები და იქ იქნება დაფლული შენი განძიც».

ყმაწვილი ნელა მიუყვებოდა ფერდობს. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე ისევ ბადრი მთვარე ლიცლიცებდა – მთელი თვე მოანდომა უდაბნოს გამოვლას. მთვარე ქვიშაში ისე ათამაშებდა შუქ–ჩრდილებს, რომ უდაბნო აღელვებულ ზღვას ჰგავდა და სანტიაგოს ის დღე ახსენდებოდა, ალქიმიკოსს რომ გამოემშვიდობა და ცხენი ნებაზე მიუშვა. მაშინაც მთვარე ანათებდა უდაბნოს იდუმალებას და უკან დარჩენილ გზას, რომლის გამოვლასაც ისინი ახერხებდნენ, ვინც თავის საგანძურს დაეძებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მთაზე ავიდა და გულმაც გამალებით დაუწყო ფეთქვა. მის წინ მთვარისა და ქვიშის სითეთრით განათებული პირამიდები იყო აღმართული.

სანტიაგო მუხლებზე დაეცა და ატირდა. ის მადლობას სწირავდა უფალს, რომ ნება დართო, ერწმუნა თავისი ბედისწერა, შეხვედროდა მელქისედეკს, შემდეგ – ბროლის ვაჭარს, ინგლისელს, ალქიმიკოსს და, რაც მთავარია, შეხვედროდა ქალს, რომელმაც აიძულა, დაეჯერებინა, რომ სიყვარული ის ძალა იყო, ადამიანს რომ არასოდეს გადაახვევინებდა არჩეული გზიდან.

პირამიდები ათასწლეულების სიმაღლიდან შემოსცქეროდნენ ყმაწვილს. ახლა, თუკი ისურვებდა, შეეძლო, ოაზისში დაბრუნებულიყო, ფატიმა ცოლად შეერთო და ცხვრები ემწყემსა. ხომ ცხოვრობდა უდაბნოში ალქიმიკოსი, რომელიც სამყაროს ენაზე ლაპარაკობდა და შეეძლო, ტყვია ოქროდ ექცია. სანტიაგო ვერავის აჩვენებდა თავის ხელოვნებას, ვერავის გააოცებდა თავისი სიბრძნის ნაყოფით: საკუთარი ბედისწერის ძიებისას მან ყველაფერი ისწავლა, რაც კი სჭირდებოდა, და ყველაფერი განიცადა, რაზეც ოცნებობდა.

მაგრამ უკვე ისიც იცოდა, რომ მისი ბედისწერა განძის ძიება იყო და საქმე დამთავრებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა, როცა საბოლოო მიზანს მიაღწევდა. ყმაწვილი მწვერვალზე იდგა და ტიროდა, მერე, როცა ქვემოთ დაიხედა, დაინახა: იქ, სადაც მისი ცრემლები ეცემოდა, ხოჭო მიცოცავდა. უდაბნოში მომთაბარეობის დროს სანტიაგომ გაიგო, რომ ეგვიპტეში ის ღმერთის სიმბოლო იყო.

მას კიდევ ერთი ნიშანი მიეწოდა და ყმაწვილმა თხრა დაიწყო, მაგრამ მანამდე ბროლის ვაჭრის ნათქვამი გაახსენდა და მიხვდა, როგორ ცდებოდა მოხუცი: ვერავინ შეძლებდა პირამიდის აგებას საკუთარ ეზოში, თუნდაც მთელი სიცოცხლე ქვა ქვაზე დაედო.

მინიშნებულ ადგილზე მთელ ღამეს თხრიდა ქვიშას, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. პირამიდების სიმაღლიდან უსიტყვოდ დასცქეროდა ათასწლეულები. სანტიაგო არ ნებდებოდა – შეუსვენებლად თხრიდა და თხრიდა, თან ქარს ებრძოდა, რომელიც ამოთხრილ ქვიშას ისევ ორმოში უბრუნებდა. სანტიაგოს ძალა ელეოდა, ხელებიც გადაიტყავა, მაგრამ თავისი გულისა სჯეროდა და იქ ეძებდა, სადაც მისი ცრემლები დაეცა.

და ანაზდად, როცა ორმოდან უკვე ქვები ამოჰქონდა, ნაბიჯის ხმა შემოესმა. სანტიაგო შებრუნდა და ადამიანებს მოჰკრა თვალი. რამდენიმე კაცი იყო, ზურგით სინათლისკენ იდგნენ და მათი სახეები ვერ დაინახა.

– აქ რას აკეთებ? – ჰკითხა ერთმა.

ყმაწვილმა არაფერი უპასუხა. ერთიანად მოიცვა შიშმა, რადგან ახლა უკვე ჰქონდა დასაკარგავი.

– ჩვენ ბრძოლა მივატოვეთ და გამოვიქეცით, – უთხრა მეორემ, – ფული გვჭირდება. აქ რას მალავ?

– არაფერს, – უპასუხა სანტიაგომ.

ერთ–ერთმა დეზერტირმა ორმოდან ამოათრია, მეორემ ჯიბეები გაუჩხრიკა და ოქროს ზოდი უპოვა.

– ოქრო! – იყვირა მან.

ახლა უკვე მთვარე უნათებდა სახეს და მძარცველთა თვალებში სანტიაგომ თავისი აღსასრული ამოიკითხა.

– იქ კიდევ უნდა იყოს! – თქვა მესამემ.

სანტიაგოს უბრძანეს, ორმოს თხრა გაეგრძელებინა და ისიც იძულებული გახდა, დამორჩილებოდა. მაგრამ განძი არსად იყო და მძარცველებმა ცემა დაუწყეს. დილამდე სცემდნენ. ტანსაცმელი ნაგლეჯებად ექცა და სანტიაგომ ცხადლივ იგრძნო, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა.

ალქიმიკოსის სიტყვები გაახსენდა: «ფული რაღად გჭირდება, თუ სიკვდილი გელის? ფული წუთითაც ვერ გაგიხანგრძლივებს სიცოცხლეს».

– მე განძს ვეძებ! – იყვირა სანტიაგომ.

სანტიაგო ძლივს ამოძრავებდა დახეთქილ და დასისხლიანებულ ტუჩებს, მაგრამ მძარცველებს მაინც უამბო, როგორ ესიზმრა ორჯერ ეგვიპტის პირამიდების ფერხთით დაფლული განძი.

ის, ვინც მძარცველების მეთაურს ჰგავდა, დიდხანს დუმდა, მერე კი ერთ–ერთ ქვეშევრდომს მიმართა:

– გაუშვი. მეტი აღარაფერი აქვს. ეს ზოდიც, როგორც ჩანს, სადღაც მოიპარა.

სანტიაგო მიწაზე დაეცა. მეთაურს უნდოდა, თვალებში ჩაეხედა მისთვის, მაგრამ ყმაწვილი პირამიდებს უცქეროდა.

– წავედით, – დანარჩენებს უთხრა მეთაურმა, მერე სანტიაგოსკენ შებრუნდა: – ცოცხალს იმიტომ გტოვებ, რომ მიხვდე, რა სულელი ხარ. იმ ადგილას, სადაც ახლა დგახარ, მე თვითონ ორჯერ ვნახე ერთი და იგივე სიზმარი. მესიზმრებოდა, თითქოს ესპანეთში უნდა გავმგზავრებულიყავი, იქ რომელიღაც დანგრეული ეკლესია უნდა მომეძებნა, სადაც მწყემსები ფარას მიერეკებიან ხოლმე ღამის გასათევად და სადიაკვნოს ადგილას სიკომოროა ამოსული. სწორედ მის ფესვებში დაფლული განძი უნდა მეპოვა. მაგრამ მე არც ისეთი სულელი ვარ, მხოლოდ იმიტომ დავადგე გზას, რომ სიზმარი მესიზმრა.

ეს უთხრა და მძარცველები წავიდნენ.

სანტიაგო რის ვაი–ვაგლახით წამოდგა და უკანასკნელად გახედა პირამიდებს. ისინი უღიმოდნენ და მანაც გაუღიმა პასუხად, გული ბედნიერებით ჰქონდა სავსე.

მან იპოვა თავისი განძი.

ეპილოგი

ყმაწვილს სანტიაგო ერქვა. უკვე ბნელოდა, როცა ის ნახევრად დანგრეულ ეკლესიასთან მივიდა. სადიაკვნოს ადგილას ძველებურად იდგა სიკომორო და ჩამოქცეული გუმბათიდან ძველებურად მოჩანდა ვარსკვლავები. მას გაახსენდა, რომ ერთხელ თავის ფარასთან ერთად აქ უკვე გაათენა ღამე და ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

ახლა ისევ აქ იყო. მაგრამ ამჯერად ცხვარი არ მოურეკავს. ხელში ნიჩაბი ეჭირა.

ის დიდხანს ასცქეროდა ცას, მერე აბგიდან ბოთლი ამოიღო და ღვინო მოსვა. გაახსენდა, ერთხელ, უდაბნოში ვარსკვლავებს რომ გასცქეროდა და ალქიმიკოსთან ერთად ღვინოს წრუპავდა. იმაზე დაფიქრდა, რამდენი გზა მოიტოვა უკან და რა უცნაურად მიუთითა ღმერთმა საგანძურზე.

მას რომ სიზმრებისთვის არ დაეჯერებინა, არც ბოშა ქალს შეხვდებოდა, არც მელქისედეკს და არც მძარცველებს....

«საკმაოდ გრძელი სია გამოდის. მაგრამ გზა ერთთავად ნიშნებით იყო მოფენილი და გზიდან ვერ გადავუხვევდი», – გაიფიქრა მან.

ვერც კი შენიშნა, ისე ჩაეძინა. თვალი რომ გაახილა, მზე უკვე ზენიტზე იდგა. და სანტიაგომ სიკომოროს ფესვებთან დაიწყო თხრა.

«ბებერი ჯადოქარი, – ალქიმიკოსი გაახსენდა სანტიაგოს, – მან ყველაფერი წინასწარ იცოდა. ოქროს მეორე ზოდიც კი დამიტოვა, რომ ამ ეკლესიამდე მომეღწია. ბერს სიცილი წასკდა, ჩამოფლეთილი და ნაცემი რომ მნახა. ნუთუ არ შეეძლო, გავეფრთხილებინე?»

«არა, – პასუხი მოუტანა ქარის შრიალმა, – მე რომ გამეფრთხილებინე, პირამიდებს ვეღარ ნახავდი. საცოდაობა იქნებოდა ამ სილამაზის უნახავად უკან დაბრუნება».

ალქიმიკოსის ხმა ეცნო. გაღიმებული ყმაწვილი თხრას განაგრძობდა. ნახევარ საათში ნიჩაბი რაღაც მაგარს წამოედო, ერთი საათის შემდეგ კი სანტიაგოს წინ უძველესი ოქროს მონეტებით სავსე კიდობანი იდგა. იქვე ეწყო ძვირფასი ქვები, თეთრი და წითელი ფრთებით გაწყობილი ოქროს ნიღბები, ბრილიანტებით მოოჭვილი ქვის კერპები – ნადავლი, რომელიც ძალიან დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა ქვეყნიერებას; ნადავლი, რომლის შესახებაც მის მფლობელს არაფერი ეთქვა თავისი შთამომავლებისთვის.

სანტიაგომ აბგიდან ურიმი და თუმიმი ამოიღო. ეს ქვები მხოლოდ ერთხელ დასჭირდა, იმ დილას, ბაზრის მოედანზე: ცხოვრება ამ ქვების გარეშეც ზუსტ ნიშნებს უგზავნიდა.

ქვები კიდობანში ჩააწყო – ურიმი და თუმიმიც მისი განძის ნაწილი იყო: ისინი გაახსენებდნენ ბებერ ხელმწიფეს, რომელსაც ვეღარასოდეს შეხვდებოდა.

«ცხოვრება, მართლაც, გულუხვად ასაჩუქრებს იმათ, ვინც საკუთარ ბედისწერას მიუგდებს ყურს, – გაიფიქრა და გაახსენდა, რომ ტარიფაში უნდა ჩასულიყო და ბოშა ქალისთვის განძის მეათედი მიეცა, – რა ჭკვიანები არიან ბოშები! ალბათ, იმიტომ, რომ ბევრს მომთაბარეობენ ამქვეყნად».

ისევ იგრძნო ქარის ქროლა. აფრიკიდან მოვარდნილი «ლევანტიელი» ქროდა, მაგრამ, ამჯერად, მას არც უდაბნოს სუნი მოუტანია და არც მავრების თავდასხმა უწინასწარმეტყველებია. ახლა სანტიაგომ ამ ქარის ქროლაში თანდათან მოახლოებული ნაცნობი სურნელი, ხმა და გემო ამოიცნო, რომელიც ბოლოს მის ტუჩებს კოცნად დააკვდა.

სანტიაგო იღიმებოდა: ეს ფატიმას პირველი კოცნა იყო.

– მოვდივარ, – თქვა მან, – შენთან მოვდივარ, ფატიმა.

.:სასიყვარულო საიტი:.

© 2008-2015 4LOVE.GE